



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ალეო ილურიძის

სამაგისტრო ნაშრომი  
თემაზე:

მოსამართლის როლი მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი ფაფიაშვილი

თბილისი  
2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა .....	3
შესავალი .....	4
თავი I შეჯიბრებითობა სისხლის სამართალწარმოებაში .....	6
1.1 შეჯიბრებითობის პრინციპის არსი სისხლის სამართალწარმოებაში .....	6
1.2 შეჯიბრებითობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს კანონმდებლობაში .....	7
1.3 შეჯიბრებითობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში .....	10
1.4 შეჯიბრებითობის პრინციპი იტალიის სისხლის სამართალწარმოებაში - „სამართლიანი სასამართლოს“ რეფორმა .....	13
თავი II მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში .....	20
2.1 მტკიცებულების ცნება და კლასიფიკაცია .....	20
2.1.1 მტკიცებულების ისტორიული განვითარება .....	22
2.2 მტკიცებულების ადგილი და მისი სახეები სისხლის სამართლის პროცესის სიტუმაში .....	24
2.2.1 ჩვენება .....	24
2.2.2 ნივთიერი მტკიცებულება .....	33
2.2.3 დოკუმენტი .....	35
2.2.4 პრეიუდიცია .....	37
2.3 მტკიცების პროცესი .....	39
თავი III. მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართალწარმოებაში .....	45
3.1 მტკიცებულებათა შეფასება წინასასამართლო ეტაპებზე .....	45
3.2 მტკიცებულებათა შეფასება სასამართლო ეტაპებზე .....	49
თავი IV. მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას .....	53
4.1 წინასასამართლო სხდომაზე .....	53
ა. მოსამართლის როლი ფორმალური საკითხებთან დაკავშირებით .....	53
ბ. მოსამართლის როლი მტკიცებულების დასაშვებობის მატერიალური საკითხებთან დაკავშირებით .....	64
4.2 არსებითი სასამართლო განხილვისას .....	70
დასკვნა .....	74
ბიბლიოგრაფია .....	77

## გამოყენებული აბრევიატურა

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ე.ი - ესე იგი.

ა.შ - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

ე.წ - ეგრეთ წოდებული

რედ. - რედაქტორი

**თემის აქტუალურობა/პრობლემურობა.** საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2009 წლის 9 ოქტომბერს იქნა მიღებული, მიზანმიმართული იყო თანასწორობასა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოების დანერგვისაკენ. სსსკ-ს მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითი პრინციპი ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური პრინციპია და მისი არსი სისხლის სამართლის პროცესში ორი „თანაბარმნიშვნელოვანი“ სუბიექტის დაპირისპირებას გულისხმობს, სადაც მოსამართლე არბიტრის როლში გვევლინება. ახალი საპროცესო კოდექსით შეიცვალა არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობა, არამედ მთლიანად სისხლის სამართალწარმოება, სადაც მტკიცებულებათა მოპოვება-წარდგენა, სრულად, მხარეებზე გახდა დამოკიდებული, დამკვიდრდა ახალი სტანდარტები მტკიცებულებებთან დაკავშირებით და შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომელიც ერთადერთ ბერკეტს წარმოადგენს მოსამართლისთვის, რომ საპროცესო განხილვა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას დაუქვემდებაროს.

სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობისას, საპროცესო განხილვის მიზანს, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს, რომელიც მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად ხდება შესაძლებელი. თუმცა, ჭეშმარიტება, სამართლებრივ სახელმწიფოში, მისაღებია თუ ის დადგენილი იქნება პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით, ვინაიდან აღნიშნული აბსოლუტურ მიზანს არ წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, მხარეების მიერ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ გახდება დასაშვები მტკიცებულება.<sup>1</sup> სსსკ-ს 219 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მოსამართლეს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვა მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია. კონკრეტული მუხლის, პირდაპირი მნიშვნელობით განმარტების შემთხვევაში, ერთადერთი საშუალება, რომელსაც საქმეზე ობიექტურ ჭეშმარიტების დადგენამდე მიყავს სასამართლო, სრულად მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მოსამართლე კი შეჯიბრების შედეგების უბრალო „მოწმეა“.

სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მხოლოდ მხარეთა კვალიფიციურობასა და შესაბამის მომზადებაზე დაყრდნობამ, მოსამართლეს არ დაუტოვა შესაძლებლობა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა. ამას მოჰყვა, მოსამართლეთა გარკვეული ნაწილის თვითნებური ქმედებები, კერძოდ, საკუთარი ინიციატივით, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე, მტკიცებულებათა შეფასება. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია მოსამართლეთა მეორე ნაწილის გაღიზიანება, იმაზე მითითებით, რომ კონკრეტული ქმედება სისხლის სამართლის პროცესის უმთავრეს

<sup>1</sup> გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 248

პრინციპს არღვევდა. შედეგად კი მივიღეთ არაერთგვაროვანი პრაქტიკა მოსამართლის როლთან დაკავშირებით, მტკიცებულებების შეფასების ეტაპზე, რასაც თან ახლდა კოდექსის ნორმების ორაზროვანი განმარტებები.

საკითხის პრობლემურობა გამოხატულია იმ საკანონმდებლო რეგულაციებში, რომლებიც „უზრუნველყოფენ“ მოსამართლის პასიურ როლს მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე, აღნიშნული კი არ წარმოადგენს, იმ მინიმალურ გარანტიას, რომელიც აუცილებელია სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად სამართლებრივ სახელმწიფოში.

**ნაშრომის მიზანი.** ნაშრომის მიზანია ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით, განვიხილოთ მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე. ის პრობლემები, რაც თან ახლავს მოსამართლის პასიურ როლს; შემთხვევები, როდესაც მტკიცებულება მოპოვებულია კანონის არსებით მოთხოვნათა დარღვევით, ხოლო მხარე არ აყენებს შუამდგომლობას მის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და ა.შ. რამდენად ემსახურება დღევანდელი საკანონმდებლო რეგულაცია სისხლის სამართლის პროცესის მიზანს და რა უნდა შეიცვალოს, რათა აღმოიფხვრას პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მიდგომები საკითხისადმი და დამკვიდრდეს ერთიანი, სამართლებრივი მიზნით აღჭურვილი გზა. ასევე შევხებით სასამართლო სტადიებზე მტკიცებულებათა შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს, რამდენად მართებულია წინასასამართლო სხდომის მოსამართლის შეზღუდვა მტკიცებულებათა შეფასების დროს, მხოლოდ დასაშვებობის თვალსაზრისით და უნდა შეიცვალოს თუ არა შესაბამისი ნორმა, პრაქტიკული შემთხვევების საფუძველზე.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. თავის მხრივ, ძირითადი ნაწილი შედგება ოთხი თავისაგან, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად. პირველი თავი ეხება, ზოგადად, შეჯიბრებითობის პრინციპის არსს სისხლის სამართალწარმოებაში და განხილულია მისი ადგილი როგორც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლს კანონმდებლობაში. მეორე თავში ჩამოყალიბებულია მტკიცებულების ცნება, სახეები და ისტორიული დახასიათება. ასევე მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. მესამე თავი ეხება მტკიცებულებათა ზოგად შეფასებას საგამომიებო და სასამართლო ეტაპებზე, ხოლო მეოთხე თავში განხილულია უშუალოდ მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების ფონზე, ასევე პრაქტიკული მაგალითების ანალიზით.

**კვლევის მეთოდოლოგია.** პრობლემური საკითხების უკეთ გამოკვლევისა და სწორი სამართლებრივი შეფასების მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, ლოგიკური, სისტემური კვლევისა და პრობლემური ანალიზის მეთოდი.

## თავი I

## შეჯიბრებითობა სისხლის სამართალწარმოებაში

### 1.1 შეჯიბრებითობის პრინციპის არსი სისხლის სამართალწარმოებაში

შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც თანამედროვე ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის წევრი ქვეყნებისთვის სისხლის სამართლის პროცესის განმსაზღვრელი მახასიათებელია, ინგლისურ სამართლებრივ ისტორიაში გვიან განვითარდა. აღნიშნული გამოწვეული იყო იმ „საპროცესო ტრანსფორმაციით“, რომელიც განხორციელდა ინგლისში 1680-1790წწ. სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარეს ადვოკატის ჩართულობამ, იშვიათიდან ხშირ მონაწილეობაში გადაიზარდა, რასაც შედეგად მოჰყვა, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, მოსამართლეების მიერ ადვოკატებისთვის ნების დართვა, ეწარმოებინათ ჯვარედინი დაკითხვა. სწორედ აქედან დაიწყო ადვოკატების დომინირება სასამართლო სხდომაზე.<sup>2</sup>

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი საპროცესო უფლებებით და სასამართლოს დომინირებული როლი გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>3</sup> შეჯიბრებითობის პრინციპის არსი მდგომარეობს შემდეგში: მტკიცებულებათა მოპოვება, წარდგენა, მოწმეთა მოძიება და ყველა სხვა ის საშუალება, რომელიც გამოიყენება საკუთარი ინტერესების დასაცავად და სასურველი შედეგის მისაღწევად, მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარის კომპეტენციაა. შეჯიბრებითობის პრინციპი ამოქმედებას იწყებს გამოძიების სტადიაზე, როდესაც საგამოძიებო ორგანოს მიერ გამოვლენილ იქნება დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი და მის წინააღმდეგ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული ეტაპიდან მხარეებს ეძლევათ თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები მოიპოვონ მტკიცებულებები და მიიღონ ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომლითაც გაიმყარებენ საკუთარ პოზიციებს. საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე კი, მოსამართლე გვევლინება „ნეიტრალური არბიტრის“ როლში, რომელსაც არ აქვს უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულება, განსხვავებით ინკვიზიციური პრინციპისაგან. იგი აფასებს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, უსმენს მათ მიერ გამოძახებულ მოწმეებს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. შეჯიბრებითობის პრინციპი, ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს მოსამართლეს და წარადგენს ორ თანაბარმნიშვნელოვან საპროცესო სუბიექტს, რომელთა სასარგებლოდაც საქმის გადაწყვეტა სრულად მათ მომზადებაზეა დამოკიდებული.

<sup>2</sup> John H. Langbein, The Origins of Adversary Criminal trial, Abstract, 1

<sup>3</sup> აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მზია ლეკვიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2017წ. 130

შეჯიბრებითობის პრინციპი ემსახურება უშუალოდ სასამართლო განხილვის მიზანს, რომლსაც წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. აღნიშნული პრინციპის მომხრეები ეწინააღმდეგებიან ინკვიზიციურ პრინციპს და განმარტავენ, რომ მატერიალური ჭეშმარიტების დადგენა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მოსამართლე ისმენს ორივე მხარის აზრს, აფასებს მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ როგორ ცდილობენ დაიცვან საკუთარი პოზიცია და შეასუსტონ მოწინააღმდეგე. სწორედ ამ თანაბარუფლებიანი სუბიექტების შეჯიბრების დროს არის შესაძლებელი არბიტრისთვის კანონიერი განაჩენის გამოტანა. შესაბამისად შეჯიბრებითობის პრინციპი არის ანგლო-ამერიკული მოდელისთვის დამახასიათებელი ის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც შეჯიბრებით სახეს აძლევს სისხლის სამართალწარმოებას და უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორუფლებიანობას.

## 1.2 შეჯიბრებითობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს კანონმდებლობაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით დარეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ პირს აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნეს სამართლიანად.<sup>4</sup> აღნიშნული მუხლის 1 პუნქტი ვრცელდება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტი უშუალოდ სისხლის სამართლის საქმეებს მიემართება. ევროკომისიის ფართო განმარტებით, მე-6 მუხლი მოიცავს არამარტო ისეთ ასპექტებს, როგორცაა სასამართლო ინსტანციებზე ხელმისაწვდომობა და ბრალდებულის მონაწილეობა სამართალწარმოებისას, არამედ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობაც. მუხლში წარმოდგენილი ის მინიმალური უფლებები, როგორცაა: „ბრალდებულის უფლება დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“; „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“; „ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე“ და სხვ. ემსახურება მხარეთა თანასწორობის მიზანს, რასაც შემდეგ მოყვება შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოება.<sup>5</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპის განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ ხდებოდა დროთა განმავლობაში, სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით, რამაც საბოლოო „სურათის“ ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. საქმეზე - *რუიზ-მატეოსი ესპანეთის*

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950წ. მუხლი 6.1

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950წ. მუხლი 6.3

წინააღმდეგ-, სასამართლომ განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს ორივე მხარისთვის თანაბარ ცოდნასა და შესაძლებლობებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.<sup>6</sup> იმავე შინაარსის მატარებელი განმარტება გაკეთდა საქმეზე - *ვერმეულენი ბელგიის წინააღმდეგ*-, როდესაც 1987 წლის კომერციულ სხდომაზე, გადაწყვეტილების მიღება მის კერძო კომპანიაზე მოხდა მის დაუსწრებლად, მხოლოდ იმიტომ რომ იგი გენტის პოლიციას დაკავებული ჰყავდა და სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა თაღლითობის მუხლით. ევროპულმა სასამართლომ, ხაზი გაუსვა მისი უფლებების დარღვევას შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან მას არ ჰქონდა საშუალება დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი მომხდართან დაკავშირებით. შედეგად კვლავ განიმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის არსი არის ორივე მხარისთვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობა, რათა გაეცნონ საქმის მასალებს და შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.<sup>7</sup> შეჯიბრებითობის პრინციპი უნდა განხორციელდეს პროცესის მონაწილე მხარეთათვის თანაბარ პირობებში: მხარეს საშუალება უნდა ჰქონდეს გაეცნოს მტკიცებულებებს საქმის განხილვამდე, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია მის უტყუარობაზე, საქმესთან შემხებლობასა და ავთენტურობაზე, შესაბამის ფორმასა და შესაბამის ვადაში.<sup>8</sup> ამასთანავე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართალწარმოების სისწრაფე არ ამართლებს შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფას.<sup>9</sup> ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ პროცესის მონაწილე მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ სადავო გახადონ თუ არა მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოძახებული მოწმის ჩვენება ან წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მათ დამოკიდებულებას შეჯიბრებითობის პრინციპის მიმართ.

თუმცა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება შიზღუდოს. საქმეზე - *ხუდაკოვა და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ* - მოსამართლემ განმარტა, რომ პირველ რიგში, თანასწორობა ნიშნავს ორივე მხარის თანაბარ შესაძლებლობას ისეთ პირობებში წარმოდგინოს საკუთარი ინტერესები, რომელიც არ გამოიწვევს რომელიმე მხარის არახელსაყრელ, წამგებიან პოზიციაში ჩაყენებას. ამასთან სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებულ პროცესს, რომლის მიხედვითაც მონაწილე მხარეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ მტკიცებულებებს და გამოთქვან საკუთარი აზრი ფაქტებთან დაკავშირებით, მაგრამ უფლება შეჯიბრებით პროცესსზე არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შესაძლებელია მისი ფარგლები დამოკიდებული იყოს

<sup>6</sup> Ruiz-mateos v. Spain, ECtHR, N12952/87, 1993, §63

<sup>7</sup> Vermeulen v. Belgium, ECtHR, N19075/91, 1996, §33

<sup>8</sup> Krcmar and Others v. the Czech Republic, ECtHR, N35376/97, 2000, §42

<sup>9</sup> Niderost-Huber v. Switzerland, ECtHR, N18990/91, 1997, §30

განსახილველი საქმის კონკრეტულ მახასიათებლებზე.<sup>10</sup> მნიშვნელოვანია ასევე სასამართლოს განმარტება მტკიცებულებათა წინასწარი გაცვლის თაობაზე, როდესაც საქმეზე - *ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ*-, აპლიკანტმა მიუთითა დარღვევაზე, რადგან შემოსავლების სამსახურმა უარი უთხრა იმ დოკუმენტების მიწოდებაზე, რომელიც ჩამოთვლილი იყო ადგლობრივი ქონების ბაზრის შემსწავლელ სიაში. მოსამართლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარსადგენ მტკიცებულებებს, წმინდა შეჯიბრებითობის კუთხით, აღნიშნული არ ეხება მტკიცებულებათა იმ ნაწილს, რომლის წარდგენასაც მხარე არ აპირებს საქმის უშუალო განხილვისას.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სამართლიანი სასამართლოსთვის აუცილებელია პროცესის მონაწილე მხარეების თანასწორუფლებიანობა, რასაც შემდეგ მოყვება შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული პროცესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს საქმის განხილვაზე წარმოსადგენ დოკუმენტებს, შეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლება და საკუთარი პოზიციის გამყარება, თუმცა პრაქტიკა ასევე ნათლად აჩვენებს, რომ შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული პროცესის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებას და რიგ შემთხვევებში, შესაძლოა შეიზღუდოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე. საქმეზე - *ლესი ესტონეთის წინააღმდეგ*-, აპლიკანტი მიუთითებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, კერძოდ მას არ მიეცა შესაძლებლობა სრულად გაცნობოდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, რაც შეუძლებელს ხდიდა შესაბამის დროში სათანადო დაცვის მომზადებას. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, (როგორცაა თვალთალი, მოსმენა და ა.შ.) მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მტკიცებულება და მიენიჭოს „შეზღუდული“ სტატუსი, რომელიც არ ექვემდებარება გასაჯაროებას. იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება გასცნობოდა მტკიცებულებებს, სწორედ ადგილობრივმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს რამდენად სამართლიანად მოხდა დაცვის მხარის ამ უფლების შეზღუდვა, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი აფასებს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ასეთ შემთხვევებში, გადამწყვეტია ადგილობრივი სასამართლოს მოსამართლის როლი, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებების დაცვას. დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა, გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მისაღებია თუ აღნიშნული ემსახურება საჯარო მიზანს, შეიცავს სახელმწიფო სადუმლოებას, მიმართულია სხვა პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვისაკენ და სხვ. თუმცა ყველა ის საკითხი, რომელიც წარმოიქმნება

<sup>10</sup> Hudakova and Others v. Slovakia, ECtHR, N23083/05, 2010, §26-27

<sup>11</sup> Yvon v. France, ECtHR, N44962/98, 2003, §38

აღნიშნული შეზღუდვების შედეგად, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის სასარგებლოდ, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.<sup>12</sup> იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარეს გააჩნია გამამართლებელი ან ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობის შემამსუბუქებელი მტკიცებულება, იგი ვალდებულია გადასცეს იგი დაცვის მხარეს. ასეთი მოთხოვნის დროს, დაცვის მხარემ უნდა წარმოადგინოს მკაცრად განსაზღვრული საფუძვლები აღნიშნული მოთხოვნისა, ხოლო ამ საფუძვლების კანონიერების შემოწმება ადგილობრივი სასამართლოს ვალდებულებაა.<sup>13</sup>

### 1.3 შეჯიბრებითობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს კანონმდებლობამ უარი თქვა ინკვიზიციურ პრინციპზე და განაცხადა, რომ სისხლის სამართალწარმოება განხორციელდებოდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით. ამ გადაწყვეტილებაში უდიდესი წვლილი შეიტანა 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ, რომელიც უკვე ითვალისწინებდა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებას. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით, გარანტირებული იქნა სისხლის სამართალწარმოების საჯაროობა და დისპოზიციურობა, შეჯიბრებითობა, დაცვის უფლება და სხვ. სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>14</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად უსვამდა ხაზს მონაწილე მხარეების თანასწორობას, თანაბარ პროცესუალურ უფლებებს მოეპოვებინათ მტკიცებულება, მონაწილეობა მიეღოთ მათ გამოკვლევაში, დაეყენებინათ შუამდგომლობა და ა.შ. ერთმანეთისგან გაიმიჯნა ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები და დაუშვებლად იქნა ცნობილი, სხვადასხვა ფუნქციის ერთსა და იმავე ორგანოსათვის დაკისრება. მოსამართლე ვალდებული გახდა მონაწილე მხარეებისთვის მიეცა თანაბარი შესაძლებლობები და შეექმნა ისეთი პირობები, სადაც თანასწორად შეძლებდნენ საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. 1998 წლის კოდექსით, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებას იწყებდა არა მხოლოდ სასამართლო განხილვისას, არამედ გამოძიების ეტაპზეც, როდესაც საგამოძიებო ორგანოს მიერ უკვე გამოვლინდებოდა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი და დაიწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა მის წინააღმდეგ. სწორედ ამ ეტაპიდანვე, დაცვის მხარეს შეეძლო ესარგებლა ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომელსაც ბრალდების მხარე იყენებდა საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად (გარდა რამდენიმე საპროცესო უფლებისა, რომელიც უშუალოდ უფლების არსიდან გამომდინარე მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს შეიძლებოდა

<sup>12</sup> Leas v. Estonia, ECtHR, N59577/08, 2012, §58, 78-79

<sup>13</sup> იქვე, §80, ob. Natunen v. Finland, ECtHR, N21022/04, 2009, §43

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 85 (3),

ჰქონოდა). თავდაპირველად შემუშავებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ახლოს იდგა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან. განმეორებითი პროექტი კი, მიზნად ისახავდა ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან მაქსიმალურ მიახლოებას.<sup>15</sup> დროთა განმავლობაში შევიდა უამრავი ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელთა ნაწილი უშუალოდ ეხებოდა თანასწორუფლებიანობასა და შეჯიბრებით პრინციპს. ზოგიერთმა ცვლილებამ გაამართლა, ზოგიერთმა კი პირიქით, უფრო მწვავე შედეგი გამოიწვია, საბოლოოდ კი დღის წესრიგში დადგა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების საკითხი, რასაც შედეგად მოჰყვა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 9 ოქტომბერს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მუხლის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესი ამ პრინციპების საფუძველზე ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე. მუხლის მიზანი გამოიხატება მხარეებისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფაში, რომლის ფუნდამენტური პრინციპი მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათია. შეჯიბრებითობა კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას მოიპოვონ და წარადგინონ მტკიცებულებები, გაეცნონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას და საკუთარი აზრი დააფიქსირონ აღნიშნულთან დაკავშირებით.

შესაბამისად „შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკევება;
- შეჯიბრებითობა, როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობები საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება;<sup>16</sup>

მოქმედი კანონმდებლობით, ბრალდებისა და დაცვის ფუნქცია ცალსახად არის გამოყოფილი სასამართლო ხელისუფლებისგან, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს და გამოიკვლიოს მტკიცებულება, გააფართოვოს საჩივრის ფარგლები ან შეცვალოს ბრალდების ფორმულირება, უფლებამოსილია მხარეებთან შეთანხმებით დასვას მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვა და სხვ. ამ

<sup>15</sup> მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი. (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, 2013წ., 39.

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 84

გარემოებებიდან გამომდინარე, შეჯიბრებითი პრინციპის მოწინააღმდეგეები ხშირად უსვამენ ხაზს მოსამართლის პასიურ როლს, რადგან მიიჩნევენ, რომ საქმეზე მატერიალური ქეშმარიტების დადგენისათვის, აუცილებელია მოსამართლის დამოუკიდებელი ქმედებები. მიუხედავად ამისა, სწორედ სასამართლო წარმოდგენს იმ სამართლებრივ გარანტს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის თანასწორობას და შეჯიბრებითობას. სსსკ-ს 25-ე მუხლის 1 პუნქტი პირდაპირ განმარტავს, რომ სასამართლო ვალდებულია მხარეებს შეუქმნას ისეთი თანაბარი პირობები, საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. საქართველოს საპროცესო კოდექსი ორიენტირებულია ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით მოდელზე, რომელიც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, წარმოადგინონ მტკიცებულება, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რომ დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი პოზიციის მართებულობაში და გავლენა მოახდინონ კანონიერი გადაწყვეტილებების მიღებაზე.<sup>17</sup>

მხარეებს ენიჭებათ თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობები საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოიპოვონ და შემდგომ წარმოადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევაში და დააფიქსირონ საკუთარი აზრი. მხარეები თავად წყვეტენ რა სახის და რაოდენობის მტკიცებულება მოიპოვონ, რომელი წარადგინონ სასამართლოს განხილვის სხდომაზე და ა.შ. ვერავინ დაავალდებულებს მათ მოიძიონ კონკრეტული მტკიცებულება ან უარი თქვან რომელიმეს წარდგენაზე, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა ცალსახად მხარის პრეროგატივაა. შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში სასამართლო, რომელიც თავად არ ეძებს გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოს მხარეებს შორის თანაბარ მდგომარეობას.<sup>18</sup> მაგრამ, მიუხედავად სასამართლოს მიერ მხარეებისთვის თანაბარი პირობების შექმნისა, იმყოფებიან თუ არა დაცვისა და ბრალდების მხარეები რეალურად თანაბარ პოზიციებში?! პასუხი უარყოფითია და საკმაოდ თვალსაჩინო. თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობების არსებობა არ გულისხმობს ფაქტობრივ თანასწორობას, რადგან შესაძლებლობის გამოყენებას უკან ადამიანური და მატერიალური რესურსები უდგას. ასეთ შემთხვევაში კი დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის ფაქტობრივი თანასწორობა გამორიცხებულია. მაშინ რამდენად არის დაცული შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც საქმე გვაქვს მხოლოდ ფორმალურ და არა ფაქტობრივ თანასწორობასთან?! რა თქმა უნდა პასუხი ისევ

<sup>17</sup> ლალიაშვილი თ. ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, მართლმსაჯულება და კანონი, №4(52)-2016წ, 28

<sup>18</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 74

არადამაკმაყოფილებელია. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ფუნდამენტური პრინციპია სისხლის სამართალწარმოებისთვის და ამას ხაზს უსვამს საკანონმდებლო რეგულაცია, თუმცა აღნიშნული აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას არ მიეკუთვნება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ქმედებებს, რომელთა განხორციელების უფლება დაცვის მხარეს საერთოდ არ გააჩნია. ძირითადად საქმე ეხება ისეთ საგამომიებო მოქმედებებს, რომლის წარმოებაც, საკუთარი სპეციფიკადან გამომდინარე, მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება შეიძლება იყოს. მიუხედავად გამონაკლისი შემთხვევებისა, კანონმდებელი არ ივიწყებს ძირითადი პრინციპების მნიშვნელობას სამართალწარმოებისა და შეჯიბრებითი პროცესის უზრუნველყოფისათვის, დაცვის მხარეს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს, რომელიც ე.წ. დაცვის საგამონაკლისო უფლებებით არის ცნობილი (მაგ: უდანაშაულობის პრეზუმცია, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ არც თანასწორობა და არც შეჯიბრებითობა არ არის აბსოლუტური უფლება, არსებობს საგამონაკლისო შემთხვევები, რომელიც ერთი შეხედვით არახელსაყრელ პოზიციაში აგდებს მეორე მხარეს, აქედან გამომდინარე, კანონმდებლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბალანსის დაცვა, რათა შეჯიბრებით პრინციპს განხორციელების საშუალება მიეცეს. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, თუ საქმის გამოკვლევა მოხდება ყოველმხრივ, მხარეთა თანასწორობაზე დამყარებულ შეჯიბრებითი პრინციპის განხორციელებისას.

#### 1.4 შეჯიბრებითობის პრინციპი იტალიის სისხლის სამართალწარმოებაში - „სამართლიანი სასამართლოს“ რეფორმა

*„ახალი იტალიური კოდექსი*

*წარმოადგენს მე-20 საუკუნის*

*ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას“<sup>19</sup>*

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციური პრინციპისგან თავის დასაღწევად, იტალიაში 1988 წელს ჩატარდა ყველაზე დიდი საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც „სამართლიანი სასამართლოს“ სახელით შევიდა ისტორიაში. აღნიშნული რეფორმით, იტალიის სისხლისსამართლებრივმა კანონმდებლობამ, მიუღებლად ჩათვალა მოსამართლის მხრიდან დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება, მტკიცებულების მოპოვება და შემდეგ ვერდიქტის გამოტანა და გადაწყვეტა ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მსგავსად, შეჯიბრებითი პრინციპის, როგორც ფუნდამენტური პრინციპის შემოღება სისხლის სამართალწარმოებაში. 1989 წელს მიღებული ახალი სისხლის

<sup>19</sup> Ennio Amodio, Eugenio Selvaggi, An Accusatorial System in a Civil Law Country: The 1988 Italian Code of Criminal Procedure, Temple Law Review, Vol. 62, No. 4, 1989, 1211

სამართლის საპროცესო კოდექსი, მიზნად ისახავდა ისეთი დემოკრატიული საფუძვლების შექმნას, რომელიც მოიცავდა მოსამართლისთვის ზემოთხსნეული უფლებების ჩამორთმევას და სახელმწიფო ბრალმდებლისთვის გადაცემას, ორი „თანაბარმნიშვნელოვანი“ სუბიექტის წარმოდგენას, რომლებიც საკუთარი ძალებით მოიპოვებდნენ მტკიცებულებებს და ჩაატარებდნენ ჯვარედინ დაკითხვას, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოძახებული მოწმის მიმართ. „სამართლიანი სასამართლოს“ რეფორმა ძირეულ ცვლილებებს მოითხოვდა, ინკვიზიციური პრინციპიდან შეჯიბრებით პრინციპზე გადასვლა ნიშნავდა არა მარტო საპროცესო სტრუქტურის რეფორმას, არამედ მთლიანად სისხლის სამართალწარმოების შეცვლას. იტალიის მაგალითმა კი, ნათლად დაგვანახა ის პრობლემები, თუ რა ელის კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის წევრ ქვეყანას როდესაც, ინკვიზიციური პრინციპის მქონე საუკუნოვანი ისტორიის შემდეგ, ერთიანი რეფორმით მოისურვებს ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელი პრინციპის დამყარებას.<sup>20</sup>

კოდექსის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ არ არსებობს გამოძიება სრული მიუკერძოებლობის გარეშე. გამოძიებისა და მტკიცებულების შეგროვების პროცესში, ყოველთვის იბადება სუბიექტური შეხედულება მომხდართან დაკავშირებით, შესაბამისად სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვდა ობიექტური ჭეშმარიტებისკენ სწრაფას, საჭირო გახდა გამოძიებისა და პროცესის გამიჯვნა, რაც მაქსიმალურად შეამცირებდა მიკერძოებული გადაწყვეტილების ალბათობას.<sup>21</sup> მოსამართლე, რომელიც წინათ გამოძიებლის უფლებებითაც სარგებლობდა, ამჯერად ვალდებული იყო დაეცვა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი საგამოძიებო ეტაპიდანვე. მას უნდა უზრუნველყო ის გარანტიები, რომელიც დაიცავდა ბრალდებულს მისი უფლებების შეზღუდვისაგან, სახელმწიფოს მხრიდან. მისი ვალდებულება ზედამხედველობას მოიცავდა, რაც გულისხმობდა თანაბარი პირობების არსებობას პროცესში მონაწილე ორივე მხარისათვის. ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა თვალთვალი, ფარული მოსმენა და ა.შ. მხოლოდ მისი ნებართვით შეიძლებოდა ეწარმოებინა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. ცალსახად გაიმიჯნა სახელმწიფო ბრალდების ფუნქცია. პროკურორი აღარ იყო ვალდებული ეწარმოებინა ყოველმხრივი გამოძიება სიმართლის დასადგენად, იგი მხოლოდ ბრალდებისთვის საჭირო მტკიცებულებებზე იყო კონცენტრირებული. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლის განმარტებით, პროკურორი ვალდებულია შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია 326-ე მუხლით, ამასთანავე შეაფასოს ყველა ის გარემოება, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების ეტაპზე და ბრალდებულის პოზიციას ამყარებს<sup>22</sup>. შედეგად დაისვა უამრავი კითხვა

<sup>20</sup> Changsheng Li, Adversary System Experiment in Continental Europe – Several Lessons from the Italian Experience, Journal of Politics and Law, Vol 1, No 4, 2008, 13

<sup>21</sup> Michele Panzavolta, Reforms and Counter-Reforms in the Italian Struggle for an Accusatorial Criminal Law System, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, 2005, 585

<sup>22</sup> Changsheng Li, Adversary System Experiment in Continental Europe – Several Lessons from the Italian Experience, Journal of Politics and Law, Vol 1, No 4, 2008, 14

თუ რა უნდა მოიმოქმედოს პროკურორმა უშუალოდ ბრალდებულისთვის სასარგებლო მტკიცებულებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლების ყველაზე გავრცელებული განმარტებით, პროკურორმა ყოველმხრივ უნდა აწარმოოს გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულება იმ ეტაპამდე, სანამ დარწმუნდება გამოკვეთილია თუ არა პირის აშკარა ბრალეულობა და ღირს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ პროკურორი თავიდანვე უგულებელყოფს ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც საქმის გარშემო არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს ბრალდებულის სასარგებლოდ აღწერს და გამოძიებას, მხოლოდ ერთი მიმართულებით წაიყვანს, საქმის არსებით განხილვაზე ან, ჯერ კიდევ, წინასასამართლო სხდომაზე მისი წაგება გარდაუვალი იქნება. ბრალდების მხარემ უნდა იცოდეს დაცვის მხარის პოზიცია და მზად უნდა იყოს იმ მტკიცებულებებისთვის, რომლებიც წარმოდგენილ იქნება მის წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედება სახელმწიფო ბრალმდებლის მხრიდან მხოლოდ წინდახედულობისა და ელემენტარული სიფრთხილის გამოვლენის ნიშანია და არაფერი აკავშირებს ინკვიზიციური პრინციპის მახასიათებლებთან.<sup>23</sup>

რეფორმის ავტორებმა კარგად იცოდნენ, რომ მიუხედავად თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითი პრინციპის არჩევისა, პროცესში მონაწილე ორი მხარე ვერასდროს იქნებოდა რეალურად თანასწორი. მათ გადაწყვიტეს გაეთვალისწინებინათ რიგი შემთხვევებისა, როდესაც სავალდებულო იქნებოდა ადვოკატის წინასწარ გაფრთხილება და მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ადვოკატს მიენიჭა ისეთი ზოგადი უფლებები როგორცაა, ბრალდებულის დაკითხვაზე დასწრება, თავისუფალი კომუნიკაცია მის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, უფლება ეწარმოებინა კონტროლი საგამოძიებო ორგანოს აქტივობებზე ბრალდებულის მიმართ და ა.შ. მათ შეიმუშავეს მტკიცებულებათა წარდგენის ახალი სტანდარტი, რომლის მიზანი მოსამართლის მიუკერძოებლობის გამყარებას წარმოადგენდა. დაუშვებელი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ საგამოძიებო ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებათა წინასწარ გაცნობა. ბრალდების მხარის მიერ, გამოძიების ეტაპზე, ეტაპობრივად მოპოვებულ მტკიცებულებებს ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა მოსამართლის საბოლოო ვერდიქტზე. მას მხოლოდ არსებითი განხილვისას წარმოდგენილი და შეფასებული მტკიცებულებებით უნდა მიეღო გადაწყვეტილება.<sup>24</sup> პროკურორს არ ჰქონდა უფლება, საკუთარი ინიციატივით გაეჟღერებინა წინასწარ გაკეთებული განცხადებები ან სხვა საგამოძიებო ჩანაწერები. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს, სასამართლოს სხდომაზე, არ შეეძლოთ ჩვენების მიცემა მოწმის სტატუსით იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც მათ გამოძიების ეტაპზე სხვადასხვა პირთა გამოკითხვით შეაგროვეს. სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებები, მხოლოდ და მხოლოდ, მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაში აღწერილი ვითარების დასაზუსტებლად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. თუმცა ბრალდების

<sup>23</sup> იქვე, 14, F.Cordero, *Procedura Penale*, (4th ed). 1998, §742

<sup>24</sup> Michele Panzavolta, *Reforms and Counter-Reforms in the Italian Struggle for an Accusatorial Criminal Law System*, *North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation*, 2005, 587

მხარის მსგავს შეზღუდვებს, მხოლოდ იმიტომ რომ, თანასწორობა ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო დაცული, შესაძლოა საგამომიებო ეტაპზე შეგროვებულ მტკიცებულებათა უმეტესობა არაეფექტური გაეხადა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. შესაბამისად, არსებობდა საგამონაკლისო შემთხვევები. მაგ: მხარეებს მიეცათ უფლება, საქის განხილვაზე გამოეყენებინათ საგამომიებო ჩანაწერებში არსებული წინასწარ მიცემული ინფორმაციები, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, სხვაგვარად, წარმოუდგენელ ძალისხმევას მოითხოვდა ან გაუმართლებლად დიდ რესურსთან იყო დაკავშირებული (ასევე თუ შეუძლებელი იყო სხვა გზით წარმოდგენა). ბრალდების მხარეს მიეცა უფლება გამოეყენებინა ბრალდებულის წინასწარი ჩვენება, რომელიც პროკურორს შესაბამისი ოფიციალური წესით ჰქონდა ჩაბარებული და ა.შ. (ყურადღება გამახვილებული იყო უშუალოდ პროკურორზე, ვინაიდან პოლიციის თანამშრომლისთვის, გამომძიებლისთვის ან საგამომიებო ორგანოს სხვა უფლებამოსილი პირისთვის აღნიშნულის ჩაბარება არ წარმოშობდა ზემოთხსენებულ უფლებას). იტალიის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხაზს უსვამდა მხარეთა უფლებამოსილებას, საკუთარი შეხედულებებისამებრ მოეპოვებინათ და წარედგინათ მტკიცებულებები. წინა კოდექსისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც მოსამართლე უშუალოდ მონაწილეობდა და აკონტროლებდა მტკიცებულებათა მოძიებას, მოწმეთა დაბარებას, თვითონვე იწყებდა მოწმეთა დაკითხვას და აფასებდა შემდგომ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ახალი კოდექსით განიმარტა, რომ მტკიცებულების მოპოვება ხდებოდა მხოლოდ მხარის ინიციატივით. მხარემ თავად უნდა გადაწყვიტოს თუ რომელი მტკიცებულება იქნება მისთვის სასარგებლო, წარმოადგენს თუ არა საქმის განხილვის ეტაპზე და რა ფორმით განახორციელებს აღნიშნულს.

„სამართლიანი სასამართლოს“ სახელით ცნობილი რეფორმის ავტორებისთვის შეჯიბრებითობის პრინციპის წმინდა გამოვლინება ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემა იყო. აქედან გამომდინარე, ახალ კოდექსში ის ფუნდამენტური პრინციპები, რომელსაც შეჯიბრებითობა მოიცავს, მაქსიმალურად მიმსგავსებული იყო აშშ-ს სისხლის სამართალწარმოებაში არსებულ პრინციპებთან. თუმცა, ინკვიზიციური პრინციპის გამოცდილებამ რთული გახადა მოსამართლის გადაქცევა მხოლოდ ნეიტრალურ არბიტრად. ანგლოამერიკული სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელი წმინდა შეჯიბრებითი პრინციპიდან გამონაკლისები იტალიის ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აშკარა იყო. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებოდნენ ირიბი ჩვენებების გამოყენებაზე, მოსამართლეს შეეძლო მოეთხოვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებდა მათ სისწორეში. ასევე უფლებამოსილი იყო გამოეკითხა მოწმე, როდესაც მხარეები დაამთავრებდნენ მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესით დაკითხვას, ამასთან შეეძლო მხარეებისთვის მიეთითებინა იმ საკითგებზე, რომელზეც საჭირო იქნებოდა ყურადღების

გამახვილება მოწმის დაკითხვის დროს.<sup>25</sup> განსხვავდებოდა საპროცესო შეთანხმების პირობები და ეტაპები. იტალიაში ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა შეეძლო, როგორც წინასასამართლო სხდომაზე, ისე საქმის არსებითი განხილვისას, როდესაც ყოველი საგამოძიებო და დოკუმენტური საქმიანობა დამთავრებული იყო; შეზღუდული იყო საპროცესო შეთანხმების სამოქმედო არეალი, რომელიც ძირითადად ვრცელდებოდა ისეთ დანაშაულებზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებდა ფულად ჯარიმას ან შემამსუბუქებელი გარემოებების ფონზე, ერთი მესამედით შემცირების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატებოდა 2 წელს; იტალიაში პროკურორი და ბრალდებული აღარ კამათობდნენ იმ დანაშაულის ბუნებაზე, რომელზეც ეს უკანასკნელი თავს დამნაშავედ ცნობდა.<sup>26</sup>

1989 წლის ახალმა კოდექსმა იტალიაში მთლიანად შეცვალა ინკვიზიციურ პრინციპზე დამყარებული, მოსამართლის მიერ დომინირებული, სისხლის სამართალწარმოება, შეჯიბრებითი პრინციპით. თუმცა რეალურად „დაწერილი კანონი“ განსხვავდებოდა „სამოქმედო კანონისაგან“. ახალი საკანონმდებლო რეგულაციების რეალიზება ხდება არა კოდექსში ჩაწერილი სამართლიანი პრინციპებით, არამედ ამ რეგულაციების შემსრულებლებით. აღნიშნულმა სამართლიანმა პრინციპებმა, რეგულაციების განმახორციელებლისგან გარკვეული აღიარება უნდა მოიპოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება დაპირისპირებას. იტალიის პრობლემა კი სწორედ ეს აღმოჩნდა. სამართლებრივი სისტემა, რომლის მთავარი პრინციპიც ეწინააღმდეგება კონტინენტური სამართლის უმთავრეს პრინციპს, რეალიზაციის დროს განწირულია წინააღმდეგობისთვის. უფლებრივ დომინირებას მოკლებული მოსამართლეებისა და პროკურორების უკმაყოფილება ახალი საკანონმდებლო რეგულაციებისადმი, საბოლოოდ საკონსტიტუციო საჩივრამდე მივიდა. აქცენტი კეთდებოდა სწორედ იმ მუხლებზე, რომლითაც ცალსახად გაიმიჯნა ერთმანეთისგან გამოძიება და სასამართლო პროცესი.<sup>27</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს „თავდასხმებმა“ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, გარკვეულწილად, შედეგი გამოიღო. წმინდა შეჯიბრებითობასთან მიმართებაში, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არაერთი გადაწყვეტილება, რომელთაგანაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გადაწყვეტილება № 24/1992, სადაც განიხილებოდა 1989 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის კონსტიტუციურობა.<sup>28</sup> საუბარი იყო საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებზე, რომელთაც არ შეეძლოთ ჩვენება მიეცათ, საქმის განხილვის ეტაპზე, იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა გამოძიების ეტაპზე სხვა პირების დაკითხვის შედეგად. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული შეზღუდვა ირიბ ჩვენებაზე არ ვრცელდება სხვა მოწმეებზე, შესაბამისად მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებზე

<sup>25</sup> Changsheng Li, Adversary System Experiment in Continental Europe – Several Lessons from the Italian Experience, Journal of Politics and Law, Vol 1, No 4, 2008, 15

<sup>26</sup> იქვე, 15, Elisabetta Grande, Italian Criminal Justice: Borrowing and Resistance, 2000. 48,227.

<sup>27</sup> იქვე, 17

<sup>28</sup> The Constitutional Court of Italian Republic, Judgment No. 24, 1992

<http://www.giurcost.org/decisioni/1992/0024s-92.html> (ბოლოს ნანახია 12.05.2019)

გავრცელება არსებითად არღვევს თანასწორობის პრინციპს, რაც დაუშვებელია შეჯიბრებით პრინციპთან მიმართებაში.<sup>29</sup> საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე №111/1993, როდესაც პირდაპირ დაუპირისპირდა ისეთ ძირეულ პრინციპს, როგორც არის მხარეთა პრეროგატივა მოსაპოვებელ და წარსადგენ მტკიცებულებებზე.<sup>30</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ თუ სახელმწიფო ბრალმდებელი ვერ წარმოადგენს მტკიცებულებებს სასამართლოში, გამოწვეული იქნება ეს მისი დაუდევრობით თუ ინიციატივის ნაკლებობით, მაშინ მოსამართლე უფლებამოსილი იქნება თვითონ მოიძიოს საკმარისი მტკიცებულებები სიმართლის დასადგენად. საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საპროცესო განხილვის მთავარ მიზანს, დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე დასაშვებია მხარეების სრული თავისუფლების შეზღუდვა მტკიცებულებების მოპოვებასა და წარმოდგენასთან დაკავშირებით.<sup>31</sup> მოსამართლეებისა და პროკურორების უკმაყოფილების შედეგად დაწყებულ „საკონსტიტუციო იერიშს“ ისიც ემატებოდა, რომ იტალიაში ფართოდ იყო გვარცელებული ორგანიზებული დანაშაული, რომელთანაც ბრძოლა ახალი მეთოდებით უფრო რთულდებოდა. როდესაც საქმე 400მდე ბრალდებულს, 300-ზე მეტ მსჯავრდებას და სასამართლო პროცესის 25 თვეს ეხება, თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული წმინდა შეჯიბრებითი პრინციპი „ჩიხში“ შედის. მოსამართლის ასეთი პასიური როლი, ერთგვარი ბარიერი აღმოჩნდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად იტალიის სასამართლო სისტემისათვის. როგორც კონტინენტური ევროპის წევრ ქვეყანაში, იტალიის ტრადიციული სისხლის სამართალი ემყარებოდა იმ იდეას, რომ მიუკერძოებელი და კვალიფიციური გამომძიებელი შეძლებდა სრულად დაედგინა საქმის გარშემო არსებული ფაქტები. თუმცა ახალმა კოდექსმა გადაწყვიტა, რომ არ არსებობს ობიექტური გზა ფაქტებისა და გარემოებების დასადგენად, სიმართლის გამოსააშკარავებლად ყველაზე სწორი გზა მოწინააღმდეგე მხარეების დაპირისპირებაა.<sup>32</sup>

1997 წელს, იტალიის პარლამენტმა გადაწყვიტა აღედგინა პირვანდელი სამართლებრივი სისტემა, სადაც მთავარი გადამწყვეტი რგოლი ისევ საპროცესო განხილვა იქნებოდა. რეფორმა მოიცავდა მთელ რიგს უფლებებისა, რომელიც ბრალდებულს „შეჯიბრის“ საშუალებას მისცემდა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სასამართლო სხდომამდე მიცემულ ჩვენებებზე, კერძოდ როდესაც დანაშაულის თანამონაწილე, წინასწარი ჩვენების მიცემის შემდეგ, უშუალოდ საქმის განხილვისას უარს ამბობს სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ასეთ შემთხვევებში, ცალ-ცალკე ჩვენებები დაუშვებელი

<sup>29</sup> სკოლიო №23, 17, William T. Pizzi, Mariangela Montaga, The Battle to Establish an Adversarial Trial System in Italy, Michigan Journal of International Law, Vol 25. Iss. 2, 2004

<sup>30</sup> The Constitutional Court of Italian Republic, Judgment No. 111, 1993  
<http://www.giurcost.org/decisioni/1993/0111s-93.html> (ბოლოს ნანახია 12.05.2019)

<sup>31</sup> სკოლიო №23, 17, Mireille Delmas-Marty & J. R. Spencer, European Criminal Procedure, London: Cambridge University Press, , 2002, §6

<sup>32</sup> Michele Panzavolta, Reforms and Counter-Reforms in the Italian Struggle for an Accusatorial Criminal Law System, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, 2005, 610

მტკიცებულებაა ბრალის დადგენის კუთხით. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ასეთი ნორმა არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას, ვინაიდან ირღვეოდა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. საბოლოოდ საქმე მივიდა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დაპირისპირებამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის, სისტემატურად, არასწორმა ინტერპრეტაციამ მიახვედრა პარლამენტი, რომ დრო იყო შეცვლილიყო კონსტიტუცია, რათა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულიყო სამართლებრივი პრინციპები. შესაბამისად საკონსტიტუცია კანონით № 2/1999, 111-ე მუხლში შევიდა ძირეული ცვლილებები, რამაც საბოლოოდ აღადგინა შეჯიბრებითობის პრინციპი. მუხლი მოიცავდა ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა სასამართლოს მიერ მხარეებისთვის თანაბარი პირობების შექმნა მტკიცებულებათა წარმოსადგენად; დაცვის მხარისთვის შესაბამისი დროის მიცემა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; მტკიცებულებების მოძიებისა და წარგდენის უფლების მხარეებისთვის მიკუთვნება და ა.შ.<sup>33</sup>

საბოლოოდ იტალიამ შეძლო, დაებრუნებინა და ახლიდან ჩამოეყალიბებინა თანასწორუფლებიანობასა და შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული სისხლის სამართალი. თუმცა გზად შეხვედრილმა უამრავმა წინააღმდეგობამ, დაანახა მთელ მსოფლიოს ის პრობლემები, რაც ელის ნებისმიერ სამართლებრივ სისტემას ფუნდამენტური პრინციპების შეცვლის შემთხვევაში. ასეთ ძირეულ ცვლილებებამდე გასათვალისწინებელია თუ რა გზა განვლო საკუთარმა სამართლებრივმა სისტემამ და რა ისტორია უმაგრებს ზურგს „სამართალშემოქმედებს“. ხშირად ისმის მოსაზრება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო განხილვის უმთავრესი მიზანი არა ობიექტური ჭეშმარიტების გარკვევაა, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიანი შეჯიბრის უზრუნველყოფა. კონტინენტური სამართლისთვის, კი ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა სიმართლის დადგენა, აქედან გამომდინარე ენიჭებოდათ მოსამართლეებს დამატებითი უფლებამოსილებები საპროცესო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. რეფორმამ აჩვენა, რომ მხოლოდ იდეალური კოდექსის და სამართლიანი პრინციპების შემოღება არაა საკმარისი მიზნის მისაღწევად, თუ ამ კოდექსის „აუდიტორია“ მიჩვეულია დამატებით უფლებამოსილებას და საქმის სხვა მექანიზმებით წარმართვას. ამ და სხვა პრობლემების მიუხედავად, იტალია ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის წევრმა ქვეყანამ განახორციელა ასეთი ძირეული ცვლილება ერთიანი მასშტაბური რეფორმით. ცვლილება, რომელიც უარს ამბობდა საუკუნოვანი ისტორიისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ინკვიზიციურ პრინციპზე და ჩანერგა, მისთვის სრულიად ახალი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. ასეთმა „რადიკალურმა“ მიდგომამ, გზად წამოჭრილი წინააღმდეგობებმა და მათთან გამკლავების საშუალებებმა, იტალიის „სამართლიანი

<sup>33</sup> Changsheng Li, Adversary System Experiment in Continental Europe – Several Lessons from the Italian Experience, Journal of Politics and Law, Vol 1, No 4, 2008, 19

სასამართლოს“ რეფორმა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ ტრანსფორმაციად აქცია.

## თავი II

### მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში

#### 2.1 მტკიცებულების ცნება და კლასიფიკაცია

ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დასადასტურებლად, მოსამართლეს ესაჭიროება „ობიექტური ფუნდამენტი“, რომელსაც ქმნის სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები.<sup>34</sup> მტკიცებულების ვრცელი საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე პუნქტში, რომლის მიხედვითაც, იგი წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის შემცველ საგანს, დოკუმენტს ნივთიერებას ან სხვა ობიექტს, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში იცავენ თავიანთ კანონიერ ინტერესებს. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა მტკიცებულების სახეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს უკავშირებს. ნებისმიერი სახის ინფორმაცია თუ საგანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მტკიცებულება, თუ აღნიშნული წარდგენილი იქნება სასამართლოს წინაშე. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა მოპოვება სრულად მხარეებზეა დამოკიდებული. საპროცესო მოქმედებების შედეგად, მხარეების მიერ მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოსთვის წარდგენის შემდეგ, წყდება მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი. მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი ინფორმაციას მტკიცებულების სახელი მიანიჭოს, რადგან მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. „მტკიცებულება არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წყაროებიდან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული ცნობები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ქმედების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მართლწინააღმდეგობის შესახებ, ბრალის შესახებ, ქმედების ჩადენის შესახებ, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, ზიანის არსებობის შემთხვევაში მიყენებული ზიანის ხასიათისა და ოდენობის შესახებ.“<sup>35</sup>

მტკიცებულებას ახასიათებს ზოგადი კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მათი დაყოფა წარმომავლობის, შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით. მტკიცებულებები შეიძლება განვასხვაოთ, როგორც *გამამტყუნებელი და გამამართლებელი, პიროვნული და ნივთიერი, პირველადი და წარმოებული, პირდაპირი და არაპირდაპირი*. გამამტყუნებელ და გამამართლებელ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს შეჯიბრებითი პრინციპი, ვინაიდან სწორედ ამ

<sup>34</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 200

<sup>35</sup> მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარები, 2007, 276

დროს ბრალდებისა და დაცვის მხარეები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცდილობენ მოიპოვონ მტკიცებულებები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. გამამტყუნებელ მტკიცებულებად ითვლება ყველა ის ინფორმაცია თუ საგანი, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას ან სხვაგვარად ამძიმებს მის პროცესუალურ მდგომარეობას. გამამართლებელია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ამართლებს პირს ჩადენილ დანაშაულში, ან გამოიყენება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების ეტაპზე გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, სსსკ-ს 37- მუხლის მე-2 პუნქტით. თუმცა არ არსებობს ბრალმდებლის ვალდებულება, რომ სასამართლოში წარადგინოს ბრალდების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები. თავის მხრივ დაცვის მხარე უფლებამოსილია მოიპოვოს გამამართლებელი მტკიცებულებები, თუმცა არ არსებობს ვალდებულება, ვინაიდან მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება. პიროვნული და ნივთიერი დაყოფა დამოკიდებულია ინფორმაციის მიღების წყაროზე. როდესაც, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია მომდინარეობს პროცესში მონაწილე პირისაგან, სახეზეა პიროვნული სახის მტკიცებულება, ხოლო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია მატერიალური საგნის ნიშნების, თვისების ან მასზე არსებული კვალის უშუალო აღქმით, მიეკუთვნება ნივთიერ მტკიცებულებას.<sup>36</sup> რაც შეეხება პირველად და წარმოებულ მტკიცებულებებს, პირველად მტკიცებულებად ითვლება ის მტკიცებულება, რომელიც მიღებულია პირველადი წყაროდან, ხოლო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს პირველწყაროს და გამომდინარეობს სხვა წყაროდან, წარმოებული მტკიცებულებაა.<sup>37</sup> მტკიცებულების პირდაპირი და არაპირდაპირი სახით დაყოფა, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან კლასიფიკაციას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მტკიცების საგანთან. თუ მტკიცებულება უშუალოდ მიუთითებს მტკიცების საგანს მიკუთვნებულ გარემოებაზე და უარყოფს ან ამტკიცებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტებს, როგორც შეიძლება იყო ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებაში, მიიჩნევა პირდაპირ მტკიცებულებად. არაპირდაპირი კი იქნება ისეთი მტკიცებულება, რომელიც არ არის უშუალო კავშირში მტკიცების საგანთან, არ ახდენს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებას, თუმცა სხვა მტკიცებულებებთან და ფაქტების განხილვასთან ერთად, იძლეოდეს საქმესთან დაკავშირებულ არსებით გარემოებებზე დასკვნების გამოტანის საშუალებას.<sup>38</sup>

არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას ხაზს უსვამს სისხლის სამართლის ევროპული სასამართლო, იქიდან გამომდინარე, რომ კომპლექსურ საქმეებზე მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებით სისხლისსამართლებრივი დევნა პრაქტიკულად შეუძლებელია და განმარტავს, რომ არაპირდაპირია ყველა ის

<sup>36</sup> გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, გოგშელიძე (რედ.), 2009, 396-400

<sup>37</sup> იქვე, 397-398

<sup>38</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 205

მტკიცებულება, რომელიც დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებს ეხება და მათი საშუალებით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება ფაქტის არსებობის შესახებ.<sup>39</sup>

### 2.1.1 მტკიცებულების ისტორიული განვითარება

ადრეულ ევროპულ კულტურაში მტკიცებულებათა რაციონალური გამოყენება არ იყო ხშირი წესი ან უბრალოდ არ იცოდნენ მის შესახებ. ზოგადად, ბრალდებული ვალდებული იყო დაემტკიცებინა საკუთარი უდანაშაულობა. მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ, მისაღები იყო ჩვეულებების გამოყენება სასამართლო პროცესზე, ჩრდილოეთ იტალიის უნივერსიტეტში, იურისტების მიერ შემუშავებულ იქნა ისეთი „მტკიცებულებითი სამართალი“, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა მთელს ევროპაზე. რომანულმა სამართალმა გააცნო ის საერთო პროცედურების ელემენტები, რომლებიც ცნობილი გახდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის. ახალი გავლენის ქვეშ, მტკიცებულება, უპირველეს ყოვლისა, ფასდებოდა იერარქიულ საფუძვლებზე.<sup>40</sup> გამომდინარე იქიდან, რომ იმდროინდელი კანონი ეფუძნებოდა უთანასწორობის კონცეფციას, ყველა პირს არ შეეძლო გამოსულიყო პროცესზე მოწმის როლში. მხოლოდ შესაბამისი სტატუსის მქონე, ორი ან მეტი პირის ჩვენება შეიძლებოდა ჩათვლილიყო მტკიცებულებად. აღნიშნული იერარქიული საფუძვლებიდან გამომდინარე, მიღებული მტკიცებულებათა ფორმალური თეორია აღარ უტოვებდა მოსამართლეს დიდ არჩევანს, უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე „შესაფერისი“ მოწმის ჩვენება ერთმანეთს დაემთხვეოდა, იგი ვალდებული იყო შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო.<sup>41</sup> მოწმეთა შესაფერისობა მხოლოდ უთანასწორობაზე არ იყო დამყარებული. ეტაპობრივად დაიწყო სავარაუდო მოწმეთა ჩარჩოს შექმნა. აღნიშნული გულისხმობდა ისეთი პირებისთვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, რომელთა გონებრივ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არ იყვნენ. ზოგ შემთხვევაში მოწმედ გამოსვლის უფლებას აძლევდნენ, თუმცა სანდოობის ნაკლებობის გამო მათ ჩვენებას უგულებელყოფდნენ. მოწმედ ყოფნის შესაძლებლობა არ იყო მხოლოდ იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად შეეძლო პირს ზუსტად გადმოეცა ფაქტობრივი გარემოებები. დროთა განმავლობაში დამკვიდრდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც უნდა გამოკითხულიყო ყველა ის პიროვნება, რომელთა ჩვენებებიც საბოლოოდ სიმართლის დადგენამდე მიიყვანდა სასამართლოს. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის, რომ მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებთან ერთად არაპირდაპირი მტკიცებულებებიც ჩაერთო საპროცესო განხილვაში. თუმცა რიგი შეზღუდვები დაწესდა ირიბ ჩვენებებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათი სანდოობის შემოწმება სასამართლოს არ შეეძლო. ირიბი ჩვენების მიმცემი პირი, სხვა მოწმისგან განსხვავებით, არ იყო სასამართლოს წინაშე ვალდებული, მასზე არ ვრცელდებოდა

<sup>39</sup> გიორგი თუმანიშვილი, ლავრენტი მაღლაკელიძე, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №1(53)-2017წ. 40

<sup>40</sup> Heinrich Nagel, Jerry Norton, Law Evidence, §1.3 The influence of Roman-Canonical Law, 2011, 1

<sup>41</sup> Heinrich Nagel, Jerry Norton, Law Evidence, §2.4 , The free evaluation of evidence, 2011, 2

ჯვარედინი დაკითხვა (სადაც ყველაზე რეალურად დგინდებოდა ობიექტური ჭეშმარიტება) და სხვ. შესაბამისად ბევრი მიიჩნევდა, რომ ასეთი სახის ჩვენებას შეეძლო სასამართლო შეცდომაში შეყვანა. მე-19 საუკუნემდე ფორმალური მტკიცებულების თეორია ცალსახად განმარტავდა, თუ როდის უნდა დარწმუნებულიყო მოსამართლე მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაში. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა მოსამართლეს სრული თავისუფლება მიანიჭა, შიანაგნი რწმენით ეწარმოებინა მტკიცებულებათა შეფასება, რამაც ირიბ ჩვენების როლის გაზრდაზე, დიდი ზეგავლენა მოახდინა.<sup>42</sup>

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მოწმეთა ჩვენების ფუნდამენტური როლი სიმართლის დადგენაში, ერთმნიშვნელოვად შეამცირა და გაზარდა ისეთი მტკიცებულებების როლი, რომელთა უტყუარობის ხარისხიც უფრო სანდო იყო სასამართლოსთვის. საუბარი ეხება უშუალოდ სასამართლო ექსპერტიზების წინ წამოწევას, რასაც შედეგად მოჰყვა ნივთიერი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების ფართო გამოყენება. მე-19 საუკუნე განსაკუთრებულია იმ უმნიშვნელოვანესი ინოვაციებით, რომელიც მიმართული იყო მტკიცებულებათა გამოკვლევისკენ, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში ფიქსირდება პირველად დოკუმენტის ავთენტურობის შემოწმება, სისხლის ანალიზი, ტყვიის შედარება და სხვ. მე-19 საუკუნეში მოხდა პირველად ფოტოგრაფიის გამოყენება დამნაშავეთა იდენტიფიკაციისთვის, დანაშაულის ადგილისა და ადგილზე ნაპოვნი ნივთიერი მტკიცებულებების დოკუმენტაციისთვის. (სამედიცინო ექსპერტიზისთვის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩინელ „სონგ ცის“, რომელიც XII – XIII საუკუნეებში დაკავებული იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით. 1247 წელს, მიეს მიერ გამოცემულ წიგნში იგი საუბრობდა თუ როგორ უნდა მომხდარიყო ნივთმტკიცებათა შეფასება მათ დაუზიანებლად, შენახვა და შემდეგ წარმოდგენა. განხილულია რამდენიმე დანაშაულებრივი შემთხვევა, როდესაც ხდებოდა ორგანიზმის დათალიერება და დადგენა, თუ რა საგნით იყო ჭრილობა მიყენებული. მას განხილული აქვს ასევე თუ როგორ უნდა განასხვავოს სამედიცინო ექსპერტმა დახრჩობა გაგუდვისაგან)<sup>43</sup>. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება გახმაურებული მკვლელობის საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1910 წლის 19 სექტემბერს, დილის 2 საათზე, კლარენს ჰილერის მიმართულებით სამჯერ განახორციელეს გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, თომას ჯენინგსი კი გახდა პირველი ადამიანი ვის წინააღმდეგაც, სასამართლო პროცესზე, გამოყენებულ იქნა თითის ანაბეჭდები, როგორც მტკიცებულება<sup>44</sup>.

<sup>42</sup> იქვე, §4.2, Reliability of Witness Testimony, 2011, 1

<sup>43</sup> Crime Laboratory System, Forensic Science History

[https://www.troopers.ny.gov/Crime\\_Laboratory\\_System/History/Forensic\\_Science\\_History/](https://www.troopers.ny.gov/Crime_Laboratory_System/History/Forensic_Science_History/) (ბოლოს ნანახია 05.06.2019)

<sup>44</sup> Francine Uenuma, The First Criminal Trial That Used Fingerprints as Evidence,

<https://www.smithsonianmag.com/history/first-case-where-fingerprints-were-used-evidence-180970883/>

(ბოლოს ნანახია 05.06.2019)

## 2.2 მტკიცებულების ადგილი და მისი სახეები სისხლის სამართლის პროცესის სიტყვაში

სისხლის სამართლის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მტკიცებულებას უკავია. როგორც ქართული, ისე უცხოური სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ცალსახად განმარტებულია, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ პროცესზე წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვაქვს ნაფიცმსაჯულთა სასამართლოსთან, მათ აძლევენ მკაფიო მითითებას, რომ საბოლოო ვერდიქტი მხოლოდ პროცესზე განხილულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა გამოიტანონ. ისეთი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებისთვის როგორც საქართველოა, შეჯიბრებითობის პრინციპი აორმაგებს მხარეთა „ბრძოლისუნარიანობას“, რადგან მათ გააჩნიათ თანაბარი უფლებამოსილებები მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, იციან რომ მათთვის სასურველი განაჩენი, სრულიად მათ მომზადებაზეა დამოკიდებული. მტკიცებულების არსებობა აუცილებელია გამამტყუნებელი განაჩენისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლით დარეგულირებულია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ გონივრულს ეჭვს მიღმა არსებულ, აშკარა და შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. შესაბამისად პირის ბრალეულობა გამორიცხულია თუ სათანადო მტკიცებულებათა ერთობლიობა არ იქნა წარმოდგენილი და გამოკვლეული სასამართლო პროცესზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოყოფს შემდეგი სახის მტკიცებულებებს: ჩვენება (ბრალდებულის ჩვენება; მოწმის ჩვენება; ირიბი ჩვენება), ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი და პრეიუდიცია.

### 2.2.1 ჩვენება:

#### ა) ბრალდებულის ჩვენება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის X თავში დარეგულირებულია მტკიცებულების სახეები, რომელთაგანაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე დგას ბრალდებულის ჩვენება. სსსკ-ს 74-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა ვალდებულება. ასევე, ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით. მუხლის ბოლო ჩანაწერი ისევ იმ მიზანს ემსახურება, რომ გამამტყუნებელი განაჩენისთვის მოსამართლეს ესაჭიროება მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორთა განმარტებით, ბრალდებულის ჩვენებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. ჩვენების შინაარსი წარმოადგენს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც ეხება განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; 2. ამ

ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან - მტკიცების საგანთან; 3. ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით; 4. ამ ინფორმაციის მატარებელ პირს ბრალდებულის სტატუსი უნდა ჰქონდეს მინიჭებული.<sup>45</sup> ხშირად ბრალდებულის ჩვენება, როგორც დასაშვები მტკიცებულება ერევათ მისი მხრიდან ბრალის აღიარებაში. როდესაც პირს ბრალს წაუყენებენ და იგი გამოთქვას საკუთარ შეხედულებას ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით, საქმე გვაქვს უბრალოდ საპროცესო პოზიციასთან. იმისათვის, რომ ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულებად ჩაითვალოს, ის უნდა აღწერდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, უშუალოდ ეხებოდეს მტკიცების საგანს, აზუსტებდეს საქმის დეტალებს ან სხვა მტკიცებულებებთან ერთად ქმნიდეს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა ვალდებულება. იმ შემთხვევაში თუ იგი თავს შეიკავებს ჩვენების მიცემისგან, აღნიშნული არ უნდა შეფასდეს, როგორც მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ფაქტი. ბრალდების მხარემ უნდა წარადგინოს ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა ბრალდებულის მისცემს თუ არა ჩვენებას და თუ მისცემს, კონკრეტული ჩვენება არ სარგებლობს უპირატესობით სხვა მტკიცებულებებთან შედარებით. სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარების ავტორები მიიჩნევენ, რომ ბრალის აღიარება სასამართლოს მხრიდან კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს. როდესაც პირი აღიარებს დანაშაულს და საკუთარი თავის მამხილებელ ჩვენებას იძლევა, არაა გამორიცხული იგი უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით თანხმდებოდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის წაყენებულ ბრალს, ამასთანავე შესაძლებელია სხვისი ბრალის საკუთარ თავზე აღებას ცდილობდეს. მსგავს შემთხვევებში, ყოველთვის საჭიროა მეტი ყურადღება და სიფრთხილე.<sup>46</sup> ბრალდებულის ჩვენების შემოწმებისას, მისი შინაარსის ანალიზთან ერთად, აუცილებელია სხვა მტკიცებულებებთან შეპირისპირება, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს უკეთ გაერკვეს თუ რა ფაქტობრივი გარემოებები ზუსტდება საქმეზე არსებული სხვა მტკიცებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულის ჩვენებას უფლებამოსილებათა რიგს მიაკუთვნებს და არა ვალდებულებით, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულის უარს იტყვის დუმილის უფლების გამოყენებაზე, მას ჩვეულებრივ დაეკისრება პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენებისთვის. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ უნდა იქნეს გამოყენებული მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან მას შეიძლება შეცდომაში შეჰყავდეს სასამართლო და ამით სხვა ადამიანის ბრალეულობას საკუთარ თავზე იღებდეს. ბრალდებულმა წაყენებული ბრალი შეიძლება აღიაროს როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ. ნაწილობრივი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბრალდებულის არ ეთანხმება კონკრეტულ ფაქტობრივ

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 256

<sup>46</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 257

გარემოებას, უშუალოდ კვალიფიკაციას და ა.შ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვენება სრულ აღიარებასთან, სსსკ-ს მიხედვით, აუცილებელია დამატებითი მტკიცებულება, რომელიც დააკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულს სტანდარტს პირის ბრალეულობის შესახებ.

#### ა) მოწმის ჩვენება

არანაკლებ მნიშვნელოვანია მტკიცებულება, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესი იმ პერიოდიდან იცნობს, როდესაც სახელმწიფოები სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებამდე შორს იყვნენ და პროცესები, ჯერ კიდევ, ორთაბრძოლებით წყდებოდა. მოწმის ჩვენება და, ზოგადად, მოწმის ინსტიტუტი საუკუნოვან ისტორიას ითვლის სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებაში, რადგანაც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით დარეგულირებულია მოწმის სტატუსი: „მოწმე - პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ“.<sup>47</sup> სისხლის სამართლის საპროცესო განხილვისთვის და უშუალოდ მხარეთათვის, მნიშვნელოვანია, რომ პირს გააჩნდეს ინფორმაცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, შეძლოს ფაქტების სწორად აღქმა და დამახსოვრება, გამოირჩეოდეს ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით. იგი მოწმის სტატუსს იძენს უშუალოდ ფიცის დადების შემდეგ. პოტენციურ მოწმეთა წრე განუსაზღვრელია და მისი, კანონმდებლობით, წინასწარ მკაფიოდ ინდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელი. სისხლის სამართლის პროცესზე, მოწმედ შესაძლებელია გამოვიდეს ნებისმიერი პირი ასაკის, განათლების, სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, სწორედ ის გარემოებებია, რომლებიც „ხელს შეუშლის“ პირს მოწმის სტატუსის შეძენაში. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლის არსებობის დროსაც პირი არ არის ვალდებული იყოს მოწმე, ან სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს მოწმის მოვალეობის შესრულებისგან.

საკმაოდ ზოგადია საპროცესო კოდექსის განმარტება მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მოწმის ჩვენება წარმოადგენს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაციას, სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. „იმ გარემოებების ამომწურავი განსაზღვრა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, შეუძლებელია. მოწმე შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც შედის მტკიცების საგანში, ხოლო მისი ჩვენებები შესაძლებელია წარმოადგენდეს, როგორც ძირითადი ფაქტის დადგენას, ასევე შუალედური გარემოებების/ფაქტების დადგენის საშუალებას (რაც

<sup>47</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3 (20), 2009წ.

გამოიყენება სხვა მტკიცებულებათა სარწმუნოების შემოწმების, დადასტურების ან უკუგდებისათვის), როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი ხასითის, პირდაპირი ან ირიბი, თავდაპირველი ან ნაწარმოები. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღება მოწმისგან ყოველთვის გაშუალდებულ ალქმას უკავშირდება, ამიტომ მოწმის ჩვენება ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.<sup>48</sup> როდესაც საუბარია მოწმის ჩვენებაზე, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ჩვეულებრივი მოწმისა და ექსპერტის, როგორც მოწმის ჩვენება. მოწმის ჩვენება მოიცავს ზოგადად ინფორმაციას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ექსპერტი კი, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, კვლევების ჩატარების შედეგად აფასებს განვითარებულ მოვლენებს. ანგლო-ამერიკული სამართლებრივ სისტემისთვის დამახასიათებელ პროცესში, ექსპერტისადმი დამოკიდებულება დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი მოწმისაგან, ვინაიდან იგი, ძირითად შემთხვევაში, მხარის მიერ არის მოწვეული. არსებითი განსხვავება, სწორედ ისაა, რომ მას ეძლევა საშუალება საკუთარი შეფასება გამოთქვას მომხდართან დაკავშირებით. განსხვავებული მიდგომაა კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში, სადაც ექსპერტის მოძიება და დანიშვნა ხდება სასამართლოს მიერ, რითაც სასამართლო ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას და მიუკერძოებლობას. ხშირ შემთხვევაში, ექსპერტის წერილობითი დასკვნა საკმარისია, თუმცა მხარეები არ არიან შეზღუდულნი მისი პროცესზე დასწრების მოთხოვნით, რაც დამატებითი ახსნა-განმარტებების ვალდებულებას „წარმოშობს“ ექსპერტისთვის.<sup>49</sup> აქედან გამომდინარე ხშირად აღნიშნავენ, რომ „*მოწმე წარმოადგენს სასამართლოს დამატებით თვალს, ექსპერტი კი - სასამართლოს დამატებით გონებას.*“<sup>50</sup>

მოწმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს ინფორმაცია გარკვეული გარემოებების შესახებ და არა მოწმის სუბიექტური შეხედულებები და დასკვნები ფაქტების თაობაზე. მიუხედავად ამისა, მოწმის ჩვენების სუბიექტურ ჭრილს ვერსად გავეჩვენებთ, ვინაიდან მომხდარის ალქმა და შემდეგ გადმოცემა, ყოველთვის სუბიექტურია კონკრეტული პიროვნებებისთვის. შედეგად, ჩვენების რეალურ საგანს წარმოადგენს მოწმის მიერ პერსონალურად აღქმული ინფორმაცია მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც დაუშვებელია გადაიზარდოს მის ინდივიდუალურ შეფასებასა და სუბიექტურ დასკვნებში სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, მოწმის ჩვენება ვერ იქნება დასაშვები მტკიცებულება, თუ იგი ვერ მოახერხებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს მითითებას ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 37

<sup>49</sup> Heinrich Nagel, Jerry Norton, Law Evidence, §6 , Expert Evidence, 2011, 1

<sup>50</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 213

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენება უკავშირდება, ხშირ შემთხვევაში, წარსულში მომხდარ მოვლენას, მნიშვნელოვანია არამართო იმ მომენტში მომხდარი მოვლენების აღქმის, არამედ დამახსოვრებისა და აღდგენის უნარი. ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, პირველ რიგში, აღქმის სპეციფიკა, რადგანაც ცალკეული კატეგორიის პირებს ახასიათებთ მოვლენების დამახინჯებულად აღქმა, რაც პირდაპირ კავშირშია მათ სუბიექტურ მახასიათებლებთან, როგორცაა: გონებაგაფანტულობა, გადაღლილობა, განერვიულებული მდგომარეობა, სიმთვრალე, ძილბურანში ყოფნა, გადაღლილობა და ა.შ. და მეორე - დროის ხანგრძლივობა. რაც უფრო დიდი ხანია გასული, მით უფრო სავარაუდოა, რომ პირი ვერ შეძლებს მომხდარის იმ სიზუსტით გადმოცემას, როგორც მანამდე. ფიზიკური ნაკლი გულისხმობს მეხსიერების, მხედველობის, სმენის, მგრძნობელობის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი სახის დროებით ან მუდმივ მოშლას, რაც გავლენას ახდენს პირის უნარზე სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს ფაქტები. მხოლოდ ფიზიკური ნაკლის არსებობა არ წარმოადგენს მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველს და არ გამორიცხავს უსინათლოს, ყრუ-მუნჯის, ხეიბრის და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე პირის ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას. გადამწყვეტია აღნიშნული ნაკლის მნიშვნელობა ინფორმაციის სწორად აღქმის, გადმოცემის ან დამახსოვრებისთვის. პრაქტიკულ მაგალითში, დასაშვებია, იმ უსინათლო პირის ჩვენება, რომელიც აღწერს მის მიერ გაგონილ საუბარს, ასევე იმ ყრუ-მუნჯის ჩვენება, რომელიც თავად შეესწრო ფაქტს და შეუძლია, თარჯიმნის საშუალებით, გაუზიაროს სასამართლოს რისი დანახვაც მოახერხა. დასაშვებობის მიუხედავად, საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რამდენად არის მტკიცებულებითი ძალის მატარებელი (ხშირ შემთხვევაში ნაკლები მტკიცებულებითი ძალა გააჩნია). რაც შეეხება ფსიქიკურ ნაკლს, გასათვალისწინებელია დაავადების სპეციფიკა, პროგრესირება და მკურნალობის შედეგები. პირს შესაძლოა წარსულში აღნიშნებოდეს ფსიქიური ავადმყოფობა, თუმცა უპირობოდ არ უნდა გამოირიცხოს მისი დაკითხვა მოწმის სტატუსით. კანონმდებელი კუმულაციურად მიუთითებს სამივე ნაკლის დაქვეითებაზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ ცალკეული უნარის დაქვეითების შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, რამდენად დაეხმარება მოწმის ჩვენება სასამართლოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.<sup>51</sup>

#### ა) ირიბი ჩვენება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოწმის ჩვენების ცალკე სახედ გამოყოფს ე.წ. „ირიბ ჩვენებას“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის, 1 პუნქტით: „ირიბია ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.“<sup>52</sup> როგორც უკვე განვიხილეთ, ირიბ ჩვენებას იძლევა ის მოწმე, რომელიც არ წარმოადგენს ინფორმაციის პირველად წყაროს, მიღებულია როგორც წარმოებულები და გააჩნია პირდაპირ

<sup>51</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 263

<sup>52</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76 (1), 2009წ.

მტკიცებულებასთან შედარებით ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების ფარგლები დარეგულირებულია სსსკ-ს 76 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, რომელთა მიხედვითაც ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია; სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.<sup>53</sup> სისხლის სამართლის საქმეში მოწმის ირიბი ჩვენებების არსებობის შემთხვევაში მოსამართლე აუცილებლად უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოწმემ ნამდვილად შეიტყო სხვისგან ის ინფორმაცია, რასაც თავის ჩვენებაში იძლევა და ამასთან, რომ სხვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შინაარსობრივად სწორია. თუ სასამართლო მხოლოდ ირიბ ჩვენებების მიმცემ მოწმეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნობა და სათანადოდ არ შეაფასებს საქმის გარემოებათა შესახებ უშუალოდ ინფორმირებული მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებს, დაირღვევა სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.<sup>54</sup>

ირიბი ჩვენების მნიშვნელობას ხაზს უსვამს საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორთა კოლექტივიც და განმარტავს, რომ მტკიცების წარმოება სასურველია პირველად მტკიცებულების საფუძველზე, თუმცა დაუშვებელია ნაწარმოები მტკიცებულების იგნორირება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია თავდაპირველი მტკიცებულების აღმოჩენა და შემოწმება. გარკვეულ შემთხვევებში ნაწარმოებ მტკიცებულებას შეუძლია უფრო სრულად და ზუსტად ასახოს საძიებო ფაქტები ვიდრე თავდაპირველს. ამავდროულად არსებობს რისკები ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით, რადგან „ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს ამ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.<sup>55</sup> სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ირიბი ჩვენება ნაკლები მტკიცებულებითი ძალის მქონეა, არამარტო სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, როგორც ნაწარმოები მტკიცებულება, არამედ თავად მოწმეთა ჩვენებებთან მიმართებაშიც, რასაც ნათელს ხდის სსსკ-ს 76-ე მუხლის მე-3 პუნქტიც. „ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა

<sup>53</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 267

<sup>54</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 217

<sup>55</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება, §31

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით.<sup>56</sup>

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 22 იანვარს, რის შედეგადაც შეიცვალა სასამართლოს მიდგომა ირიბი ჩვენების, როგორც დასაშვები მტკიცებულების მიმართ, რაც გამოიხატა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით. საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 169-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები არ აკმაყოფილებდა „უტყუარობის“ კონსტიტუციურ სტანდარტს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. მოსარჩელე კი განმარტავდა, რომ სადავო ნორმების მიხედვით, პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება შესაძლებელი იყო განისაზღვრულიყო არა უტყუარი მტკიცებულებების, არამედ ორი ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. შესაბამისად, ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და განმარტა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის მიღება და პირის ბრალდება უნდა მოხდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, სხვა შემთხვევაში ჩნდება პირის უსაფუძვლო და თვითნებური ბრალდების რისკი - „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება“.<sup>57</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ ირიბი ჩვენება ზოგადად ნაკლებად სანდო მტკიცებულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმები იძლევა ისეთი მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით არ არის უტყუარი და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3

<sup>56</sup> იქვე, §52

<sup>57</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება, §42

პუნქტს. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, რისკის შემცველია სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მტკიცებულების დასაშვებობა რომელიც სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ემყარება, ვინაიდან „სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო“.<sup>58</sup>

**ჩვენება უცხოური სახელმწიფოების სისხლის სამართალწარმოებაში.** იტალიის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ფიზიკური და ფსიქიკური უნარი მისცეს ჩვენება.<sup>59</sup> ამასთანავე, სასამართლოს წინაშე გამოცხადება და მის მიმართ დასმულ შეკითხვებზე, კეთილსინდისიერად პასუხის გაცემა, მოწმის ვალდებულებას წარმოადგეს, ერთი საგამონაკლისო უფლების გარდა - მოწმე არ არის ვალდებული საკუთარის თავის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს.<sup>60</sup> ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება - იტალიის სისხლის სამართლის პროცესით მტკიცებულებად მიიჩნევა ექსპერტის დასკვნაც და დოკუმენტებიც. საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის თანახმად, ექსპერტს ნიშნავს სასამართლო, როცა საჭირო ხდება არასამართლებრივი ხასიათის სპეციალური ცოდნის გამოყენება. მაგრამ, თუ ექსპერტიზა პროკურატურის მოთხოვნით დაინიშნა, მაშინ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, დანიშნონ თავისი სპეციალური კონსულტანტი, რომელთა რიცხვი ექსპერტების რიცხვს არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი ტექნიკური კონსულტანტი უფლებამოსილია დაესწროს სასამართლოს მიერ ექსპერტისათვის დავალების მიცემას, წარმოადგინოს შუამდგომლობები და შენიშვნები, რაც ოქმში შეიტანება. მას აგრეთვე უფლება აქვს დაესწროს ტექნიკურ პროცედურებს და გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ექსპერტების მოხსენებაში უნდა იყოს აღნიშნული. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე არ არის შეზღუდული ექსპერტის დასკვნით, მაგრამ ვალდებულია ასაბუთოს თუ რატომ არ იზიარებს მას.<sup>61</sup> რაც შეეხება ირიბ ჩვენებას და მის დასაშვებობის საკითხს, მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე, უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიკური პრობლემები ან თუ მისი მოძებნა შეუძლებელია.<sup>62</sup> აქვე უნდა ვახსენოთ, გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო რეგულაციები მოწმესთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ

<sup>58</sup> იქვე, §29

<sup>59</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომამშვილი და სხვ. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 62, იხ. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1988, მუხლი 196

<sup>60</sup> იქვე, 62, იხ. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1988, მუხლი 190 (2)

<sup>61</sup> იქვე, 63

<sup>62</sup> იქვე, 63, იხ. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1988, მუხლი 195 (1-3)

ითვლება პირი, რომელიც გამოძახებულია ან გამოძახებულ იქნება სასამართლო სხდომაზე ჩვენების მისაცემად, აქედან გამომდინარე მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულებად ჩათვლის აუცილებელი წინაპირობაა, მისი უშუალოდ სასამართლოში მიცემა. 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 123-ე მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება დასაშვები იყოს, აუცილებელია, რომ ჩვენების მიმცემი პირი აცნობიერებდეს მისთვის დასმული შეკითხვის შინაარსს და შეეძლოს პასუხის გაცემა, ამ უკანასკნელზე.<sup>63</sup> ირიბ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის მიხედვით, ირიბი ჩვენება გამოიყენება, როგორც მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებაში, რომელიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად“. მაგალითად, ეს არის იმ სახის ინფორმაცია, როდესაც მოწმე არ ყოფილა უშუალო თვითმხილველი, თუმცა ფაქტის შესახებ ინფორმაცია შემთხვევით გაიგო სხვისგან რაიმე სახით. ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის პირველადი ჩვენების მიმცემი, არ გამოცხადებული პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს: ა) უნდა იყოს გარდაცვლილი; ა) ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო, შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოწმედ გამოცხადება; გ) უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა; დ) შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად; ე) პირმა უნდა გამოთქვას ჩვენების მიცემის შიში ან ჩვენების მიცემის გაგრძელების შიში.<sup>64</sup> 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 114-ე მუხლის მიხედვით, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- აღნიშნული მუხლის ან სხვა საკანონმდებლო დებულებით მტკიცებულება მიჩნეულია დასაშვებად;
- 118-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვები მტკიცებულებაა;
- პროცესის მხარეები თანხმდებიან მტკიცებულების დასაშვებობაზე;
- სასამართლოს აქვს საკმარისი მართლმსაჯულების ინტერესი, რომ ეს მტკიცებულება მიიჩნიოს დასაშვებად.<sup>65</sup>

„2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 118-ე მუხლით გათვალისწინებულია ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები, რომლებიც დადგენილია პრეცედენტული სამართლით, ეს გამონაკლისებია: 1. საჯარო ინფორმაცია - ეს შეიძლება იყოს გამოქვეყნებული ნაშრომები, როგორცაა ისტორია, სამეცნიერო ნაშრომები, ლექსიკონები, რუკები და საჯარო სახით არსებული სხვა ფაქტები. ასევე საჯარო დოკუმენტები, მაგალითად საჯარო ამონაწერები. არჩევნების შედეგები და სხვა შემთხვევები, რასთან დაკავშირებითაც არსებობს საჯარო

<sup>63</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომაშვილი და სხვ. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 56, იხ. გაერთიანებული სამეფოს კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, 1984, მუხლი 123

<sup>64</sup> იქვე, 56

<sup>65</sup> იქვე, 58, იხ. გაერთიანებული სამეფოს კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, 1984, მუხლი 114

ინტერესი. ჩანაწერები, როგორცაა სასამართლოს გადაწყვეტილებები, ხელშეკრულებები, უფლებამოსილების მინიჭების ფაქტები. გარდა ამისა, თუ ინფორმაცია დაკავშირებულია პირის ასაკთან, დაბადების თარიღთან ან ადგილთან; 2. პირის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეპუტაცია; 3. ოჯახური ტრადიციის რეპუტაცია - მაგალითად საგვარეულო ქორწინების ტრადიციის არსებობა; 4. Res gestae - ანუ ნათქვამი, რომელიც ეხება კონკრეტულ ქმედებას და იგი ახლავს ამ ქმედებას; 5. აღიარებითი ჩვენება - სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაკავშირებულია აღიარების დასაშვებობასთან ან შერეული სახის ჩვენებასთან სისხლის სამართლის პროცესში ისევე, როგორც ბრალდებულის აღიარება მესამე პირთან; 6. პოლიციის აგენტის აღიარება- სამართლებრივი ნორმა სისხლის სამართლის პროცესში, რომლის საფუძველზეც აგენტის აღიარება ბრალდებულის წინააღმდეგ არის მიმართული. 7. საერთო საქმიანობა- ეს შემთხვევა ეხება, როდესაც განცხადება გაკეთებულია ერთი მხარის მიერ მეორე მხარის წინააღმდეგ და ,როდესაც ორივე მხარეს საერთო საქმიანობა აქვთ. 8. ექსპერტის მტკიცებულება - მხარის ან ექსპერტის მიერ იმ ექსპერტების ნააზრევზე მითითება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროცესზე;<sup>66</sup> და ბოლოს, გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია სანდოდ ითვლება ინგლისურ სამართალში. საქმეში სახელმწიფო ვუდექოქის წინააღმდეგ ქალი სასიკვდილოდ სცემეს, სიკვდილიდან ორი დღით ადრე მსხვერპლმა უთხრა ერთ-ერთ მოწმეს, რომ მას ქმარმა სცემა. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპი ასეთი სახის ირიბი ჩვენების დასაშვებობის არის ის, რომ ის უნდა იყოს განცხადებული სიკვდილის პირას, როცა ყველა იმედი დაკარგულია და აღარ არსებობს ტყუილის მოტივი. ამ დროს გონება მიმართულია სიმართლისკენ“.<sup>67</sup>

## 2.2.2 ნივთიერი მტკიცებულება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25-ე პუნქტით განმარტებულია ნივთიერი მტკიცებულის ცნება, რომლის მიხედვით, აღნიშნულს მიეკუთვნება საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. ნივთიერი მტკიცებულება მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და მოპოვებულია და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ნივთიერი მტკიცებულებას წარმოადგენს სისხლის კვალი, ფეხის კვალი, თითის ანაბეჭდი,

<sup>66</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომამშვილი და სხვ. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 59, იხ. Criminal Justice Act 2003, მუხლი 118

<sup>67</sup> იქვე, 59, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამოწვევები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, უზენაესი სასამართლოს კვლევა, 2016წ. 4

დოკუმენტები, ამონაწერები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, თხევადი, გაზისებური და სხვა სახის ნივთიერებები და ა.შ. მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები განპირობებულია რამდენიმე გარემოებით: 1. წარმოადგენს უშუალოდ დანაშაულის ჩადენის იარაღს ან საშუალებას; 2. წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საგანს; 3. შენარჩუნებული აქვს დანაშაულის კვალი; 4. წარმოიქმნა დანაშაულის ჩადენის შედეგად; 5. წარმოადგენს დამნაშავე პირის იდენტიფიცირებას და მისი აღმოჩენის, ბრალდების დადასტურების ან უარყოფის საშუალებას.<sup>68</sup>

საგანი, დოკუმენტი ან ნებისმიერი სხვა ობიექტი ნივთიერი მტკიცებულების სტატუსს იძენს, ვინაიდან განიცადა დანაშაულებრივი ქმედების ზემოქმედება, თუმცა ზემოქმედების შედეგი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოხდა კონკრეტული საგნის ფიზიკური მახასიათებლების შეცვლა, ასევე ხშირი შემთხვევაა, როდესაც ნივთი ინახავს დანაშაულის კვლას, რომელიც გამოიხატება დანაშაულის იარაღზე სისხლის ან თითის კვლით; ნივთიერ მტკიცებულებად ჩაითვლება ყალბი დოკუმენტები, ყალბი ფული რომელიც უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად წარმოიშვა. ყველა შემთხვევაში საგანი, დოკუმენტი ან სხვა სახის ობიექტი ნივთიერი მტკიცებულების სტატუსს იძენს, თუ დანაშაულის ჩადენის შედეგად მან განიცადა გარკვეული ზეგავლენა და ასახავს ამ დანაშაულის კვალს. საქმისწარმოებისას უნდა არსებობდეს შესაბამისი ნივთიერი მტკიცებულის წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ნივთიერი მტკიცებულების კავშირის დადგენა სისხლის სამართლის საქმესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშვება ეჭვი მტკიცებულების წარმომავლობასა და შემხებლობაში. რამდენად მკაფიო და აშკარაც არ უნდა იყოს დანაშაულის იარაღზე აღბეჭდილი თითის ანაბეჭდი, თუ უშუალოდ იარაღის წარმომავლობა არ იქნება დადგენილი, დაეკარგება მტკიცებულებითი ძალა. წარმოშობის შესახებ მონაცემის დადგენის ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის იმ საგამომიებო მოქმედების ოქმი, რომლის შედეგადაც იქნა მოპოვებული კონკრეტული ნივთიერი მტკიცებულება. ოქმი შეეხება ისეთ მონაცემებს, როგორცაა დრო და ადგილი, დამახასიათებელი თავისებურება და ა.შ. ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, მისი დათვალიერების და საქმეზე დართვის ფაქტის ასახვა საპროცესო დოკუმენტში წარმოადგენს ამ ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის წინაპირობას, ქმნის ობიექტის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებების დამაგრების შესაძლებლობას, ნივთიერი მტკიცებულების წარმომავლობის და შესაბამისად, მასში მოცემული ან მასზე ასახული ინფორმაციის სარწმუნოების შემოწმების შესაძლებლობას.<sup>69</sup> იმისათვის, რომ მატერიალური სამყაროს ობიექტმა შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი, პირველ რიგში, ის უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ მოთხოვნებს მის ამოღება-დამაგრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს: მის მოპოვებას კონკრეტული საპროცესო გზით; აღნიშნული

<sup>68</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 269

<sup>69</sup> იქვე. 270

ინფორმაციის მატარებლის მოპოვების შემდეგ, მის დამაგრებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით; მტკიცებულების ავთენტიკურობას.<sup>70</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს შედარებითი კვლევის ნიმუშის, როგორც შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობას. შედარებითი კვლევის ნიმუში არ ხასიათდება უნიკალურობით, აღდგენადია და შესაძლებელია მისი იმ რაოდენობით მოპოვება, რამდენიც საჭიროა გამოძიებისთვის. აღნიშნული შეიძლება იყოს ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ნიმუში ან ბრალდებულისაგან აღებული თითის ანაბეჭდის ნიმუში და ა.შ. საქმის არსებითი განხილვისთვის ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ დასტურდებოდეს მისი ავთენტიკურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უნდა შეეძლოს მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.<sup>71</sup> საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ავთენტიკურობის დადასტურებას უკავშირებს მხოლოდ საქმის არსებით განხილვას, რაც მიუთითებს შემდეგზე - გამოძიების დროს, შესაძლებელია, ბრალდებას საფუძვლად დაედოს ისეთი მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც სადავოა.

### 2.2.3 დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე პუნქტის მეორე წინადადებით, დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ/ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. 78-ე მუხლი კი არეგულირებს თუ როდის აქვს დოკუმენტს მტკიცებულების ძალა: „მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.“<sup>72</sup> შესაბამისად დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება სამივე წინაპირობის არსებობისას: წარმომავლობის ცნობა, ავთენტიკურობა და „შესაბამისი“ პირის დაკითხვის შესაძლებლობა. დოკუმენტის წარმომავლობა მოიაზრებს ცნობას მისი შემდგენელი პირის, დროისა და ადგილის, შინაარსის, ცვლილების შეტანის საფუძვლისა და თარიღის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ყველა სხვა

<sup>70</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომაშვილი და სხვ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 23

<sup>71</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 219

<sup>72</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 78 (1), 2009წ.

იმ გარემოების შესახებ, რომელიც მიუთითებს მის წარმომავლობას. ავთენტიკურობის - დოკუმენტის ნამდვილობის დასადგენად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა შეიცავს თუ არა შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისთვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს, როგორცაა გათვალისწინებული ორგანო, სარეგისტრაციო ნომერი, ბეჭედი, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და სხვ. დოკუმენტი არ უნდა იყოს შეცვლილი, მოდიფიცირებული. ყველაზე ხშირად გავრცელებულია ხელმოწერის ნამდვილობა, ეკუთვნის თუ არა იგი მითითებულ პირს. დოკუმენტის ავთენტიკურობის დასადგენად არსებობს უამრავი მეთოდი, მათ შორისაა: მოწმეების ჩვენება, რომლებიც ესწრებოდნენ დოკუმენტის შედგენის პროცესს ან იცნობენ კონკრეტული პირის ხელმოწერას; ექსპერტის ჩვენებით, რომელმაც დოკუმენტების ექსპერტიზა განახორციელა; პირდაპირი მტკიცებულებით - ვინც შექმნა დოკუმენტი ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი და ა.შ. შედარებით პრობლემურია არაოფიციალური დოკუმენტების ავთენტიკურობის დადგენა, რომელიც უფრო მეტად მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას და ფასდება საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე. რაც შეეხება მესამე წინაპირობას, საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს იმპერატიულად შესაბამისი დოკუმენტის შემდგენელი პირის დაკითხვას, რადგან არსებობს უამრავი მიზეზი პირის ვერ მოძიებისა. შედეგად კანონმდებელი აყალიბებს რამდენიმე ალტერნატივას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების დასაშვებობა.<sup>73</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტით: „დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლელობის თვისება აქვს“. დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსი დოკუმენტებისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულებების შენახვისთვის, ადგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ და ა.შ. სწორედ სსსკ-ს 79-81 მუხლები არეგულირებს ნივთიერი მტკიცებულებების შენახვისა და ნივთიერი მტკიცებულებების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სპეციალურ წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და პროცესის შემდეგ.<sup>74</sup> თუ დოკუმენტი როგორც მატერიალური სამყაროს საგანი, შეიცავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციას, ის შეუნაცვლებელი ინფორმაციის წყაროა და წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას. ასეთ მტკიცებულებებს მიეკუთვნება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმები, თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება დაკითხვის ოქმი. დაკითხვის შემთხვევაში მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება, ოქმი მხოლოდ ფიქსაციის საშუალებაა, შესაბამისად დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. როდესაც საქმე ეხება საპროცესო

<sup>73</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 277

<sup>74</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომაშვილი და სხვ. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 25

კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებს, სადაც განმარტებულია მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება სასამართლო სხდომაზე, მხარეები იკვლევენ უშუალოდ ჩვენებას, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მტკიცებულების სახეს და არა დაკითხვის ამსახველი ოქმი.<sup>75</sup>

#### 2.2.4 პრეიუდიცია

პრეიუდიცია ლათინური ტერმინია და ქართულად „წინასწარ გადაწყვეტას“ ნიშნავს. აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს მტკიცებითი სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს. პრეიუდიციად განიხილება მტკიცებულების ეკვივალენტური ინფორმაციის წყარო, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს გამოკვლევის გარეშე.<sup>76</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება: ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; ბ) განაჩენი ნასამართლობაზე; გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის; დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებში იგულისხმება ყველასთვის ცნობილი ისეთი ფაქტები, რომლებიც დამატებით გამოკვლევას არ საჭიროებს, შეუძლებელია მისი სადავოდ გახდომა, რადგან არ საჭიროებს ინტერპრეტაციას ან კამათს მისი სარწმუნოების შესახებ. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მიეკუთვნება ცხოვრებისეული გამოცდილება კონკრეტული ფაქტების შესახებ რაც ყველასთვის ცნობილია და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, როგორცაა ისტორიული ფაქტები, ბუნებრივი მოვლენები, დღე-ღამის ხანგრძლივობა და ა.შ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები იყოფა ორ კატეგორიად: უნივერსალური და ლოკალური მნიშვნელობის ფაქტებად. მთავარი განსხვავება მხოლოდ გავრცელების არეალშია. უნივერსალურ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მიეკუთვნება ფაქტები, რომლებიც ცნობილია ყველასთვის ან ინფორმირებულ პირთა ჯგუფისთვის, მაგალითად ადვოკატებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა იციან, რომ უზენაესი სასამართლო არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობამ შეიძლება არ იცოდეს. ლოკალური მნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილ გარემოებებს მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც კარგად არის ცნობილი სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას მიკუთვნებულ დასახლებულ რეგიონში მცხოვრები პირებისთვის და ატარებს ლოკალურად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის ხასიათს, მაგარმ უცნობია სხვა დასახლებული რეგიონის მცხოვრებლებისთვის. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის სადავოდ გახდომა ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: 1. სასამართლოს მიერ

<sup>75</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 280

<sup>76</sup> გ. ბურჯანაძე, „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, 2012წ.

გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება/შეფასება არ არის ზუსტი; 2. ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი.<sup>77</sup>

სისხლის სამართლის პროცესში პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნია განაჩენს ნასამართლობაზე, რაც გულისხმობს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. სსსკ-ს 73-ე მუხლი არ აკონკრეტებს უნდა იყოს თუ არა ეს განაჩენი საბოლოო. პრეიუდიციის მეტი სარწმუნოებისთვის უმჯობესია, თუ განაჩენი იქნება საბოლოო, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შესაძლოა გაუქმდეს და მის ნაცვლად ახალი განაჩენი დადგინდეს სააპელაციო და საკასაციო განხილვის შედეგად. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პირობითია და იგი შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს სააპელაციო წარმოებისას.<sup>78</sup> განაჩენის პრეიუდიციულ მნიშვნელობას სსსკ-ს 73-ე მუხლი ორ ნაწილად ყოფს. პირველ შემთხვევაში - განაჩენი ნასამართლობაზე, გამოკვლევის გარეშე მიიღება მტკიცებულებად, მხარეთა სურვილის მიუხედავად, ხოლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის არცერთი მონაწილე საეჭვოდ არ გახდის. 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭება ნებისმიერ ფაქტს თუ გარემოებას, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. აღნიშნული გამომდინარეობს იმ შეჯიბრებითი პრინციპიდან, რომელიც სისხლის სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. მხოლოდ მხარის პრეროგატივაა მოიპოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულება, შესაბამისად ისინი წყვეტენ, საპროცესო განხილვისას რაზე შეთანხმდნენ და რა გარემოებებზე იდაონ. თუმცა აღსანიშნია ის ფაქტი, რომ კანონი არაფერს ამბობს იმ შეთანხმებაზე, რომელიც ეხება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. ასეთ დროს განსახილველია თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას საპროცესო მოთხოვნები. თუ საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან უფლებებს, როგორცაა წამების დაუშვებლობა ან სამართლებრივ სახელმწიფოში სხვა მიუღებელი მეთოდი, მხარეების შეთანხმების მიუხედავად, აღნიშნული მნიშვნელოვნად შეარყევდა პროცესის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ საფუძვლებს და სამართლებრივად აუტანელი იქნებოდა ამგვარი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>79</sup> საპროცესო კოდექსი უფლებას აძლევს მხარეებს დააყენონ შუამდგომლობა პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფაზე, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს. შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი

<sup>77</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 252

<sup>78</sup> გ. ბურჯანაძე, „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, 2012წ.

<sup>79</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 224

ფაქტობრივი გარემოებების კანონიერება სასამართლოს ეჭვს იწვევს, ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად, სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების უარყოფა. საქართველოს უზენაესის სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ს 73-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. ამასთან 73-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სასამართლოს მხარის ინიციატივით, შეუძლია უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს. იქიდან გამომდინარე, რომ წინასასამართლო სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ წარმოდგენილ მტკიცებულებზე და სადაო არ გაუხდიათ, ამ მტკიცებულებით დადასტურებული საქმის ფაქტობრივი მდგომარეობები, პირველ და მეორე სასამართლო ინსტანციებში მტკიცებულების გამოკვლევა არ მომხდარა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე იქნა მიღებული, როგორც პრეიუდიცია. შესაბამისად საკასაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.<sup>80</sup>

### 2.3 მტკიცების პროცესი

მტკიცება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანეს ღერძს, რომელიც მიზანმიმართულია სისხლის სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების შესრულებისკენ და მოიცავს მათი მიღწევის საშუალებებსა და ხერხებს. სისხლის სამართლის პროცესი, მტკიცების გარეშე, წარმოუდგენელია, რადგან სწორედ მტკიცების პროცესის შედეგია პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენა. მტკიცება სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის პროცედურაა, რომელიც მიმდინარეობს კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით და მოიცავს უშუალოდ პროცედურის განხორციელებისა და შედეგების ფიქსაციის წესს, სამართლებრივი ნორმებით განპირობებულ მოქმედებათა განხორციელებას, გადაწყვეტილებათა მიღების თანმიმდევრობას და საპროცესო გადაწყვეტილების მიღების წესს.

სისხლის სამართლის საპროცესო თეორიაში მტკიცების ცნება, ტრადიციულად ჩამოყალიბებული აზრის გათვალისწინებით, უპირველესად მოიცავს შემეცნებით, ინფორმაციულ საქმიანობას, რომელიც მიმდინარეობს არა მარტო კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით, არამედ ასევე, მკაცრად განსაზღვრულ ვადებში. საპროცესო ვადების ნორმატიული დადგენა და მათი დაცვის აუცილებლობა არის სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტიების გამოვლენა. რამდენადაც სისხლის სამართალწარმოებას თან სდევს პიროვნების კონსტიტუციურ უფლებათა არსებითი შეზღუდვა, ასეთი

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის №510აპ-15 გადაწყვეტილება, 2-3

შეზღუდვა უნდა იყოს არამართო დასაბუთებული, არამედ გონივრული ხანგრძლივობის ე.ი. დროის ჩარჩოებით მკაცრად შეზღუდული. გარდა ამისა, საპროცესო ვადების დადგენა და დაცვა ემსახურება ეფექტიანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი პირობის რეალიზაციას: ბრალეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტთან მისი დაკისრების მომენტის მაქსიმალურ მიახლოებას.<sup>81</sup> „თავისი შინაარსით, მტკიცება არის საგამოძიებო, სასამართლო ორგანოების საქმიანობის და იმ ურთიერთობათა სისტემა, რომლებიც წარმოიქმნება ამ საქმიანობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შორის. მტკიცება რთული პროცესია. მტკიცების, როგორც სისტემის განხილვისას აუცილებელია განვასხვავოთ მისი სტრუქტურული წარმონაქმნები: მტკიცების ელემენტები; მტკიცების საშუალებები; მტკიცების დონეები. მტკიცების პროცესის შინაარსი მის ელემენტებში იხსნება, ეს ელემენტებია: გამოძიების ვერსიის აგება, მტკიცებულებათა შეგროვება (აღმოჩენა, დამაგრება), მტკიცებულებების შემოწმება (გამოკვლევა), მტკიცებულებების შეფასება, სისხლის სამართლის საქმეზე დასკვნების დასაბუთება. მტკიცების პროცესის ყველა ელემენტი ურთიერთკავშირშია, ხორციელდება არა ერთმანეთისგან იზოლირებულად, არამედ გარკვეულ ერთიანობაში და ახასიათებს მტკიცების ერთიანი პროცესის სხვადასხვა მხარეებს.“<sup>82</sup>

მსგავსი შეხედულება გააჩნია გ.თუმანიშვილსაც. მისი განმარტებით მტკიცება ზოგადი ცნებაა და სხვადასხვა კომპონენტებისგან შედგება, რომლის მთავარი მიზანი ფაქტების დადგენას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია ის პროცედურები, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების მოპოვება, მათი საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება. ამასთანავე, მტკიცებას გააჩნია თავისი ფარგლები და იგი ძირითადად ვრცელდება ბრალდებულის ბრალეულობისა და მისთვის სასჯელის განსაზღვრისთვის რელევანტურ გარემოებებზე.<sup>83</sup>

მტკიცების პროცედურის შემადგენელ ელემენტებთან ერთად, განსაზღვრულია იმ პირთა წრეც, რომელსაც გააჩნია ზემოთხსენებული საპროცესო მოქმედებების განხორციელება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მტკიცებულებათა მოპოვების, წარმოდგენის და სხვ. უფლებამოსილებით სარგებლობს როგორც ბრალდების მხარე (პროკურორი, გამომძიებელი), ისე დაცვის მხარე (ბრალდებული, მსჯავრდებული, ადვოკატი). ამასთანავე, მტკიცების ზოგადი ცნებიდან გამომდინარე, მოსამართლე წარმოადგენს ერთ-ერთი მთავარ ფიგურას მტკიცების პროცესში.

<sup>81</sup> მათა ომხარელი, მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(57)-2018წ. 76

<sup>82</sup> იქვე, 81, Спасович В. Д., О теории судебно-уголовных доказательств в связи с судоустройством и судопроизводством, журнал „Лекс-Эст“, М., 2001;

<sup>83</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 225

გამოძიების ვერსიის აგება საწყისი ეტაპია მტკიცების პროცესისა. ვერსიები ხელს უწყობს საქმის გარემოებათა სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რითაც დიდ როლს თამაშობს მტკიცებაში. სტროგოვიჩი მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვილი მონაცემების გათვალისწინებით, საჭიროა ყველა შესაძლო ვერსიის წამოყენება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მტკიცების შეზღუდვა ცალმხრივი მიმართილებით. თითოეულს სისხლის სამართლის საქმეზე, მიუხედავად მისი „უბრალოებისა, საერთო და კერძო ვერსიების აგება მტკიცების წარმატებულად განხორციელების წინაპირობაა.<sup>84</sup> შემდეგ მოდის მტკიცებულებათა მოპოვება/მოძიების ეტაპი, რასაც მოჰყვება საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ მოიპოვება ზუსტი დეფინიცია მტკიცების არსისა და ეტაპების შესახებ, ის მაინც ითვალისწინებს იმ მნიშვნელოვან პროცედურებს, რომელსაც საბოლოოდ მტკიცების პროცესის შედეგამდე მივყავართ.

მტკიცებულების შეგროვება გულისხმობს საჭირო ინფორმაციის წყაროების მოძიებას, მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ცნობებისა თუ საგნების მოპოვებას. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, აღნიშნული ხორციელდება პროცესში მონაწილე მხარეების მიერ. მოპოვებას შედეგად მოყვება მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება, სისხლის სამართლის რეგულაციების შესაბამისად, რაც აისახება მოწმის დაკითხვის ოქმში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში და ა.შ. როგორც წესი, საგამოძიებო მოქმედების ოქმში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი, თუ რა ვითარებაში, ვისი მონაწილეობით და რა პროცედურებით მოხდა მტკიცებულებების მოპოვება. ასევე უნდა აღიწეროს მოპოვებული მტკიცებულება მაქსიმალურად დეტალურად, რადგან სწორედ ასეთი სახის ინფორმაცია აძლევს მხარეს შესაძლებლობას იმსჯელოს მისი მტკიცებულების ავთენტიკურობასა და მოპოვების კანონიერ გზებზე. მტკიცებულების აღმოჩენისა და დამაგრების საპროცესო ფორმის დაცვა გარკვეული გარანტიაა, რომელიც ხელს უწყობს მათ შენარჩუნებას, უზრუნველყოფს მათი შემოდგომი შემოწმების, შეფასებისა და საქმეზე დასკვნების დასაბუთებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეების მიერ მოპოვებულ ინფორმაციასა თუ საგანს, მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „მტკიცებულება“, რადგან მტკიცებულების სტატუსს მხოლოდ პროცესზე წარდგენის შემდეგ იძენს ინფორმაცია, სადაც მის დასაშვებობას მოსამართლე წყვეტს. შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა.

მტკიცებულების გამოკვლევა ხდება, როგორც გამოძიებისას, ისე სასამართლოში, წინასასამართლო სხდომისა და სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს. გამოძიების ეტაპზე დგინდება/ზუსტდება მოპოვებული მტკიცებულების მინაარსობრივი მხარე, როგორცაა დოკუმენტში აღბეჭდილი ინფორმაცია;

---

<sup>84</sup> სკოლიო №76, 82, Строгович М. С., Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе, М., 1955;

დამახასიათებელი ცალკეული ნიშან-თვისებები (დატოვებული კვალი, რაოდენობა და სხვ.). მტკიცებულების გამოკვლევის უფლება აქვს როგორც მის მომპოვებელ მხარეს, ისე მეორე მხარესაც. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს მტკიცებულების გამოკვლევას მხარეთა მიერ. სწორედ მტკიცებულებათა ორმხრივი გამოკვლევის შედეგად დგინდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რაც აუცილებელი წინაპირობაა ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების შესავალი სიტყვის შემდეგ. პირველ რიგში, იკვლევენ ბრალდების მხარის, შემდგომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება უშუალოდ წარმდგენი მხარის მიერ, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა. გამოსაკვლევად წარდგენილი მტკიცებულებების რაოდენობა და რიგითობა წარმდგენი მხარის პრეროგატივაა.

მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგი ეტაპი მტკიცებულების უშუალოდ შეფასებაა, რომელიც მტკიცების პროცესის საბოლოო ეტაპს წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი არეგულირებს მტკიცებულებათა შეფასების საკითხს, რომლის მიხედვითაც: 1. მტკიცებულების შეფასებისას გასათვალისწინებელია სამი ფაქტორი - რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა სისხლის საქმესთან დაკავშირებით; 2. არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა; 3. პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.<sup>85</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოძიების ეტაპზე შეგროვებულ ინფორმაციას პირობითად ეწოდებოდა „მტკიცებულება“, რადგან მხოლოდ მოსამართლეთა უფლებამოსილი დოკუმენტს/საგანს მტკიცებულების სტატუსი მიანიჭოს. თითოეული მტკიცებულების შეფასება ხდება შინაგანი რწმენის საფუძველზე, რა დროსაც შეფასების მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენენ მტკიცებულების რელევანტურობა, უტყუარობა და დასაშვებობა. რელევანტურობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად კავშირიშია კონკრეტული მტკიცებულება მტკიცების საგანთან და რამდენად არის იგი შემხებლობაში სისხლის სამართლის საქმესთან. დასაშვებობის დროს უნდა დადგინდეს, ხომ არ არსებობს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველები. უტყუარობის დროს კი, მოწმდება სანდოობა და ავთენტიკურობა.

<sup>85</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 82, 2009წ.

მოსამართლე მტკიცებულებათა შეფასების დროს არის თავისუფალი, მას ყოველგვარი ზეწოლის და შეზღუდვების გარეშე შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბრალეულობის საკითხზე.

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების ძიების პროცესი მოიაზრებს საქმის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. თუ რა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ასეთ გარემოებებს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზუსტ განმარტებას არ იძლევა, რაც გამოწვეულია თანასწორობასა და შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებაზე, ვინაიდან მხარეები თავად წყვეტენ წარსადგენ მტკიცებულებებს, შესაბამისად თავად ადგენენ მტკიცების საგანს და ფარგლებს. მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი განსაზღვრავდა სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულოდ დასადგენ გარემოებათა წრეს. ასეთ გარემოებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა: ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი; დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას; ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. ამრიგად, სსსკ-ს 112-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებდა მტკიცებულების საგანზე, ანუ იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დამტკიცებულიყო სისხლის სამართლის საქმეზე.<sup>86</sup>

როგორც უკვე ვახსენეთ, მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აკეთებს ზუსტ განმარტებას მტკიცების არსთან, პროცესთან და საგანთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული მუხლები ხაზს უსვამს კანონმდებლის მიზანს, გამოკვეთილი იყოს ის გარემოებები რომელიც ექვემდებარება მტკიცებას. ამის მაგალითია სსსკ-ს მე-3 მუხლის 23-ე პუნქტით განმარტებული მტკიცებულების მნიშვნელობა, სადაც აღნიშნულია, რომ მტკიცებულების საფუძველზე ადგენს სასამართლო ჩაიდინა თუ არა კონკრეტული ქმედება გარკვეულმა პირმა, არსებობს თუ არა ფაქტი, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, დამნაშავეა თუ არა იგი და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია სსსკ-ს 260 მუხლი ამ კუთხით, სადაც ზუსტად არის ჩამოთვლილი ის გარემოებები, რომლებიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განაჩენის დადგომისას, როგორცაა:

- ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
- გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება;
- დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის;
- ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულ და რა ზომის;
- ვ) უნდა მოიხადოს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი;
- ზ) შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის საკითხს;

<sup>86</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 232

თ)როგორი იქნება ნითიერ მტკიცებულებათა ბედი;

ი)ვის და რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება;<sup>87</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების საგანს მიკუთვნებული გარემოებები შეიძლება ზოგადად დაიყოს ორ კატეგორიად, პირველი, გარემოებები რომლებიც ახასიათებენ დანაშაულებრივ ქმედებას, ე.წ. ფაქტობრივი გარემოებები (დანაშაულის ფაქტის და დანაშაულში ბრალდებულის მონაწილეობის დადგენა, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ცალკეული ელემენტების დადგენა, ქმედების მართლწინააღმდეგობის განსაზღვრა და ა.შ.) და მეორე მხრივ, გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ბრალდებულის ნასამართლობა და ა.შ.). იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს აჯგუფებენ შემდეგნაირად: **ძირითადი გარემოებები**, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდების არსთან და წარმოადგენენ მთავარ ფაქტებს; **მიმანიშნებელი გარემოებები**, რომლებიც იძლევიან ძირითადი გარემოებების შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას; **დამხმარე გარემოებები**, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ცალკეული მტკიცებულებების სანდოობის თაობაზე დასკვნების გაკეთება. რამდენადაც შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, მტკიცების ფარგლების შესახებ თავად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას. სასამართლო არ ერევა მტკიცების ფარგლების განსაზღვრის საკითხში. მტკიცების ფარგლები შეიძლება შეიცვალოს, თუ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მხარე უარს იტყვის ბრალდების ნაწილზე, ან არსებულ ბრალდებას შეცვლის უფრო მსუბუქი ბრალდებით.<sup>88</sup>

ამდენად მტკიცების პროცესი რთული, დინამიკური კანონზომიერებაა. იგი იცვლება (ტრანსფორმირდება) პროცედურების ერთი ეტაპიდან სხვა ეტაპისაკენ. მტკიცებულების თეორიაში მიღებულია მტკიცების განსაზღვრება, როგორც საპროცესო საქმიანობის მტკიცებულებათა მოგროვების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით.<sup>89</sup>

<sup>87</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 260 (1), 2009წ.

<sup>88</sup> გიორგი თუმანიშვილი - სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 234

<sup>89</sup> სქოლიო №76, 83, R. Belfiore, Movement of Evidence in the EU: The Present Scenario and Possible Future Developments - European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice # 1, 2009, pp. 1-22(22);

### თავი III

## მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართალწარმოებაში

### 3.1 მტკიცებულებათა შეფასება წინასასამართლო ეტაპზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცებულების სტატუსი დაკავშირებულია უშუალოდ სასამართლოსთან და მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი შეაფასოს და გადაწყვიტოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი. თუმცა, გარკვეულწილად, მტკიცებულებათა „შეფასება“ იწყება იმ ეტაპიდან, როდესაც იწყება მტკიცებულებების შეგროვება მხარეთა მიერ. მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმები მტკიცების ყველა სუბიექტისთვის საერთოა. სსსკ-ს 82-ე მუხლის მიხედვით მტკიცებულების შეფასება მიმდინარეობს რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სისხლი სამართლის პროცესი, უფლებას აძლევს მხარეებს თავად განსაზღვრონ სასამართლოს წინაშე წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მხარეებმა უნდა „შეაფასონ“ თუ რომელი მტკიცებულება წარმოადგენს მათთვის მნიშვნელოვანს, რომელი იქნება მათთვის სასურველი განაჩენის გამოტანის გარანტია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე და ახასიათებს საქმეზე მთელ წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულების შეფასებას სრული მასშტაბით მხოლოდ სასამართლო ახორციელებს, მხარეებიც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და საპროცესო ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენენ საქმეში არსებული მტკიცებულებების „შეფასებას“ და შეუძლიათ სადავო გახადონ საქმეში არსებული მტკიცებულებების როგორც შესახებობა განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან, ასევე დასაშვებობა და უტყუარობაც.<sup>90</sup> აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა „შეფასება“ ხორციელდება არა მხოლოდ მოსამართლის მიერ, არამედ პროცესის მონაწილე მხარეების მიერ, რომელიც საწყისს გამოძიების ეტაპიდან იღებს.

გამოძიების საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, იგი წარმოადგენს უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. გამოძიება არის სისხლის სამართლის პროცესის საწყისი სტადია, რომლის დროსაც დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების გზით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად წარმოეშობა სახელმწიფოს დანაშაულის დასჯის უფლებამოსილება. სწორედ გამოძიება წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვებისა

<sup>90</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 288

და შეგროვების ძირითად წყაროს სისხლის სამართლის საქმეში. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, პროკურორს, გამომძიებელს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილებები გააჩნიათ. საგამომძიებო მოქმედებები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული ოპერაციებისა და მეთოდების ერთიანობა.<sup>91</sup> თითოეული საგამომძიებო მოქმედება არის როგორც შესამეცნებელი მეთოდების სპეციფიკური ერთიანობა, გარკვეული მტკიცებულებების გამოსავლენად ან მოსაპოვებლად.<sup>92</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებისთვის, ცალსახად, აყალიბებს სამივე პირობის: დასაშვებობის, რელევანტურობისა და უტყუარობის არსებობას კუმულაციურად, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთ-ერთის გამორიცხვის შემთხვევაშიც კი მტკიცებულება დაუშვებლად იცნობა. შესაბამისად ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები უნდა იყოს: 1) დასაშვები - მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზებით; 2) რელევანტური - მოპოვებული მტკიცებულება შემხებლობაში უნდა იყოს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ საქმესთან; 3) უტყუარი - მტკიცებულებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ხასითდებოდეს სანდოობის მაღალი ხარისხით. მხარეების მხრიდან მტკიცებულების სწორი კრიტერიუმებით შეფასება და შემდგომ წარდგენა სასამართლოზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მათთვის სასარგებლო განაჩენის გამოტანა მოსამართლის მიერ, ვინაიდან მოსამართლე მხოლოდ სასამართლოში წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას.

პირველ რიგში მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნებისმიერი მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს საკანონმდებლო რეგულაციათა მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია რამდენად ეხება სისხლის სამართლის საქმეს, აზუსტებს ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგენს სანდო ინფორმაციას, ვინაიდან მტკიცებულებათა დასაშვებობა წარმოადგენს მტკიცებულებათა შეფასების პირველ კრიტერიუმს. სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სწორედ მტკიცებულებათა კანონიერი გზებით მოპოვება წარმოადგენს იმ საკითხს, რომლის მიხედვითაც მოსამართლე იწყებს შეფასებას. აქედან გამომდინარე მხარეები უნდა ეცადნონ, რომ მხოლოდ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოიპოვონ მტკიცებულები, რადგან ამ ეტაპზე მათი მხრიდან რელევანტურობასა და უტყუარობაზე აქცენტის გაკეთება არ იქნება მართებული. მტკიცებულების დასაშვებობის კუთხით

<sup>91</sup> ვლადიმერ მაჭარაშვილი, მხარეთა მიერ საგამომძიებო მოქმედებების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(55)-2017წ. 129, იხ. Белкин А. Р., Теория доказывания в уголовном судопроизводстве / А. Р. Белкин., М., 2005.

<sup>92</sup> იქვე, 129 - Bennett W. W., & Hess, K. M., Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson, 2004.

მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვლისწინება, როგორცაა მტკიცებულების მოპოვება უფლებამოსილი პირის მიერ, მოპოვება და ფიქსირება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და სხვ.

შემდეგ ეტაპზე მოდის რელევანტურობა, რა დროსაც მხარეებმა უნდა მოიპოვონ იმ კატეგორიის ინფორმაცია, რომლის შინაარსიც პირდაპირ კავშირშია სისხლისსამართლებრივ საქმესთან. აღნიშნული უნდა ეხმარებოდეს სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში, კონკრეტული დეტალების დაზუსტებაში და ა.შ. რელევანტურობის შეფასებისას უნდა დაზუსტდეს აქვს თუ არა კავშირი მტკიცებულებას დასამტკიცებელ გარემოებასთან?! მტკიცებულების რელევანტურობა არ წარმოადგენს მყარ პოზიციას, ვინაიდან საპროცესო მიმდინარეობასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს მტკიცებულების არსობრივი კავშირი განსახილველ საქმესთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, პროცესის მონაწილე მხარეებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ როდის და რა შემთხვევაში მიუთითებს მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე, ადგენს ფაქტებს და ა.შ.

მესამე კრიტერიუმი, რომლითაც მხარეები ხელმძღვანელობენ არის უტყუარობის კრიტერიუმი, რაც გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებას. მტკიცებულება უნდა წარმოადგენდეს სარწმუნო ინფორმაციას, ინფორმაცია კი სარწმუნოა როდესაც არ არსებობს გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, არსობრივი ან გარეგანი მახასიათებლების შეცვლის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარე ხშირად აყენებს შუამდგომლობას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია შემოწმდეს მტკიცებულების წყაროს სანდოობა, მოპოვების ხერხები და საშუალებები. მტკიცებულების სანდოობას კი სწორედ ის განაპირობებს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი მისი შემოწმება.

მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმებს უფრო ვრცლად განვიხილავთ შემდეგ თავში პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, სადაც განსაზღვრული იქნება მოსამართლის მიერ აღნიშნული კრიტერიუმებით მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა. ამ ეტაპზე კი საყურადღებოა ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომელიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს გამოძიების მხრიდან მოპოვებული მტკიცებულებებით. საქართველოს სისხლის სამართლი, საკანონმდებლო დონეზე, მოიცავს მტკიცებულებათა შეფასების სამ სტანდარტს: დასაბუთებულ ვარაუდს, ალბათობის მაღალ ხარისხს და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რომელთაგანც თითოეულის გამოიყენება, სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე ხორციელდება. მტკიცებულებების პირველადი შეფასების კრიტერიუმს კი, დასაბუთებული ვარაუდი ეწოდება, რომელიც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აუცილებელ წინაპირობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-3 მუხლის მე-11 პუნქტით, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა

ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურს პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. კონკრეტული განმარტებიდან ნათელია, რომ დასაბუთებელი ვარაუდის არსებობისთვის აუცილებელია: 1. ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა; 2. უკვე არსებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები; 3. ამ ორი ელემენტის ერთობლიობა, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შეხახებ. კოდექსი დამატებით არ განსაზღვრავს თუ რამდენად რელევანტური უნდა იყოს ინფორმაცია, ან რამდენად არსებითია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, კონკრეტულ შემთხვევაში მოპოვებული საქმის გარემოებები და ა.შ. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რაც საბოლოო ჯამში ქმნის სრულ ტესტს.<sup>93</sup> მტკიცებულებითი ტესტი მოიცავს იმ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენისთვის, ხოლო საჯარო ინტერესის ტესტი მიუთითებს იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ნაკარნახევი უნდა იყოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა გადადგას პროკურორმა ზემოთხსენებული ნაბიჯი. პროკური ვალდებულია, სრულად გაანალიზოს ჩადენილი დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სწორად შეაფასოს საჯარო ინტერესი საქმესთან მიმართებაში და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ბრალის წაყენებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეები თანაბარი უფლებამოსილებებით არიან აღჭურვილნი საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად და მხოლოდ მათი პრეროგატივაა მტკიცებულებათა მოძიება/მოპოვება და წარდგენა, შეჯიბრებითი პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს მაინც ეკისრება გარკვეული ვალდებულებები დაცვის მხარისაგან განსხვავებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლებით გარანტირებულია ბრალდებულის უფლებები და არა ვალდებულებები. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე უარს განაცხადებს საპროცესო მოქმედებების განხორციელებაზე მტკიცებულებათა მოძიების მიზნით, სასამართლოს არ აქვს უფლება გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს მის წინააღმდეგ, ვინაიდან მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეზეა. „სახელმწიფოსთვის გამოძიების ჩატარება და რიგი საგამომიებო მოქმედებების

<sup>93</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწილი

განხორციელება არა მხოლოდ უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება გახლავთ,<sup>94</sup> რადგან თუ საქმეზე არ იქნა საკმაო მტკიცებულებები მოპოვებული, შესაბამისად, პირის მსჯავრდება ვერ მოხერხდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. თუ ყოველივეს შევადარებთ საადვოკატო გამოძიებას, ასეთ შემთხვევაში ამგვარი აუცილებლობა არ დგას, რადგან თუ დაცვა არ ჩაატარებს საგამოძიებო მოქმედებებს იგი ვერ იქნება საფუძელი, რომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნას გამოტანილი.

### 3.2 მტკიცებულებათა შეფასება სასამართლო ეტაპებზე

გამოძიების ეტაპზე, მხარეების მიერ მოპოვებული და „შეფასებული“ მტკიცებულება საბოლოოდ აღწევს იმ მომენტს, როდესაც კანონიერად წყდება მისი დასაშვებობა/დაუშვებლობის საკითხი. სისხლის სამართალწარმოებაში, გამოძიების შემდგომ სტადიას წარმოადგენს წინასასამართლო სხდომა, რომლის საშუალებითაც ხდება გამოძიების, მათ შორის ბრალდებულის პირველი წარდგენის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრა და მინიმუმამდე დაყვანა. თუმცა, მთავარი არსი, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისთვის მოსამზადებელ მნიშვნელობას წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე და 220-ე მუხლებით მუცემულია ის ძირითადი საკითხები, რომელიც უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი სხდომისათვის მოსამზადებლად. აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ მხარეთა მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი მტკიცებულებების პირველადი (კანონიერი) შეფასება წინასასამართლო სხდომაზე ხორციელდება. მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, წყვეტს არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემის საკითხს და ა.შ.

ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო კრიტერიუმს, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა, წარმოადგენს სსსკ-ს 83 მუხლით გათვალისწინებული შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაუცვლელობა მხარეების მიერ. კონკრეტული მუხლი მნიშვნელოვანია შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას მოემზადონ საქმის განხილვისთვის და ამით ქმნის სამართლიანი სასამართლო განხილვის წინაპირობას. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლის ორ გზას: დაცვის მხარის ინიციატივით და სავალდებულო წესით. პირველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა, ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც

<sup>94</sup> ვლადიმერ მაჭარაშვილი, მხარეთა მიერ საგამოძიებო მოქმედებების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(55)-2017წ, იბ. 131 - Dempsey J., Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/ Thompson, 2003.

ბრალდების მხარე აპირებს სასამართლოში, დაუყონებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. მნიშვნელოვანია ის ნაწილიც, რომ, მიუხედავად გამამართლებელი მტკიცებულების მოძიების ვალდებულების არარსებობისა, იმ შემთხვევაში თუ გამოძიების წარმოების ფარგლებში ბრალდების მხარისთვის მსგავსი სახის მტკიცებულება ხელმისაწვდომი გახდება, იგი ვალდებულია აღნიშნული სახის მტკიცებულებებიც მიაწოდოს დაცვის მხარეს. არ აქვს მნიშვნელობა აპირებს თუ არა ბრალდების მხარე ამ მტკიცებულების წარგდენას სასამართლოში. შესაბამისად, ბრალდების მხარეს აღნიშნულ საკითხში გააჩნია ვალდებულება და არა უფლება მოთხოვნილი დოკუმენტის გადაცემისა, ამასთან კანონმდებელი ვადის განმსაზღვრელად იყენებს ტერმინს - დაუყონებლივ, რაც წარმოადგენს საკმაოდ ზედაპირულ განმარტებას და რიგ შემთხვევებში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, პრაქტიკულ შემთხვევაში. მხოლოდ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეძლევა ბრალდების მხარეს უფლება, მოითხოვოს დაცვის მხრიდან ის მტკიცებულებათა ერთობრიობა, რომლის წარდგენასაც ეს უკანასკნელი სასამართლოს წინაშე აპირებს. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისასთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. რაც შეეხება მტკიცებულებათა გაცვლის სავალდებულო წესს, სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-6 პუნქტით, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა სასამართლოს და ერთმანეთს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარგდენასაც აპირებენ. ინფორმაციის გაცვლა სავალდებულო წესით ითვალისწინებს მარტივ წესს და ადგენს იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად ყველა ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც მხარე აპირებს სასამართლო სხდომაზე ამ ინფორმაციის ხასიათის მიუხედავად (სახელმწიფო საიდუმლოება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გზით მოპოვებული ინფორმაცია და სხვ.) სავალდებულო წესით უნდა გადაეცეს მეორე მხარეს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარეს ადარ ეკისრება ვალდებულება, გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება. იგი თავად „აფასებს“ საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს და სწორედ შემდეგ წარადგენს მათ სასამართლოსა და დაცვის მხარის წინაშე. სისხლის საპროცესო კოდექსის კომენტარების ავორთა შეხედულებით, კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ მტკიცებულებების გაცვლის საკითხს, რომელიც ერთდროულად გამამართლებელიცაა და გამამტყუნებელიც. მტკიცებულება ყოველთვის არ არის ცალსახად მხოლოდ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი და ცალკეულ შემთხვევებში ის ერთდროულად ორივე სახის ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, მოწმე, რომელიც ბრალდებულს ახასიათებს როგორც პუნქტუალურ, მოწესრიგებულ ადამიანს, რომელიც ზედმიწევნით ასრულებს სამსახურებრივ ფუნქციებს, სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და ხშირად ხდება საპატიო ჯილდოს ადრესატი. ამავდროულად აღნიშნავს, რომ

დაინახა თუ როგორ ტოვებდა ბრალდებული დანაშაულის ადგილს და ტანსაცმელზე სისხლის კვალი ეტყობოდა.<sup>95</sup>

პროცესის მონაწილე მხარეების მიერ მტკიცებულებათა გაცვლას დიდი ყურადღება ექცევა ინგლისის საკანონმდებლო რეგულაციებში. სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ბრალდების მხარის მიერ, ყველა იმ მტკიცებულების გადაცემა დაცვის მხარისთვის, რომელთა წარდგენასაც სასამართლოში აპირებს. საქმეზე, *გაერთიანებული სამეფო ატლანის წინააღმდეგ*, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1 პუნქტი ბრალდებისგან მოითხოვს, მის ხელთ არსებული ყველა ნივთიერი მტკიცებულების გადაცემას დაცვის მხარისათვის, როგორც ბრალდების მხარდასაჭერი ასევე დაცვის მხარისთვის ხელშემწყობი მტკიცებულებები.<sup>96</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული სამეფოს „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იცნობა სასამართლოს შეხედულებისამებრ. მოსამართლეს შეუძლია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მისი დაშვება მნიშვნელოვანდ დააზიანებს სამართლიან პროცესს.<sup>97</sup> შესაბამისად, პირველ ადგილზე დგას მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისთვის, თუ რამდენად ახლოს დგას სისხლის სამართლის საქმესთან. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება გადამწყვეტი ინფორმაციის მატარებელია განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მის მოპოვებას კანონიერი საშუალებებით. მტკიცებულების რელევანტურობისა და უტყუარობის საკითხი პირველ ადგილზეა წამოწეული.<sup>98</sup>

საპროცესო კოდექსი 219-ე მუხლით, გადადის მტკიცებულებითი სტანდარტის შემდეგ საფეხურზე, რომლიც მიხედვითაც არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. სსსკ-ს მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი განმარტავს ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს, რაც აუცილებელია საქმის არსებითად განსახილველად გადასაცემად. აღნიშნული სტანდარტის საფუძველს წარმოადგენს, სხდომაზე წარმოდგენილი ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რაც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ დანაშაული სწორედ ამ პირმა ჩაიდინა და ამ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.

<sup>95</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 301

<sup>96</sup> *Atlan v. the United Kingdom*, ECtHR. N25424/09, 2001, §37

<sup>97</sup> გაერთიანებული სამეფოს კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, 1984, მუხლი 78

<sup>98</sup> ე.ქათამაძე, მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, სამართლებრივი განვითარება, №6, 2014წ. 38

წინასასამართლო სხდომის შემდეგი და სისხლის სამართლის პროცესის, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი საქმის არსებითი განხილვაა. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ ეტაპზე სრულად ხდება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. ორივე მხარის მიერ განვლილი გზა და ამ გზაზე შეგროვებული მტკიცებულება, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს, რომ საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლეს წარუდგინონ საკმარისი მტკიცებულება მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად (უკვე ვახსენეთ, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეზეა და დაცვის მხარე არ არის ვალდებული შეაგროვოს მტკიცებულებები და ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა, თუმცა პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირად შევხვდებით უმოქმედო ბრალდებულს). ამ ეტაპზე ხორციელდება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და სწორედ ამ დროს იჩენენ თავს შეჯიბრებითი პრინციპის მომხრეები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქმეზე მატერიალური ჭეშმარიტება დგინდება მტკიცებულებათა ორმხრივი შეფასების დროს, რასაც კუმულაციურად შეიცავს პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის უფლება. შესაბამისად, მაღალია და საბოლოო საფეხურზეა მტკიცებულებითი სტანდარტი - გონივრულ ეჭვს მიღმა, რაც სსსკ-ს მე-3 მუხლის 13-ე პუნქტის მიხედვით გულისხმობს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მტკიცებულებითი სტანდარტის უმაღლესი და ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურია. მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი აქცენტი ეჭვის ხარისხზეა გადატანილი და არა ვარაუდზე.

მტკიცებულებათა შეფასება სასამართლო ეტაპებზე მიმდინარეობს უშუალოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით. თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებები თუ, მტკიცებულების დასშვებობის რა საფუძვლებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ და რაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის მოსამართლემ. განსხვავებულია სასამართლო პრაქტიკაც აღნიშნულის თაობაზე. იურისტთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ წინასასამართლო სხდომაზე უნდა შემოწმდეს მტკიცებულებათა მოპოვების გზები უშუალოდ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ხომ არ არის მტკიცებულება მოპოვებული კანონის არსებითი დარღვევით, ხოლო ისეთი ასპექტები, როგორც საქმესთან რელევანტურობა და უტყუარობა, არ წარმოადგენს ფორმალურ მხარეს და უნდა შეფასდეს საქმის არსებით განხილვაზე, რადგან მტკიცებულებათა სრული გამოკვლევა მხოლოდ ამ უკანასკნელზე ხორციელდება. მეორე ნაწილი, კი სავალდებულო მნიშვნელობას ხედავს წინასასამართლო ეტაპზე, მტკიცებულებათა

დასაშვებობის გადაწყვეტისას არა მხოლოდ იმის შემოწმებაში, თუ რამდენად კანონიერი გზებით მოხდა მტკიცებულების მოპოვება, არამედ რამდენად არის მოპოვებული მტკიცებულები რელევანტური სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე კი, ძირითადი აქცენტი, წარმოდგენილი მტკიცებულების უტყუარობაზე უნდა გაკეთდეს. აღნიშნულ საკითხს შემდეგ თავში უფრო დეტალურად შევხებით, სადაც პრაქტიკული მაგალითების ფონზე განვიხილავთ მტკიცებულებათა შეფასების რომელი კრიტერიუმი სასამართლოს რომელ სტადიას მიეკუთვნება.

## თავი IV

### მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას

#### 4.1 წინასასამართლო სხდომაზე:

##### ა) მოსამართლის როლი ფორმალურ საკითხებთან დაკავშირებით

ინფორმაციის თვისება შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი, დამოკიდებულია სრულად მოსამართლეზე. სწორედ იგი წარმოადგენს იმ „ნეიტრალურ არბიტრს“, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის შეჯიბრებით პრინციპის მოქმედებას და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასასამართლო სხდომა წარმოადგენს იმ სტადიას, რომლის დროსაც მოსამართლე პირველად ახდენს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებას. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, პირველ რიგში, განიხილავს ისეთ ფორმალურს საკითხებს, რომელიც გულისხმობს, მოხდა თუ არა მტკიცებულების მოპოვება კანონიერი გზით. „პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს წინასასამართლო სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები მტკიცებულებებთან მიმართებაში და ყურადღება უნდა მიექციოს იმას, რომ წინასასამართლო სხდომაზე მხოლოდ ზედაპირულად ხდება (ფორმალური თვალსაზრისით) მტკიცებულებათა შეფასება, რადგან მათი გამოკლვევა შესაძლებელია მხოლოდ საქმის არსებითი განხილვისას“.<sup>99</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი განმარტავს იმ კრიტერიუმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ მტკიცებულებათა შეფასებისას, ესენია: დასაშვებობა, რელევანტურობა და უტყუარობა. კანონმდებელი ზუსტად არ ადგენს თუ რა წინაპირობებს მოიაზრებს მტკიცებულების დასაშვებობა, აქედან გამომდინარე, სსსკ-ს 72-ე მუხლში მოცემული დაუშვებელი მტკიცებულების განმარტება წარმოადგენს ამოსავალ წერტილს:

<sup>99</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომაშვილი და სხვ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, 131, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინება, საქმეზე Nსგ/1390, 6

„არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“<sup>100</sup> ამ ნორმიდან გამომდინარე მხოლოდ ის მტკიცებულებაა დაუშვებელი, რომელიც არსებით დარღვევას ეფუძნება. შესაბამისად, ნებისმიერი კანონდარღვევა არ გამოიწვევს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. ამისთვის ადგილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო აქტების არსებით დარღვევას<sup>101</sup>, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა შეფასდეს და დადგინდეს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს, ვინაიდან რთულია იმის გამიჯვნა თუ რა შეიძლება ჩაითვალოს არსებით დარღვევად და რა არა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარების ავტორთა კოლექტივის აზრით: „მტკიცებულებათა დასაშვებობის შემოწმებისას დგინდება მისი წარმომავლობა, ანუ, თუ რა გზით აღმოჩნდა ის ხელმისაწვდომი მხარეებისთვის და იმისათვის, რომ კონკრეტული მტკიცებულება დასაშვებად იქნეს მიჩნეული, როგორც მინიმუმ, უნდა ხასიათდებოდეს აღნიშნული ნიშან-თვისებებით:

1. მოპოვებული უნდა იყოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ;
2. მოპოვებული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან;
3. მოპოვებული უნდა იყოს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;
4. ფიქსირებული უნდა იყოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;<sup>102</sup>

ხშირი დავის საგანია, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან, თუ რომლის დარღვევა წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას, რამაც ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა შეიძლება გამოიწვიოს. შესაძლებელია, საპროცესო დოკუმენტის შედგენისას ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვიოს ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ასეთი მტკიცებულება დასაშვები ვერ იქნება. ასევე თვალსაჩინო შემთხვევაა, როდესაც ბრალდების მხარეს წარადგენს ისეთი საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ საგანს, რომელსაც სასამართლოს განჩინება ესაჭიროებოდა. მტკიცებულების დასაშვებობის დროს აუცილებლად უნდა შემოწმდეს მოხდა თუ არა მხარის, კონსტიტუციით გარანტირებული, რომელიმე უფლების შეზღუდვა, მაგრამ ფუნდამენტური უფლების შეზღუდვით მოპოვებული მტკიცებულება არ წარმოადგენს უპირობოდ დაუშვებლად ცნობის წინაპირობას. როდესაც მტკიცებულების მოპოვების დროს, კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს, მაშინ სამართლებრივ სახელმწიფოში მიუღებელია, რომ ამ მიზეზით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გამო, ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და ამით შეფერხდეს დამნაშავესთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. აქედან

<sup>100</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 72 (1), 2009წ.

<sup>101</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება, §24

<sup>102</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 292

გამომდინარე, მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა მოახდინოს მოსამართლემ პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის ინტერესისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის შეფასება. საყურადღებოა ასევე ის შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ვალდებულია კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება ცნოს დაუშვებლად. სსკ-ს 72 მუხლის მიხედვით, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელი მტკიცებულებაა. საკითხის მიმართ ასეთი მიდგომა წარმოადგენს აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული დოქტრინის ანალოგს, რომელიც „მოწამლული ხის ნაყოფის“ სახელით არის ცნობილი. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა 1939 წელს აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტმა გადაწყვეტილების დასაბუთებისას,<sup>103</sup> რის შემდეგაც მოხდა სხვა სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობის შექმნა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ თუკი საგამომიებო ორგანოები, პირველადი მტკიცებულებების მოპოვების დროს არსებითად დაარღვევენ კანონს და არ დაიცავენ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სტანდარტებს, მაშინ ამ პირველად მტკიცებულებას წამლავენ. როდესაც პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არის დარღვეული, მაშინ ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულების მოსაპოვებლად, რადგან დანარჩენი მტკიცებულება მიუღებელია სასამართლოსთვის.<sup>104</sup>

წინასასამართლო სხდომასთან ერთად, სსკ-ს 239-ე მუხლით გათვალისწინებულია მტკიცებულების დასაშვებობის განხილვა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. საქმე ეხება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებას, რა დროსაც სასამართლო არკვევს საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზებს. მხარემ უნდა დაამტკიცოს და განმარტოს თუ რა საპატიო მიზეზით ვერ მოახერხა აღნიშნული მტკიცებულების წარდგენა წინასასამართლო სხდომაზე. მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის დაცვით, რასაც თან ახლავს არსებითი განხილვის თავისებურება, ორივე მხარის მონაწილეობა მტკიცებულებათა სრულ გამოკვლევაში.<sup>105</sup> ამ მხრივ საინტერესოა იტალიის საკანონმდებლო რეგულაცია, როდესაც კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია იტალიის სისხლის სამართლის პროცესისთვის, სადაც ცალსახად არის დარეგულირებული, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეს ვერ დაერთვება. თუმცა, საყურადღებოა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 526-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ აქვს უფლება დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება,

<sup>103</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 245, იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: *Nardone vs U.S.*, 308 U.S., გვ. 338, (1939)

<sup>104</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 246

<sup>105</sup> იქვე, 701-702

ვინაიდან აღნიშნული მხოლოდ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის უფლებამოსილებას წარმოადგენს.<sup>106</sup>

მოწამლული ხის ნაყოფის საკითხთან დაკავშირებით, აქვე უნდა ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომელიც დროთა განმავლობაში უზენაესი სასამართლოს პრაქტიკამ განავითარა. აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა, როდესაც, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საშუალებით, ახალი კანონიერი მტკიცებულებების სრულად დაუშვებლობა იწვევდა, აშკარად დამნაშავე პირის გასამართლებისთვის, გამამტყუნებელი განაჩენისთვის საჭირო მტკიცებულებათა არარსებობას. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია მთელი რიგი გამონაკლისები. მაგ: 1984 წლის საქმეზე - *შეერთებული შტატები ლეონის წინააღმდეგ*-, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში განიმარტა - იმის გათვალისწინებით, რომ პოლიცია მოქმედებდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ვალდებულების კეთილსინდისიერ შესრულებას, აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ სასამართლომ ნებართვა გასცა შესაბამისი საფუძვლების არარსებობის ფონზე, არ ქმნის, მათი გადმოსახედიდან, კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს. პოლიციას არ ევალება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლების შემოწმება და მისი კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება. კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიცია მოქმედებდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, რაც ქმნის მტკიცებულების დასაშვებობის წინაპირობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თუ ვის მიერ მოხდა კანონის მოთხოვნათა დარღვევა. თუ საზეზე იქნება პოლიციის მხრიდან, კანონის მოთხოვნათა დარღვევით სასამართლოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ნებართვის მისაღებად, მაშინ „კეთილსინდისიერების გამონაკლისს“ ვერ მივიღებთ, ხოლო სასამართლოს მხრიდან აღნიშნული დარღვევა, არ გვაძლევს საფუძველს, პოლიციის მიერ, კანონიერი გზებით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იცნოს.<sup>107</sup> მსგავსი სახის განმარტება გაკეთდა, ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ, საქმეზე - *შეერთებული შტატები მარტინის წინააღმდეგ*- 2002 წელს.<sup>108</sup> საქმეზე -*ნიქსი და ვილიამსი შტატების წინააღმდეგ*-,<sup>109</sup> მოსამართლემ იმსჯელა მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენაზე, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნული მაინც იქნება დასაშვები სისხლის სამართლის პროცესზე, თუ იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო კანონიერი გზებითაც. კონკრეტულ შემთხვევაში, გადამწყვეტია სწორედ მტკიცებულების გარდაუვალი მოპოვება,

<sup>106</sup> იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1988, მუხლი 526

<sup>107</sup> იქვე, 248, იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: U.S.v Leon, 468 U.S., გვ. 897, 918-921, (1984)

<sup>108</sup> იქვე, 248, იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე U.S. v. Martin, 297 F.3d, გვ. 1308, 1313 (2002)

<sup>109</sup> იქვე, 247, იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Nix v. Williams, 467 U.S., პარ., 441-444 (1984)

დროის მოკლე მონაკვეთში. მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მტკიცებულების აღმოჩენის ალბათობა იმდენად მაღალია, მისი ვერ მოპოვება, უმოკლეს ვადებში, პრაქტიკულად გამორიცხულია.<sup>110</sup> დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი - შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულებების აღმოჩენა ეფუძნება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროსაც. შესაბამისად, როდესაც მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობითაც, დაშვებულია გამონაკლისი და „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ ვერ ზღუდავს მტკიცებულების დასაშვებობას. ამის არგუმენტად, მითითება ხდება იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელი წყაროს საგამონაკლისო შემთხვევის დროს, თავიდანვე არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე კანონიერი გზით აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის, ვინაიდან მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით ისედაც მოხერხდებოდა.<sup>111112</sup>

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმეში არსებულ გარემოებებზე, რომელსაც მოსამართლე მტკიცებულებათა ერთობლიობის ტესტით აფასებს. საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენისთვის განვიხილოთ რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი.

მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მიერ, კანონის არსებითი დარღვევით მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე, 2018 წლის 2 თებერვლის განჩინებაში. საქმის მასალების მიხედვით წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი და დათვალა იერების ოქმზე თანდართული ფოტოები. წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ, განჩინებით დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით და დაუშვებლად იქნა ცნობილი დაცვის მხარის მიერ წარდგენილი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 სექტემბრის წერილი და დაცვის მხარის მიერ შედგენილი დათვალა იერების ოქმზე თანდართული ფოტოილუსტრაცია. დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საფუძველად დაუდო შემდეგი გარემოებანი: 1. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილის ავთენტურობა არ დგინდება, ვერ ირკვევა რის საფუძველზე იქნა იგი მოპოვებული; 2. დათვალა იერების ჩატარების დროს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები არ არის დარღვეული, თუმცა, ამ ოქმზე ფოტოების დართვა ახალი (სხვა) საგამომიებო მოქმედებაა და ამით დარღვეულია საქართველოს სსსკის 136-ე მუხლის

<sup>110</sup> ასევე ამერიკის შერთებული შტატების ფედერალური უზენაესი 2 საქმეზე: Soto v. New York, 476 U.S., გვ. 431, 441-444 (1986)

<sup>111</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 246

<sup>112</sup> იქვე, 246, ობ., Broun, K. S.: McCormick on Evidence, 1992, 313; Saltzburg, S. A./ Capra, D. J.: American Criminal Procedure: Cases and Commentary, 2007, 358.

მოთხოვნები. აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულის ადვოკატმა და მოითხოვა წინასასამართლო სხდომის განჩინების გაუქმება დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ნაწილში და ამ მტკიცებულებების დასაშვებად ცნობა. საჩივარში მითითებული იყო, რომ სადაო წერილი მიღებულია ადვოკატის განცხადების პასუხად - „მიმართვა ექსპერტიზისადმი არ არის მტკიცებულება და მისი არწარდგენა არ წამოადგენს მიმართვის საფუძველზე მიღებული, იდენტიფიცირებადი პასუხის დაუშვებლად ცნობის საფუძველს. მით უფრო, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პასუხი შესრულებულია ტიტულიან, გერბიან ფურცელზე, რომელსაც შუაში აქვს დამცავი ნიშანი წარწერით სეებ და გააჩნია მაიდენტიფიცირებელი ნომერი, რომელიც უნიკალურია და არ მეორდება. რაც შეეხება დოკუმენტის მომპოვებელი პირის მითითებას დასაკითხ პირთა სიაში, როგორც უტყუარად დგინდება, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა დაცვის მხარემ და პასუხი მოიპოვა ბრალდებულის ადვოკატმა. შესაბამისად, საკუთარი თავის გამოკითხვა ადვოკატის მიერ არათავსებადია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნასთან. აღნიშნულის გამო არ შეიძლება დაცვის მხარეს შეეზღუდოს უფლება, ამგვარი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება წარადგინოს სასამართლოში გამოკვლევის მიზნით, როგორც დასაშვები მტკიცებულება. რაც შეეხება დათვალიერების ოქმს, ფოტოგადაღება განხორციელდა დათვალიერების ფარგლებში, მისი მიმდინარეობისას და ოქმში დეტალურადაა მითითებული, რომ მოხდა ფოტოგადაღება კონკრეტული მობილური ტელეფონის აპარატით. თავად ფოტოილუსტრაცია წარედგინა საგამომიებო მოქმედების მონაწილეებს, გაკეთდა ხელმოწერები და დაერთო ოქმს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარის მიერ არ დარღვეულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად და მოპოვებული მტკიცებულება არ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ფოტოილუსტრაცია ასახავს კონკრეტული საგამომიებო მოქმედების მიმდინარეობას და არ არის დაკავშირებული რაიმე სხვა მტკიცებულების მოპოვებასთან და საქმეზე დამაგრებასთან.“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები, წინასასამართლო სხდომის ოქმი და მიიღო გადაწყვეტილება სადაც განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დაუშვებლად ცნობილ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილიდან ირკვეოდა, რომ იგი შედგენილი იყო ადვოკატის განცხადების პასუხად. წერილში მითითებული იყო ადვოკატის განცხადების თარიღი და რეგისტრაციის ნომერიც. გარდა ამისა წერილი შეიცავდა ყველა ოფიციალურ რეკვიზიტს, რაც აუცილებელია დოკუმენტის ნამდვილობის დასადასტურებლად, კერძოდ, შესრულებული იყო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატიტულო ფურცელზე, რომელსაც გააჩნდა დამცავი ნიშანი, ჰქონდა გასავლის სარეგისტრაციო ნომერი, დათარიღებული და ხელმოწერილი იყო იურიდიული სამმართველოს უფროსის მიერ და რაც მთავარია, მინიჭებული ჰქონდა უნიკალური (ინდივიდუალური) შტრიხ-კოდი. შესაბამისად, წერილი ოფიციალური დოკუმენტისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს შეიცავდა და არ ბადებდა კითხვებს მისი შესაძლო გამოცვლის, ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. უშუალოდ იმ გარემოებებზე, რომელიც

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საექვოდ მიიჩნია, საგამოძიებო კოლეგიამ მიუთითა, რომ საექსპერტო დაწესებულების წერილი გაიცა ნამდვილად ადვოკატის განცხადების საფუძველზე და ამის გადამოწმება შესაძლებელი იყო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიული სამმართველოს უფროსის წერილით, სადაც ამ განცხადების შინაარსთან ერთად, სარეგისტრაციო ნომერიც იყო მითითებული. ხაზი გაესვა ადვოკატის მიერ, მეტი წინდახედულობის გამოჩენას, განცხადების ასლის გაკეთებასა და საქმის მასალებისთვის დართვას, თუმცა, საგამოძიებო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამ განცხადების ასლის არქონა სადაო წერილს არ უკარგავდა ავთენტიკურ ხასიათს და იურიდიულ ძალას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განცხადებას იტოვებს ის უწყება, სადაც ის შეაქვთ. ეს არ არის წერილი, რომლის ასლიც რჩება ხოლმე ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაშიც, ადვოკატის განცხადება დარჩა საექსპერტო დაწესებულებაში, ხოლო მის საფუძველზე გაიცა ზემოაღნიშნული წერილი, რომელიც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით ავთენტიკურია, რადგან ცნობილია მისი წარმომავლობა და უარყოფილია გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. რაც შეეხება დათვალიერების ოქმს და მასზე დართულ ფოტოებს, საგამოძიებო კოლეგიამ განმარტა, რომ დათვალიერება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ამ შემთხვევაში, დაცვის მხარემ ჩაატარა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარკვევის მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მე-3 პუნქტი შესაძლებლობას იძლევა დათვალიერება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ან მასზე არსებული კვალის განადგურებას ან დაზიანებას. ამავე კოდექსის 134-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ხმის ან/და გამოსახულების ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ჩაწერა, შედგა ნახაზი ან სქემა, საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, მათი გამოყენების პირობები და მიღებული შედეგები. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოს და ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს ოქმში. ამ ნაწილში მითითებული ინფორმაციის შემცველი მასალა უნდა დაილუქოს, დადასტურდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ხელმოწერებით და დაერთოს საქმეს. საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დათვალიერების ოქმში, სხვა გარემოებებთან ერთად, უნდა აღინიშნოს რა ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული. ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმებიდან ცხადია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ტექნიკური საშუალებების გამოყენებას მიიჩნევს ამ საგამოძიებო მოქმედებისას მტკიცებულებების მოსაპოვებლად განხორციელებული ქმედებების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილად, ფაქტებისა და მოვლენების უკეთესი ფიქსაციის საშუალებად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ცალკეული ეპიზოდების (ან მთლიანად საგამოძიებო მოქმედების) სურათის აღდგენა, დემონსტრირება, სასამართლოსა და მხარეებისთვის თვალსაჩინოდ წარმოდგენა. როგორც აღინიშნა,

ასეთი შეიძლება იყოს ფოტოგადაღებაც, რომელიც ამ შემთხვევაში, დათვალიერების პროცესის შემადგენელი და მისი მიმდინარეობის თვალსაჩინოდ ამსახველი ნაწილია. ამ შემთხვევაში, ფოტოგადაღება არ არის დამოუკიდებლად ჩატარებული საგამომიებო ან საპროცესო მოქმედება, რომლის დასაშვებობაზე მსჯელობაც დათვალიერების ოქმისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა შესაძლებელი. ის არის დათვალიერების ოქმის განუყოფელი ნაწილი და მასში თვალსაჩინოების სახით არის ასახული ის, რაც დათვალიერების ოქმში სიტყვიერი ფორმით არის აღწერილი. ამიტომ, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ დათვალიერება, როგორც საგამომიებო მოქმედება, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დაცვით არის ჩატარებული, შესაბამისად, ფოტოგადაღებაც, რომელიც დათვალიერების პროცესის შემადგენელი ნაწილია, ვერ იქნება არსებული მოთხოვნების საწინააღმდეგო, რადგან ეს ყველაფერი ასახულია კანონის შესაბამისად ჩატარებულ დათვალიერების ოქმში. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ იმსჯელა, დათვალიერების ჩატარებისას განხორციელებული ფოტოგადაღებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დარეგულირებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურის განსხვავებაზე. „დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა არის უშუალოდ იმ ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვება სისხლის სამართლის საქმის მიზნებისთვის, რომელიც დაცულია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში. ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვისგან განსხვავებით, ბრალდებულის პერსონალურ კომპიუტერში არსებული ფაილების დათვალიერებას და ამ დროს განხორციელებულ ფოტოგადაღებას (მოცემულ შემთხვევაში) აქვს მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა, რომ ამა თუ იმ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში (ბრალდებულის კომპიუტერში) არსებობს, დაცულია ეს ინფორმაცია. თუმცა, გამოთხოვისგან განსხვავებით, დათვალიერებისას ამ დაცული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოპოვება (კოპირება) და საქმეზე დართვა არ ხდება. დათვალიერებისა და ამ დროს განხორციელებული ფოტოგადაღებისას მიღებულ ინფორმაციას ვერ ექნება პრეტენზია უტყუარობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ დროს არ არის მოპოვებული თვით ამ ინფორმაციის პირველწყარო, რომელზეც შეიძლება ჩატარდეს ტექნიკურ-კომპიუტერული ექსპერტიზა მისი ავთენტიკურობის და ნამდვილობის დასადგენად, აგრეთვე იმის დასადგენად, შეინიშნება თუ არა მასზე მონტაჟის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო მანიპულაციების ნიშნები. ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ დათვალიერება იმდაგვარად, რაც მოცემულ შემთხვევაში ჩაატარა დაცვის მხარემ ფოტოგადაღების თანხლებით, ვერც მტკიცებულებითი ძალის (უტყუარობის) თვალსაზრისით და ვერც პროცესუალურად, ვერ შეცვლის ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვას, რომელიც ასეთი დათვალიერებისაგან განსხვავებით, უტყუარი დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს სასამართლოს და მხარეებს მისი გამოკვლევის შემთხვევაში. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიას არ მიაჩნია, რომ ხსენებული დათვალიერება და ამ დროს განხორციელებული ფოტოგადაღება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების - დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის ნიშნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს

საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ს.-ს საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინება დაცვის მხარის მტკიცებულებების ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ უნდა გაუქმდეს.<sup>113</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 სექტემბრის განაჩენით გ.ზ გამართლდა სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენით უცვლელად დარჩა. პროკურორის მიერ საკასაციო საჩივრის შედეგად კი საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დაზარალებულის მანქანის დათვალიერების ოქმი შედგენილია სსსკ-ს 125-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რაც გამორიცხავს მის გამოყენებას როგორც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველს. სსსკ-ს 125-ე მუხლის მიხედვით: „თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლო განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას.“ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე კი არ იკვეთებოდა ზემოთხსენებული წინაპირობები, საგამომიებო მოქმედების განჩინების გარეშე ჩასატარებლად. საკასაციო პალატამ ასევე ხაზი გაუსვა სსსკ-ს 72 მუხლის 1 პუნქტის მე-2 წინადადებას და განმარტა, რომ ა/მანქანის დათვალიერება ჩატარდა სსსკ-ს 125-ე მუხლის დარღვევით, შესაბამისად ამ საგამომიებო მოქმედების დროს აღებული სუნისა და ხელის კვლების ნიმუშების საფუძველზე მოპოვებული ოდოროლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, როგორც მტკიცებულებები გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.<sup>114</sup> კონკრეტულ შემთხვევაში ცალსახა კანონის, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, რაც თავისთავად იწვევს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად იკვეთება დასაბუთების სიმცირე მოსამართლის გადაწყვეტილებაში, უშუალოდ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან მიმართებაში. განსხვავებულია მიდგომა და შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებაც. ერთ-ერთ საქმეში, როდესაც დაცვის მხარემ მოითხოვა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ფოტოცხრილის დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ ფოტოებზე არ იყო აღნიშნული თარიღი და დრო, რაც სსკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებელი მტკიცებულებაა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა, ვინაიდან საგამომიებო მოქმედებები ჩატარებული იყო კანონის სრული დაცვით. სასამართლოს განმარტებით, ოქმში მითითებული იყო როგორც საგამომიებო მოქმედების დაწყების, ისე დასრულების თარიღი, ასევე ოქმში აღნიშნულია რომ ფოტოგადაღება ხდება ფოტოაპარატი „ნიკონით“. აღნიშნული ფოტოილუსტრაციები ოქმს თან ერთვის, ამიტომ მხოლოდ ის საფუძველი, რომ ფოტოებზე

<sup>113</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2018 წლის 2 თებერვლის №1გ/133-18 განჩინება, 5-6  
<sup>114</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის №251აპ-16 გადაწყვეტილება, 8-9

არ არის აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაწყების და დასრულების თარიღი არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ვერ იქნება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი. გარდა ამისა, ოქმის სისწორეს როგორც ბრალდებული, ისე მოწმე ადასტურებენ ხელის მოწერით.<sup>115</sup>

მოსამართლეების მიერ საკითხის განხილვამდე და შინაგან რწმენაზე დამყარებული ინდივიდუალური შეფასების შედეგად გადაწყვეტილების მიღებამდე, პროცესში მოქმედებს ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის შემადგენელი ნაწილია. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებულ სამართალწარმოებაში მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა პრეროგატივაა, შესაბამისად ისინი აყენებენ შუამდგომლობას საკუთარი მტკიცებულების დასაშვებობასა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვის „სასიცოცხლო“ მნიშვნელობის მატარებელია მხარის შუამდგომლობა, რომელიც დაყენებული უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარის მიერ და დაცული უნდა იყოს შესაბამისი ფორმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა როცა მხარე ახალი არსებითი გარემოებების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. ამასთან შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან. აქედან გამომდინარე იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებლად ცნობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მხარემ არ ან ვერ წარმოადგინა შუამდგომლობა სათანადო ფორმით ან/და, შეუძლია თუ არა სასამართლომ განხილვის გარეშე დატოვოს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, იმის გამო, რომ მხარეებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს კანონის მოთხოვნათა დაცვა. აღნიშნულ საკითხზეც განსხვავებულია მოსამართლეთა მიდგომა, რასაც ადასტურებს განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა. იურისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსამართლის მხრიდან საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა პირდაპირ ეწინააღმდეგება სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებით პრინციპს. პარალელის გავლება ხდება კლასიკური შეჯიბრებითი პრინციპის მონე სამართლებრივ სისტემასთან, სადაც მოსამართლე მხოლოდ არბიტრის როლშია წარმოდგენილი. მსგავსი შეხედულების მქონე მოსამართლეები კი განმარტავენ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქმის წარმოების არაერთ ეტაპზე ითვალისწინებს შუამდგომლობის დაყენებას წარმოდგენილი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. სისხლის სამართლის პროცესი მონაწილე მხარეებს თანაბარ უფლებამოსილებებს ანიჭებს მტკიცებულებათა მოძიებისა და შემდგომში, გამოკვლევის კუთხით. აქედან გამომდინარე, სწორედ მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ რომელი მტკიცებულება დაურთონ საქმეს და

<sup>115</sup> ქეთევან ჩომახაშვილი, თამარ თომაშვილი და სხვ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016წ. 135

მოითხოვონ მისი დასაშვებობა, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დაუშვებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება მოსამართლის გადაჭარბებულ უფლებამოსილებასთან. ამ მხრივ, საინტერესო იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე №759აპ-16. კასატორი მიუთითებდა, რომ საქმეზე პროცესის წარმოებისას არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნები, კერძოდ სადავოდ ხდიდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პირადი ჩხრეკის ოქმის, საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკის ოქმების კანონიერებას და აღნიშნავდა, რომ საგამომიებო მოქმედებების კანონიერება სასამართლოს არ შეუძლებია კანონით დადგენილი წესით და არ შეიძლებოდა გამხდარიყო საფუძველი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენისა (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მარტის განაჩენით ნ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 პუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. ნ.თ-ს ინტერესების დამცველმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენით, უცვლელად დატოვა). უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტებით, საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს მხარეების შესაძლებლობას, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით შუამდგომლობა დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მტკიცებულებათა გამოკვლევა და დაუშვებლად ცნობა არ არის გათვალისწინებული საკასაციო სხდომის დროს, განსხვავებით წინასასამართლო სხდომისა, პირველ ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვისა და სააპელაციო სხდომისაგან. კასატორმა არ გამოიყენა არცერთ ეტაპზე, საკუთარი უფლება სადაოდ გაეხადა ბრალდების მხარის მტკიცებულება, რათა დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნო სასამართლოს. შესაბამისად, კონკრეტულ ეტაპზე მიღწევის დროს ზემოთხსენებული ოქმები დასაშვები მტკიცებულება, რასაც შეიძლება დაეყრდნოს გამამტყუნებელი განაჩენი. საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.<sup>116</sup>

თუმცა საკითხავია რას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესი მიზანი და რამდენად ემსახურება ამ მიზანს ზემოთხსენებული მიდგომა?! შეჯიბრებითი პრინციპის განხილვისას, წინა ნაწილებში, ჩვენ ხაზი გავუსვით მის როლს ობიექტური ქმედებების დადგენაში, რაც გამოიხატება იმაში რომ, სიმართლე ორმხრივი „დაპირისპირების“ დროს უფრო ცხადდება, თუმცა რა უფრო მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისთვის, პირველ ადგილზე დაყენებული პრინციპი, რომელიც საქმეზე ობიექტური ქმედებების დადგენას ემსახურება თუ უშუალოდ ობიექტური ქმედებების, რომლის მისაღწევაც მეორე ადგილზე დგას კონკრეტული პრინციპი. სწორედ ამ შეხედულების მხარდასჭერად, იურისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ აღნიშნულ უფლებამოსილებას მოსამართლეს ანიჭებს

<sup>116</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის №759აპ-16 გადაწყვეტილება, 5-6

საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მეოთხე პუნქტის “ა” ქვეპუნქტის ჩანაწერი - “განხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე”, რაც გულისხმობს მოსამართლის უფლებამოსილებას იმსჯელოს არა დაუშვებლობაზე, არამედ დასაშვებობაზე და დამოუკიდებლადც მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ რომელიმე მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული არსებით სხდომაზე. ამ ვერსიას ემხრობიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორებიც, რომელთა მოსაზრებით “სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობებით და ვალდებულია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას”.<sup>117</sup>

აღნიშნული შეხედულების მხარდასაჭერად, საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძებო კოლეგიის 2019 წლის 9 მარტის განჩინება. წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო სამეთვალყურეო კამერის მიერ დაფიქსირებული ვიდეოჩანაწერის CD დისკი, იმ მიზეზით, რომ მხოლოდ სასამართლოს განჩინების მეშვეობით იყო შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა. პროკურორმა საჩივარში აღნიშნა, რომ ვინაიდან დაცვის მხარე არ დაობდა აღნიშნულ მტკიცებულებაზე, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით დაუშვებლად არ უნდა ეცნო ეს მტკიცებულება. საგამოძებო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი და განჩინებაში განმარტა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, მიუხედავად მეორე მხარის პოზიციისა, ვალდებულია საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი.<sup>118</sup> ნორმის სწორედ ასეთი განმარტებით და მოსამართლის „დამოუკიდებელი“ მოქმედებით არის შესაძლებელი სისხლის სამართლის საპროცესო მიზნის მიღწევა, რასაც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს, მიუხედავად იმისა თუ რა დოზით ირღვევა წმინდა შეჯიბრებითი პრინციპი.

## **ბ) მოსამართლის როლი მტკიცებულების დასაშვებობის მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით**

დასაშვებობის განხილვის შემდეგ, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის წინ დგას ისეთი მატერიალური საკითხები როგორცაა, მტკიცებულების რელევანტურობა და უტყუარობა. როდესაც იურისტთა დიდი ნაწილი კამათობს უნდა იქნეს თუ არა რელევანტურობის საკითხი განხილული წინასამართლო სხდომაზე, თითქმის ყველა თანხმდება იმ მოსაზრებაზე, რომ უტყუარობის საკითხი საქმის არსებითი განხილვის მოსამართლის „პრეროგატივაა“. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ უტყუარობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების სრული გამოკვლევით, რაც შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ, საქმის არსებით განხილვაზე, შესაბამისად ამ

<sup>117</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 654

<sup>118</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძებო კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის №1გ/337-17 განჩინება, 2

ეტაპზე განვიხილავთ უშუალოდ რელევანტურობის საკითხს და მის ადგილს წინასასამართლო სხდომასა და საქმის არსებით განხილვას შორის.

რელევანტურობა ეხება მტკიცებულების შინაარსს და გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე. რელევანტურობის შეფასება ხდება საქმის გარემოებების და მტკიცებულებაში არსებული ინფორმაციის შინაარსის ურთიერთშეპირსპირებით. ამ დროს ფასდება არა მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ეხება მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, არამედ ასევე მტკიცებულებებიც, რომელთა მეშვეობით ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი დასამტკიცებელი გარემოების დადასტურება ან უარყოფა. რელევანტურობა არ წარმოადგენს შეფასების მყარ კრიტერიუმს, განსხვავებით დასაშვებობა/უტყუარობისგან, რადგან მტკიცების პროცესი ცვალებადია. გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება, შესაძლებელია, უშუალოდ იმ მომენტში აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის საქმეზე რელევანტურობის კრიტერიუმს, თუმცა შემდეგ მოძიებული მტკიცებულებებით, ახალი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვებით, აღმოჩნდეს რომ კონკრეტულ მტკიცებულებას საერთოდ არ ჰქონია შეხება გამოსადიებელ სისხლის სამართლის საქმესთან. რელევანტურობის შეფასებისთვის დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: ა) ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს მტკიცებულება და ბ) არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის. მტკიცებულება რელევანტურად ჩაითვლება თუ:

- ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე;
- ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებებით;
- მიუთითებს სხვა მტკიცებულების არსებობაზე;
- ახასიათებს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების წარმოების პირობებსა და წესს და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას;
- ადგენს ფაქტებს, რომელიც ეწინააღმდეგება საგამოძიებო ვერსიას;
- უკუაგდებს უკვე დადგენილ გარემოებებს;
- მიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობა/არარსებობაზე
- ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს;<sup>119</sup>

მტკიცებულების რელევანტურობის საკითხზე, თვალსაჩინო მაგალითია, როდესაც მოწმის ჩვენება უშუალოდ აღწერს დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივ მოვლენებს, პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ადგილზე, იარაღზე, მონაწილე პირებზე და ა.შ. ასევე ისე დოკუმენტები რომლის მეშვეობითაც დგინდება სისხლის სამართლის საქმის გარემოებები და ხელს უწყობს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. (სატრანსპორტო მგზავრობის ბილეთი, გადახდის ქვითარი - რაც ადასტურებს პირის ადგილმდებარეობას და სხვ.) ამ ეტაპზეც, საქმე გვაქვს საკითხის ინდივიდუალურ შეფასებასთან მოსამართლის მიერ, რომელმაც კონკრეტული

<sup>119</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 294

სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში უნდა გადაწყვიტოს მტკიცებულების შინაარსობრივი შემხებლობა.

რელევანტურობა, როგორც მტკიცებულების დასაშვებობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, მკაფიოდ არის ხაზგასმული ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში. აშშ-ს ფედერალური წესებით მტკიცებულების შესახებ, დარეგულირებულია რელევანტური მტკიცებულების დასაშვებობის ზოგადი საფუძელები. იმისათვის, რომ დადგინდეს აქვს თუ არა შემხებლობა მტკიცებულებას, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან, უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: 1) აღნიშნული მტკიცებულებით, ფაქტი უნდა გახდეს მეტად ან ნაკლებად სარწმუნო, ვიდრე ეს იქნებოდა ამ მტკიცებულების გარეშე; 2) ეს ფაქტი გამოვლენილი უნდა იყოს საქმის განხილვის შედეგად.<sup>120</sup> ამასთანავე, მტკიცებულების დასაშვებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს: აშშ-ს კონსტიტუციით, ფედერალური საკანონმდებლო აქტებით, ფედერალური წესებით და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესებით. არარელევანტურობა მტკიცებულების დაუშვებლობის წინაპირობაა.<sup>121</sup> ასევე მნიშვნელოვანია ისე ნაწილი, სადაც მოსამართლეს ეძლევა უფლებამოსილება არ დაუშვას რელევანტური მტკიცებულება, თუ მისი ღირებულება სისხლის სამართლის პროცესისთვის გადაწონილია შემდეგი საფრთხეებით: უსამართლო ზიანი; შეუსაბამო დაყოვნება; დროის დაკარგვა; სადავო საკითხის არევა; ნაფიცმსაჯულების შეცდომაში შეყვანა;<sup>122</sup>

მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მტკიცებულების რელევანტურობასთან დაკავშირებით 2018 წლის 20 ივლისის განაჩენში. საქმე ეხებოდა რუსთავეში მომხდარ ყაჩაღობას, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი, დაახლოებით 19:00 საათზე, ფულისა და ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სახლის ეზოში თავს დაესხა მოქალაქეს, გასტაცა საფანტის სისტემის პისტოლეტი და განახორციელა გასროლა, რომლითაც სახის არეში მიაყენა მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. საქმეში ფიგურირებდა შემდეგი სახის მტკიცებულებები: დაზარალებულის ჩვენება, ქ. რ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს პირველი განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის, იმავე სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლების და აღნიშნული სამმართველოს მესამე განყოფილების უფროსი ინსპექტორის ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და დაზარალებულის მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: პირველი ინსტანციის სასამართლო დაზარალებულის ჩვენების გაზიარებაზე უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ ეს ჩვენება არასაკმარისი და არარელევანტური იყო პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. მიუხედავად დაზარალებულის განცხადებისა, რომ იგი იცნობდა თავდამსხმელს და

<sup>120</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულების შესახებ, 1993, მუხლი 401

<sup>121</sup> იქვე. მუხლი 402

<sup>122</sup> იქვე. მუხლი 403

ზუსტად აღწერდა მის გარეგნობას, სასამართლომ ეს ფაქტობრივი გარემოებები არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ არ იყო ჩატარებული ისეთი საპროცესო მოქმედება, როგორცაა ბრალდებულის ფოტოსურათით ამოცნობა; გარდა ამისა საქმის წარმოება მიმდინარეობდა განსასჯელის დაუსწრებლად, რის გამოც დაზარალებულის მიერ, მისი გარეგნობის აღწერა სასამართლოსთვის არაინფორმაციულ ხასიოს ატარებდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ან მოწმე პირდაპირ ასახელებს განსასჯელის ვინაობას, ამასთან, თითქმის მომხდარი შემთხვევის მომენტში ადასტურებს, რომ ის არის მისი ნაცნობი და აღწერს მის გარეგნობას, არ არსებობს დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ამოცნობის აუცილებლობა, რადგან მსგავს შემთხვევაში ასეთი საპროცესო მოქმედება პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავს. რაც შეეხება, სასამართლოს მითითებას იმაზე, რომ დაზარალებულის მიერ ბრალდებულის გარეგნობის აღწერა და მასთან ნაცნობობის დადასტურება არაინფორმაციულია, ასეთი მოტივი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, გაუგებარი და ბუნდოვანია, ვინაიდან ძნელია გაარკვიო თუ რას ნიშნავს არაინფორმაციულობა და რაში მდგომარეობს მისი სამართლებრივი არსი. საქმე ისაა, რომ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე იცნეს, ასევე მოცემულ საქმეზე მოწმედ დაკითხულმა პოლიციის თანამშრომლებმაც, როგორც წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის სასამართლევი და ამ გარემოებების გამო მათთან ურთიერთობაში ნამყოფი პირი. სწორედ დაზარალებულისა და მათი ჩვენებების საფუძველზე დაიწყო და მიმდინარეობდა ამ საქმეზე წინასწარი გამოძიებაც და სასამართლო განხილვაც. თუკი სასამართლოს ხსენებულ მოტივს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ ლოგიკური იქნება იმის ჩათვლაც, რომ მოცემულ საქმეზე მთელი საპროცესო წარმოება მიმდინარეობდა არაიდენტიფიცირებული ანუ ვიღაც დაუდგენელი პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამო. სასამართლოს მთავარი აქცენტი სწორედ იმაზე ჰქონდა გადატანილი ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა ხსენებული პიროვნება შემთხვევის ადგილზე, ასევე საეჭვოდ ხდიდა საქმის გარშემო არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, იმ მცირე უზუსტობებზე დაყრდნობით, რომელიც მოწმეთა ჩვენებებში აღინიშნებოდა. ასეთ დროს, ლოგიკური იქნებოდა, სასამართლოს არსებითად ემსჯელა, ნამდვილად მოხდა თუ არა ყაჩაღობა, თუ ყოველივე მხოლოდ დაზარალებულის ფანტაზიის ნაყოფია და რატომღაც, მასთან ერთად, მოწმეებმაც შეგნებულად მისცეს დასაბამი საქმის წარმოებას არარსებული დანაშაულის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში, მხოლოდ ერთი წინადადებით შეეხო პირველი ინსტანციის მსჯელობას ყაჩაღობის ნადვილობასა, პირის იდენტიფიკაციისა და შემთხვევის ადგილზე მისი ყოფნა/არყოფნის საკითხს. აქცენტი გაკეთებული იყო ისევე მოწმეთა ჩვენებების უზუსტობაზე, რომ აღნიშნული მტკიცებულებები ვერ აკმაყოფილებდა იმ სტანდარტებს, როგორცაა უტყუარობა და სამაჯერებლობა, რადგან ისინი არ იყო იდენტური და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა შეუძლებელი იყო. ბრალდების მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ეს უზუსტობები არ არის არსებითი ხასიათის, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციების დასკვნები და განმარტა, რომ დაზარალებულის მიერ სასამართლოს წინაშე მიცემული ჩვენების შინაარსი უტყუარად ადასტურებს თავდამსხმელთან ნაცნობობას, ამას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მისი გარეგნობის აღწერა. პოლიციელების ჩვენებებით, მათ დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ აღნიშნულ პირთან, მისი კრიმინალური წარსულის გამო, რომელიც ხელში იარაღით დანახვისთანავე იცნეს. აქედან გამომდინარე, საუბარი მის შესაძლო არყოფნაზე მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება პირადი დაინტერესება მოწმეთა მხრიდან, რაც არ გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ყველამ ერთად გადაწყვიტა კონკრეტული დანაშაულის ამ პირზე გადაბრალება. აქვე ხაზი გაესვა უტყუარობის საკითხს, როდესაც საკასაციო პალატამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ურთიერთთავსებადობისა და შესაბამისობის თვალსაზრისით, ჩვენებების სახით არსებული მტკიცებულებების უტყუარობის კრიტერიუმად მათი იდენტურობის მიჩნევა არასწორია, პირიქით, სწორედ მათი იდენტურობა წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს მათ მიმართ. ყველა ადამიანი, მათ შორის დაზარალებულიც და მოწმეც, ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც თავისებურად, სხვებისგან განსხვავებით აღიქვავს, იმახსოვრებს და გადმოსცემს ერთი და იმავე მოვლენის ამსახველ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე შეუძლებელია მოწმეთა ჩვენებები ყველა დეტალში ემთხვეოდეს ერთმანეთს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ისეთ ფაქტორებს როგორცაა დროის გასვლა და სხვ. საკასაციომ აღნიშნა, რომ მართალია არსებობს უზუსტობები მოწმეთა ჩვენებებს შორის, თუმცა საყურადღებოა და გასაზიარებელია ბრალდების მხარის ის პოზიცია, რომელიც გულისხმობს არაარსებით უზუსტობებს. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა, დანაშაულის ადგილიდან მიმალვა პოლიციელების დანახვაზე და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები ემთხვევა დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებში. შესაბამისად აღნიშნული მტკიცებულებები რელევანტურია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში (ბრალდებულის ფოტოსურათით ამოცნობის განუხორციელებლობის მიუხედავად) და სარწმუნო, რაც ქმნის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.<sup>123</sup>

რაც შეეხება უშუალოდ მტკიცებულების რელევანტურობის განხილვის ადგილს წინასასამართლო სხდომასა და საქმის არსებით განხილვას შორის, ამ კითხვაზე პასუხს, ერთი შეხედვით, იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე“. სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წინასასამართლო სხდომის განაწესი ეხება მტკიცებულებათა შეფასებისას მხოლოდ მათი დასაშვებობის საკითხს

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის №117აპ-18 გადაწყვეტილება, 4-12

– მოპოვებულია თუ არა მტკიცებულება კანონის არსებითი დარღვევით. რელევანტურობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის დაკავშირებული მტკიცებულების მოპოვების კანონიერების ფორმალურ მხარესთან. რელევანტურობისთვის განმსაზღვრელია არა მტკიცებულების მოპოვების ფორმის დაცვა, არამედ შინაარსი. შესაბამისად, რელევანტურობის შეფასება ხდება არა მისი მოპოვების ფორმის დაცულობის, არამედ შინაარსის გათვალისწინებით – რამდენად არის მტკიცებულება შემხებლობაში საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან. სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის შეფასება წინასასამართლო სხდომაზე რთულად განსახორციელებელია. შესაბამისად, შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ არარელევანტური მტკიცებულების საქმიდან გამორიდების საკითხის განხილვა წინასასამართლო სხდომაზე ძირითადად არ ხდება. მაგრამ ყოველთვის არსებობს კითხვა, უნდა ხდებოდეს თუ არა არარელევანტური მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა წინასასამართლო განხილვის სხდომაზე?! ამ კითხვას კი ამყარებს, ის მცირე რაოდენობა შემთვევებისა, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეებმა „საკუთარ თავზე აიღეს“ რელევანტურობის საკითხის შეფასება.

ასეთ დროს საყურადღებოა მკვლევართა ასოციაციის შეხედულება, რომელთა მიხედვითაც მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის განხილვა მოხდეს არსებითი სხდომის დაწყებამდე – წინასასამართლო სხდომაზე. ამისათვის კი კონკრეტულ გარემოებებზე ამხვილებენ ყურადღებას: „როგორც აღინიშნა, არარელევანტური მტკიცებულება არ შეიცავს ინფორმაციას საქმის შესახებ, ფაქტობრივი თუ სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით. თუმცა, მას შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს საქმის განხილვის პროცესზე, რაც დაუშვებელია. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში. უსარგებლო, არარელევანტური მტკიცებულების მიწოდებით ჩნდება რისკი, რომ ნაფიცი მსაჯულის (რომელიც არ არის სამართლის სპეციალისტი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას მოახდენს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, მსაჯულები გადაწყვეტილებას მიიღებენ ისეთი „მტკიცებულების“ გავლენითაც, რაც არ არის რელევანტური საქმესთან. ამ რისკს ბოლომდე ვერ აღმოფხვრის მოსამართლის ან მხარეთა განმარტებები ნაფიც მსაჯულთა მიმართ. არარელევანტური მტკიცებულების დროული გამორიდება მნიშვნელოვანია ასევე იმ პროცესისთვისაც, სადაც ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში, არსებით სხდომაზე მხარეები, აღარ დახარჯავენ დროსა და სხვა რესურსს არარელევანტური მტკიცებულებების გაბათილებაზე.“<sup>124</sup> საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს საქმის განხილვის არსებითი სხდომის მოსამართლეს განიხილოს მტკიცებულებათა

<sup>124</sup> „საქართველოს იურიდიული ფორუმის ასოციაცია“, „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, თბილისი, 2015 წელი, 43

შეფასების ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა დასაშვებობა და რელევანტურობა, უტყუარობასთან ერთად, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ადრეული ეტაპიდანვე დაუშვებელი მტკიცებულებების „გამოაშკარავება“ კანონის დარღვევით მოპოვებისა თუ არარელევანტურობის გამო, ხელს შეუწყობს საქმის არსებით განხილვას ნაკლები წინალობების გარეშე, მივიდეს იმ სამართლებრივ შედეგამდე, რასაც კანონიერი განაჩენი ეწოდება.

როგორც უკვე ვახსენეთ, წინასასამართლო სხდომის სტადიაზე გამოიყენება ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტია და წარმოადგენს იმ „სახელმძღვანელოს“, რომლის მეშვეობითაც მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ. სსსკ-ს მე-3 მუხლის მე-12 პუნქტით, განმარტებულია ალბათობის მაღალი ხარისხის განმარტება, რომლის მიხედვითაც, იგი წარმოადგენს წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტს, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს სსსკ-ს 219-ე მუხლის მე-5 პუნქტიც: „არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა“. შესაბამისად, მოსამართლე, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა, წინააღმდეგ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

#### **4.2 საქმის არსებითი განხილვისას**

სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ საქმის არსებით განხილვაზე ხდება, პიროვნების დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულ ეტაპზე, სრულყოფილად ხდება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, უშუალოდ სტანდარტი კი შემდეგ საფეხურზე ინაცვლებს, რომელიც ამავედროულად ერთადერთი და საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. „ყველაზე უკეთ მხარეთა შეჯიბრებითობა სასამართლო განხილვის პროცესზე ვლინდება, ვინაიდან, შეჯიბრებითობა მოითხოვს, რომ მოსმენილ იქნას ორივე მხარის არგუმენტაცია და ორივე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა შესაბამისი კომენტარი გააკეთოს მეორე

მხარის მიერ წამოყენებულ არგუმენტებსა და მტკიცებულებაზე იმის მიუხედავად, სასამართლო სხდომა ზეპირი ფორმით წარიმართება თუ წერილობით“.<sup>125</sup>

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მტკიცებულებითი სტანდარტის უმაღლეს საფეხურია და იმ მტკიცებულებათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. შეუძლებელია საკანონმდებლო დონეზე იმის დარეგულირება, თუ რა წინაპირობების არსებობისას უნდა დაარწმუნდეს მოსამართლე ბრალდებულის ბრალეულობასა თუ არაბრალეულობაში. მოსამართლე ზემოაღნიშნულს წყვეტს შინაგანი რწმენის საფუძველზე, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების მეტი დამაჯერებლობისა და მოსამართლის მიერ გაკეთებული დასკვნების გამჭირვალობისთვის, სასამართლოს განაჩენში უნდა მიეთითოს იმ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, რომელმაც მოსამართლეს, დასკვნების გაკეთება, გონივრულ ეჭვს მიღმა აფიქრებინა ცალკეულ საკითხებზე. „სწორედ პროცესუალური გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც მწიფდება მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სუბიექტურად ასახავს ჭეშმარიტების დადგომის მომენტს“.<sup>126</sup>

უკვე განვმარტეთ, რომ მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე და ახასიათებს საქმის მთელ წარმოებას, ამასთან, საქართველოს საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ სასამართლო პროცესის რომელ სტადიაზე უნდა მოხდეს მტკიცებულებათა შეფასება რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ იურისტთა დიდი ნაწილი თანხმდება საქმის არსებითი სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებაზე (ასევე წინა ეტაპებზე დასაშვებობისა და რელევანტურობის განხილვიდან გამომდინარე), ამ ეტაპზე განვიხილავთ მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასებას უტყუარობის თვალსაზრისით.

მტკიცებულების უტყუარობა გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებას. სარწმუნოა მტკიცებულება, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს გონივრული ეჭვი მისი გამოცვლის, გარეგანი და არსობრივი მახასიათებლების შეცვლის შესახებ და სხვ. იმ შემთხვევაში თუ არ არის გარკვეული სად და ვის მიერ, როგორ პირობებში ან როდის იქნა მტკიცებულება მოპოვებული, არსებობს ეჭვი ინფორმაციის უტყუარობაში, იზრდება ვარაუდი, რომ კონკრეტული ინფორმაციის მატარებელი საგანი ფალსიფიცირებულია და აკარგვინებს მტკიცებულებით მნიშვნელობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მტკიცებულების უტყუარობა უკავშირდება, პირველ რიგში, მისი მოპოვების ხერხის კანონიერებას. კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებათა სისტემა მოითხოვს

<sup>125</sup> გროესტადი, იონ პეტერ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე“, 2012წ. 25

<sup>126</sup> Смирнов, Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008, ст. 66

მართლმსაჯულების განხორციელებას პიროვნული თავისუფლების და ადამიანის ღირსების პატივისცემით, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ხერხითა და საშუალებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოების და მტკიცებულებათა მოპოვების წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, იქმნება სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის საფრთხე<sup>127</sup>.

მტკიცებულების უტყუარობა შესაძლებელია გამოხატული იყოს როგორც მთლიანობაში, ისე ნაწილობრივ. მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომელიც უშუალო შემსწრე იყო ჩადენილი დანაშაულისა. გარემოებათა ერთობლიობის გადმოცემის დროს, ერთი კონკრეტული უზუსტობა არ ნიშნავს ჩვენებაში გადმოცემული დანარჩენი ინფორმაციის უპირობოდ სიცრუეს. მტკიცებულების უტყუარობას არ გააჩნია ფორმალური ნიშნები და მისი შეფასება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ხორციელდება, საბოლოო დასკვნა მტკიცებულების უტყუარობის შესახებ ყალიბდება მტკიცების პროცესის დასასრულს, როდესაც მოხდება საქმეზე წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების სრული გამოკვლევა, თითოეული მათგანი დაექვემდებარება განხილვას.

მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- „მტკიცებულების წყაროს სანდოობა - მაგალითად, მოწმის ფიზიკური ნაკლი, რაც გავლენას ახდენს ფაქტების სწორად აღქმის უნარზე; ექსპერტის კომპეტენტურობა;
- გარემოებები, რომლებშიც ხორციელდება მტკიცებულების ფორმირება - მაგალითად, რა ვითარებაში აღიქვა მოწმემ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია (განათება - დღის/ღამის საათები, ხმაური - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი/რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია, მატარებლების მსვლელობის პერიოდი, ბუნებრივი მოვლენები - ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი და ა.შ.) და რამდენად ახდენდა გავლენას აღნიშნული აღქმის ხარისხსა და შესაძლებლობაზე;
- ინფორმაციის მიღების ხერხები და საშუალებები - თუ ერთი და იმავე ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა საპროცესო ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით (მაგალითად მოწმის ჩვენების, ოფიციალური დოკუმენტაციის გამოთხოვის/ამოღების და ექსპერტის დასკვნით), მიუხედავად იმისა, რომ მხარის გადასაწყვეტია რა ხერხით და საშუალებით განახორციელებს მტკიცების საგანში შემავალი ცალკეული გარემოების დამტკიცებას, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სადავო გახადოს შერჩეული საშუალების სანდოობა. როდესაც არსებობს გარემოების დადასტურების შესაძლებლობა მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ან ოფიციალური დოკუმენტაციის გამოთხოვნით, ყველაზე ნაკლებ

<sup>127</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება, §3

სარწმუნოდ მიიჩნევა მოწმის ჩვენების გამოყენება, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია აპრიორი არ იქნება უტყუარი;

- შესაფასებელ მტკიცებულებებში მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. მაგალითად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ბრალდებულის ფეხის კვალი, მიუხედავად იმისა, რომ ადასტურებს ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტს, ის არ მიუთითებს აღნიშნული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ან დანაშაულის ჩადენის მომენტში მის იქ ყოფნაზე. ფეხის კვალი შესაძლებელია დატოვებული ყოფილიყო დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის მიერ<sup>128</sup>.

მტკიცებულების უტყუარობის შეფასებაზე განმარტება გააკეთდა უზენაესი სასამართლოს მხრიდან, 2015 წლის 21 აპრილის განაჩენში, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგალითად, გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>129</sup>

შეჯამების სახით, შეიძლება ითვას, რომ დასაშვებობისა და რელევანტურობის შემდეგ, უტყუარობა წარმოადგენს იმ მნიშვნელოვანს საკითს, რომლის სრულყოფილად გამოკვლევა საქმის არსებითი სხდომის მოსამართლის „პრეროგატივაა“. სსსკ-ს 82-ე მუხლში მოცემული მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმების ხელმძღვანელობით, მოსამართლე ახორციელებს მტკიცებულებათა სრულყოფილ გამოკვლევას, რაც ერთადერთი და აუცილებელი საშუალებაა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად და კანონიერი განაჩენის მისაღებად. მტკიცებულებათა უტყუარობას იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეეხოს მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მიმართ

<sup>128</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ. 290

<sup>129</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 გადაწყვეტილება, 3-4

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა ეს საკითხი აუცილებლად ხდება მსჯელობის საგანი განაჩენის გამოტანის დროს.

## დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესის მიზანი სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა, თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი კი ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი უნდა ხდებოდეს. მთავარ პრობლემას წარმოადგენს, თავად შეჯიბრებითი პრინციპის ქართული მოდელი და მისი როლი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანის შესრულებაში. რამდენად იქნება უზრუნველყოფილი სამართლიანი მართლმსაჯულება, მოსამართლის ასეთი პასიური როლით?! მართებულია თუ არა აღნიშნული საკითხის მინდობა მხოლოდ მხარეებისთვის, იმის იმედად, რომ ისინი შეძლებენ მაქსიმალურად დაიცვან საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებები და საქმის არსებითი განხილვა, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენამდე მიიყვანონ?!

ჩვენს მიერ უკვე განხილულ იქნა შეჯიბრებითი პრინციპის როლი და მისი მნიშვნელობა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. 2010 წელს ამოქმედებულმა, საქართველოს სისხლის სამართლის, ახალმა საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეცვალა სისხლის სამართალწარმოება, რომლის მიზანს წარმოადგენდა, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი განმიჯვნა ერთმანეთისგან, ორი თანაბარმნიშვნელოვანი მხარის წარმოდგენა და სასამართლოს დომინირებული როლი გადაწყვეტილების მიღებაში. კანონმდებელს გადაწყვეტილი ჰქონდა, საქართველოშიც ჩამოეყალიბებინა მიდგომა, რომ მხოლოდ ორმხრივი „დაპირისპირების“ დროს არის შესაძლებელი ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, რაც გამოიწვევს, სამართლიანი განაჩენის გამოტანას. თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ჭეშმარიტების დადგენა უნდა მოხდეს კანონონიერი გზებით. „სამართლებრივ სახელმწიფოში ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს“.<sup>130</sup>

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მხარეების მხრიდან, ხშირად ხდება საპროცესო მოთხოვნების დარღვევა მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე, მეორე მხარის მხრიდან კი, უფლებამოსილების „არამართებული“ გამოყენების შედეგად, მოსამართლეს მხოლოდ ერთი გზა რჩება, კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული

<sup>130</sup> გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ. 248

მტკიცებულების საფუძელზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული გამოწვეულია მოსამართლის პასიური როლით, რომელსაც მოქმედი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებს. სსსკ-ს 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოსამართლის უფლებამოსილება, გამონაკლის შემთხვევებში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, არ წარმოადგენს იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. აუცილებელია მოსამართლის როლის გაზრდა მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე, მიუხედავად იმ შეხედულებისა, რომ ადგილი ექნება შეჯიბრებითი პრინციპის, გარკვეულწილად, დარღვევას. იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულება მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, არარელევანტურია ან ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კრიტერიუმს, მეორე მხარის შუამდგომლობის დაყენების მიუხედავად, მოსამართლეს უნდა შეეძლოს, მტკიცებულებათა შეფასება, მოწმეთა დაკითხვა დამოუკიდებლად. ვერ დავეთანხმებით იურისტთა იმ ნაწილს, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ასეთ დროს, მოსამართლემ შეიძლება დასვას დაცვის ან ბრალდების მხარის ინტერესებში შემავალი კითხვა, რომელიც სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი ორგანოს, მიმართ ექვს გამოიწვევს. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ სისხლის სამართალწარმოების არსს და საპროცესო სამართლის მიზანს. გამოძიების ეტაპზე შეგროვებული მტკიცებულება და შემდგომ, საქმის განხილვაზე მათი წარმოდგენა სასამართლოსთვის (და არა მხარეებისთვის) ემსახურება იმ მიზანს, რასაც კანონიერ ფარგლებში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ნათლად აჩვენებს, რომ მხარეთა კომპეტენტურობის იმედად ყოფნა ვერ უზრუნველყოფს სამართლიან მართლმსაჯულებას. ამ ეტაპზე არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ორ, ფუნდამენტურ, საკითხს შორის, რომელსაც პროცესის მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალება წარმოადგენს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შეჯიბრებითი პროცესის ძირითადი ელემენტი - თანასწორუფლებიანობა, მხოლოდ ფორმალურად არის დაცული და ფაქტობრივად, ორივე მხარის თანასწორ პოზიციებში ჩაყენება შეუძლებელია. მიზანშეწონილია იმ ოქროს შუალედის არჩევა, რომელიც შეჯიბრებითსა და ინკვიზიციურ პრინციპს შორის არსებობს. მტკიცებულებათა მოპოვება და შემდგომ წარგდება, ცალსახად, მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს, თუმცა მოსამართლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მხარეთა თანხმობის გარეშე, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში. ამისათვის კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მოსამართლის დამოუკიდებელი მოქმედების ფარგლებს. აღნიშნული გამოიწვევს არაერთგვაროვანი პრაქტიკის, ინდივიდუალურ მოსამართლეთა განსხვავებული განმარტებების და ზოგადად, სასამართლოს ორაზროვანი პოზიციის აღმოფხვრას, შედეგად კი მივიღებთ საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებულ ისეთ სისხლის საპროცესო პრინციპს, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის ფონზე მკაცრად გაამყარებს მოსამართლის პოზიციებს, რადგან სწორედ ასეთი გზით არის შესაძლებელი სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, რაც, ისევ და

ისევ, სისხლის სამართლის პროცესის მიზანს წარმოადგენს და მისთვის დამახასიათებელი სამართალწარმოების პრინციპი მეორეხარისხოვანია.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომის მოსამართლისა და საქმის არსებითად განმხილველი სხდომის მოსამართლის უფლებამოსილებებს, შეაფასონ მტკიცებულება სსსკ-ს 82-ე მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, არ უნდა მოხდეს შეზღუდვა კონკრეტული სხდომის მოსამართლის მიმართ. დამკვიდრებული პრაქტიკით, რელევანტურობა და უტყუარობა ფასდება საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე, ხოლო წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, ძირითადად, დასაშვებობის საკითხს ეხება. თუმცა, თუ მტკიცების პროცესს განვიხილავთ, როგორც თანმიმდევრულ ეტაპთა ერთობლიობას, რომლის დროსაც ყოველ შემდეგ ეტაპზე ხდება წინა ეტაპზე დაშვებული შეცდომების გამოსწორება და კონკრეტულ მიზანთან ერთი ნაბიჯით დაახლოება, მიზენშეწონილია წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს მიეცეს საშუალება, წარმოდგენილი მტკიცებულება შეაფასოს, სსსკ-ს 82 მუხლით დარეგულირებული სამივე კრიტერიუმით. საპროცესო კოდექსი არ უკრძლავს, საქმის არსებით განხილვაზე, მოსამართლეს, განიხილოს ისეთი საკითხები, როგორცაა მტკიცებულების დასაშვებობა - რამდენად კანონიერი გზით არის მტკიცებულება მოპოვებული (დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში), რელევანტურობა - აქვს თუ არა წარმოდგენილ მტკიცებულებას შემხებლობა სისხლის სამართლის საქმესთან და უტყუარობა - არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულება სარწმუნო. შესაბამისად, თუ წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე შეძლებს, მაქსიმალურად, ჩამოაშოროს სისხლის სამართლის საქმეს, კანონის დარღვევით მოპოვებული, არარელევანტური ან არასარწმუნო ინფორმაცია, შედეგად მივიღებთ საქმის არსებითად განსახილველ სხდომას, სადაც მოსამართლე ნაკლებ დროსა და რესურსს დახარჯავს დაუშვებელი მტკიცებულების „გამოაშვარებაზე“. წინა ეტაპზე განვიხილეთ, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული წინასასამართლო სხდომის ეტაპზე უტყუარობის თვალსაზრისით მტკიცებულების შეფასება, ვინაიდან უტყუარობა მოითხოვს მტკიცებულების სრულ გამოკვლევას რაც საქმის არსებით სხდომაზე ხორციელდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ახერხებს აღნიშნული კრიტერიუმით მტკიცებულების შემოწმებას, შესაბამისად, ამ კუთხით უფრო ფართო განმარტება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის უფლებებისა, მხოლოდ და მხოლოდ, წადგება, სისხლის საპროცესო სამართალს. აქედან გამომდინარე, საჭიროა სსსკ-ს 219-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ეხება მოსამართლის მიერ განსახილველ საკითხებს, შევიდეს ცვლილება და მოხდეს მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში ფართო განმარტება, რაც მოიცავს არამარტო მტკიცებულების დასაშვებობაზე მსჯელობას, არამედ მათი, რელევანტურობისა და უტყუარობის თვალსაზრისით შეფასებასაც.

## ბიბლიოგრაფია

### სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო)
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 9 ოქტომბერი)
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვალი)
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი)
5. გაერთიანებული სამეფოს კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ (1984)
6. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1988)
7. კანონი ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულების შესახებ (1993)
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება - სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ,

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2017წ.
2. ბურჯანაძე გ., პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, 2012წ.
3. გოგიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, გოგშელიძე (რედ.), 2009წ.
4. გროესტადი, იონ პეტერ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე“, 2012წ.
5. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, 2014წ.
6. თუმანიშვილი გ., მაღლაკელიძე ლ., არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №1(53)-2017წ.
7. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, უზენაესი სასამართლოს კვლევა, 2016წ.
8. ლალიაშვილი თ. ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4(52)-2016წ.
9. მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი.\_(რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, 2013წ.

10. მაჭარაშვილი ვ., მხარეთა მიერ საგამომიებო მოქმედებების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3(55)-2017წ
11. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარები, 2007წ.
12. ოშხარელი მ., მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(57)-2018წ.
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2015წ.
14. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, თბ., 2015 წ.
15. ქათამაძე ე., მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი სამართლებრივი განვითარება, №6, 2014წ.
16. ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ. და სხვ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, 2016წ.
17. Белкин А. Р., Теория доказывания в уголовном судопроизводстве / А. Р. Белкин., М., 2005.
18. Спасович В. Д., О теории судебно-уголовных доказательств в связи с судоустройством и судопроизводством, журнал „Лекс-Эст“, М., 2001
19. Строгович М. С., Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе, М., 1955;
20. Смирнов, Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008
21. Bennett W. W., & Hess, K. M., Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson, 2004.
22. Dempsey J., Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/ Thompson, 2003.
23. Changsheng Li, Adversary System Experiment in Continental Europe – Several Lessons from the Italian Experience, Journal of Politics and Law, Vol 1, No 4, 2008
24. Elisabetta Grande, Italian Criminal Justice: Borrowing and Resistance, 2000
25. Ennio Amodio, Eugenio Selvaggi, An Accusatorial System in a Civil Law Country: The 1988 Italian Code of Criminal Procedure, Temple Law Review, Vol. 62, No. 4, 1989
26. F.Cordero, Procedura Penale, (4th ed). 1998
27. Heinrich Nagel, Jerry Norton, Law Evidence, , The free evaluation of evidence, 2011
28. John H. Langbein, The Origins of Adversary Criminal trial
29. Michele Panzavolta, Reforms and Counter-Reforms in the Italian Struggle for an Accusatorial Criminal Law System, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, 2005
30. Mireille Delmas-Marty & J. R. Spencer, European Criminal Procedure, London: Cambridge University Press, , 2002
31. R. Belfiore, Movement of Evidence in the EU: The Present Scenario and Possible Future Developments - European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice # 1, 2009, pp. 1-22(22);
32. Saltzburg, S. A./ Capra, D. J.: American Criminal Procedure: Cases and Commentary, 2007

33. William T. Pizzi, Mariangela Montaga, The Battle to Establish an Adversarial Trial System in Italy, Michigan Journal of International Law, Vol 25. Iss. 2

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება

**სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 გადაწყვეტილება
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის №510აპ-15 გადაწყვეტილება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის №251აპ-16 გადაწყვეტილება
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის №759აპ-16 გადაწყვეტილება
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის №117აპ-18 გადაწყვეტილება,
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 17 სექტემბრის №1გ/139-15 განჩინება
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის №1გ/337-17 განჩინება,
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2018 წლის 2 თებერვლის №1გ/133-18 განჩინება,
11. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: *Nardone vs U.S.*, 308 U.S., (1939)
12. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Nix v. Williams*, 467 U.S., (1984)
13. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *U.S.v Leon*, 468 U.S., (1984)
14. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Soto v. New York*, 476 U.S., (1986)
15. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *U.S. v. Martin*, 297 F.3d, (2002)

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. *Atlan v. the United kingdom*, ECtHR. N25424/09, 2001
2. *Hudakova and Others v. Slovakia*, ECtHR, N23083/05, 2010
3. *Krcmar and Others v. the Czech Republic*, ECtHR, N35376/97, 2000
4. *Leas v. Estonia*, ECtHR, N59577/08, 2012, §58
5. *Natunen v. Finland*, ECtHR, N21022/04, 2009
6. *Niderost-Huber v. Switzerland*, ECtHR, N18990/91, 1997
7. *Ruiz-mateos v. Spain*, ECtHR, N12952/87, 1993

8. Vermeulen v. Belgium, ECtHR, N19075/91, 1996
9. Yvon v. France, ECtHR, N44962/98, 2003

**ინტერნეტ რესურსები:**

1. The Constitutional Court of Italian Republic, Judgment No. 24, 1992  
<http://www.giurcost.org/decisioni/1992/0024s-92.html> (ბოლოს ნანახია 12.05.2019)
2. The Constitutional Court of Italian Republic, Judgment No. 111, 1993  
<http://www.giurcost.org/decisioni/1993/0111s-93.html> (ბოლოს ნანახია 12.05.2019)
3. Crime Laboratory System, Forensic Science History  
[https://www.troopers.ny.gov/Crime\\_Laboratory\\_System/History/Forensic\\_Science\\_History/](https://www.troopers.ny.gov/Crime_Laboratory_System/History/Forensic_Science_History/) (ბოლოს ნანახია 05.06.2019)
4. Francine Uenuma, The First Criminal Trial That Used Fingerprints as Evidence,  
<https://www.smithsonianmag.com/history/first-case-where-fingerprints-were-used-evidence-180970883/> (ბოლოს ნანახია 05.06.2019)